

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან
147-ე წლისთავისადმი მიძღვნილი

სამეცნიერო კონფერენცია



თეზისები

27-28 აპრილი
თბილისი
2023

საორგანიზაციო კომიტეტი:

პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი

პროფესორი თეიმურაზ პაპასქირი

პროფესორი დარეჯან გარდავაძე

ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი ნათია ფუტკარაძე

Organizing Committee:

Professor Nana Gaprindashvili

Professor Teimuraz Papaskiri

Professor Darejan Gardavadze

Assoc. Professor Ekaterine Navrozashvili

Doctor of Philology Natia Putkaradze

რეგლამენტი:

მოხსენება სექციის სხდომაზე – 15 წუთი

დისკუსია – 5 წუთი

სამუშაო ენა – ქართული

Time Limit:

Session Presentation – 15 min.

Discussion – 5 min.

Working Language – Georgian

ავტორთა სტილი დაცულია.

The authors' style is preserved.

მაია ანდრონიკაშვილი
Maia Andronikashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაჲ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

დამხმარე მორფების სპეციფიკა არაბულ
მორფოლოგიაში
The Peculiarities of the Auxiliary Morphs
in Arabic Morphology

საკვანძო სიტყვები: მორფი, ახაბული ენა, მორფოლოგია
Keywords: Morph, Arabic Language, Morphology

ცნობილია სემიტურ ენებში მოქმედი თავისებური დამხმარე მორფის – ტრანსფიქსის – სპეციფიკურობა. იგი მხოლოდ ვოკალებისგან შედგება, ხლენს ჩვეულებრივი თანხმოვნური შემადგენლობის ძირეულ მორფს და ვოკალთა რაოდენობით და ხარისხით უპირისპირდება კატეგორიის სხვა გრამემებს. მაგ.: fa‘ala (აქტ.); fu‘ila (პას.) და სხვა.

ტრანსფიქსი – შინაგანი ვოკალიზმი - არაბულ მორფოლოგიაში ზოგჯერ თანხმოვანი შემადგენლობის ძირთან ერთად ძირეული მორფის ფუნქციასაც ასრულებს სახელთა და ზმნათა გარკვეულ რაოდენობაში და ემსახურება სემანტიკური შინაარსის დიფერენციაციას (მაგ.: tarī „გზა“; tar „კაკუნი“; šağar „ხე“; šağr „ბრაზი, რისხვა“; nafir „საყვირი“; nafūr „მშიშარა“).

გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა არაბულში სხვა ტიპის მორფებიც:

1. დამხმარე მორფებში აღინიშნება მარტივი პოლისემია. მაგ.: სუფიქსი -at სახელებში მდებარეობითი სქესის რეპრეზენტანტია და იმავდროულად გამოხატავს კერძობითს. სხვა ოპოზიციაში აწარმოებს ე.წ. მსხვრეულ მრავლობითსაც. მაგ.: rāmiḥ-un (მხ.): rāmiḥ-at-un (მრ.) მაშასადამე მორფი ჰომოფონურია.

2. ზოგჯერ პოლისემიას უწოდებენ არაბულ მორფოლოგიაში არსებულ სინთეტოსემიასაც. სინთეტოსემია ახასიათებს ისეთ მორფებს, რომელთა სეგმენტები სხვადასხვა კატეგორიების გრამემების რეპრეზენტანტებია. მაგ.: სუფიქსი -ūna უკავშირდება როგორც სახელებს, ასევე ზმნებს. პირველ შემთხვევაში აღნიშნავს ნომინატივს, მრ. რიცხვს, მამრობით სქესს და განუსაზღვრელ სტატუსს. მეორე შემთხვევაში სათანადო პრეფიქსთან და ტრანსფიქსთან ერთად გამოხატავს იმპერფექტივს, მრ. რიცხვს, მამრობით სქესს და თხრობით კილოს.

3. უფრო იშვიათად ერთ გრამემას ცალკეულ ფორმაში წარმოადგენს რამდენიმე აფიქსი მაგ.: ე.წ. მსხვრეულ მრავლობით ფორმაში 'aṣḍikā'u მრავლობითის რეპრეზენტაციებია ცირკუმფიქსი 'a-ā' და ტრანსფიქსი \emptyset – i. მრავლობითის სხვა მოდელში სეგმენტი 'a სუფიქსის სახითაა წარმოდგენილი, ის გვევლინება აგრეთვე მდებარეობითი სქესის აღმნიშვნელ სუფიქსად ზოგიერთ ზედსართავში. მაგ.: sawdā'u.

4. დამხმარე მორფებს შეადგენს ფონემათა სისტემის მხოლოდ გარკვეული ნაწილი, რაც ტრადიციულ არაბულ გრამატიკაშიც იყო აღნიშნული ტრადიციულ არაბულ გრამატიკაში მიღებულია მნემონური სიტყვა sa'altumūnīha. მასში ინვენტარიზებულია დამხმარე მორფების შემადგენელი ფონემები და ამით ისინი გამოყოფილია ენის სრული ფონემური შემადგენლობის იმ ნაწილისგან, რომელიც მორფემათა რეპრეზენტაციისთვის არ გამოიყენება. არაბ გრამატიკოსებს ყურადღება მიუქცევიათ არა მარტო ხსენებული ფაქტისთვის (რასაც შემდგომ სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ენათმეცნიერებაც აღნიშნავს), არამედ შეუნიშნავთ მორფემათა ცალკეული სეგმენტების პოლისემიაც. დამხმარე მორფების თითქმის სრულ ინვენტარს შეადგენს ქვემოთ წარმოდგენილი სია. მასში მოკლე ხმოვნებს მხოლოდ წარმოთქმის გაადვილების დანიშნულება აქვთ, რადგან ისინი ფუნქციურად ე.წ. იყრაბის სისტემაში შედიან. აგრეთვე არ გაითვალისწინება დიფთონგი და გემინაცია.

1) s – მომავალი დროის გამომხატველი პრეფიქსის ნაწილი; X თემის მანარმოებლის სეგმენტი;

2) ' – IV თემის პრეფიქსი; I პირის ნიშანი იმპერფექტივში.

3) l – არტიკლის ძირითადი სეგმენტი (გრაფიკული ან ჰამზიანი ალიფი დემარკაციული ელემენტი);

4) ჭ (სუქუნი, ო) პირობითი და ბრძანებითი კილოების სუფიქსი;

5) t – პირისა და მდედრობითი სქესის ნიშანი იმპერფექტივში; V და VI თემების მანარმოებელი პრეფიქსი; VIII თემის ინფიქსი; X თემის მანარმოებელი პრეფიქსის სეგმენტი; მდ. სქესის მრ. რიცხვის სუფიქსი; აბსტრაქტული სახელის მანარმოებელი სუფიქსის სეგმენტი.

6) m – მიმღეობის, მასდარის, ადგილისა და დროის სახელის, იარაღისა და ჭურჭლის სახელის მანარმოებელი;

7) ū – მრავლობითი რიცხვის მანარმოებელ სახელთა სწორ მრავლობითსა და ზმნებში (პერფექტივისა და იმპერფექტივში), სახელობითი ბრუნვის ნიშანი 5 სახელის მხოლოდობით რიცხვში;

8) n – სეგმენტი იმპერფექტივის რამდენიმე ფორმაში; პერფექტივის I პირში მრავლობითი რიცხვის სუფიქსი; პერფექტივის მდედრობითი სქესის 2 ფორმაში მრავლობითი რიცხვის სუფიქსი; VII თემის მანარმოებელი;

9) ī – პირის ნიშნის სეგმენტი იმპერფექტივის მხოლოდობითი რიცხვის II პირის მდედრობითი სქესის ფორმაში; ირიბი ბრუნვების პირის ნიშნის სეგმენტი ორობით რიცხვსა და მამრობითი სქესის სწორ მრავლობითში;

10) h – სუფიქსი ე.წ. გაძლიერებულ მიმართვაში;

11) ā – ორობითი რიცხვის მანარმოებელი სახელებში; აკუზატივის ნიშანი 5 სახელში; მდედრობითი სქესის ნიშანი; ე.წ. უბრუნველ სახელთა დაბოლოება.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ლინგვისტური აზრი მნიშვნელოვან ამოცანად მიიჩნევს სეგმენტაციას (разбивка) ცალკეულ მაჩვენებლებად მათი რაოდენობის სიმრავლის მიუხედავად.

ზოგადად, ფონემათა მრავალმხრივი მორფოლოგიური ფუნქციების დადგენაში შესაძლოა გამოგვადგეს ნ. ალიე-

ვას შრომა¹, რომელიც ეძღვნება დამხმარე მორფთა სეგმენტების ნიუანსების გამოვლენას სხვადასხვა სახის პოლიფუნქციური მორფების შემადგენლობაში. ამ ავტორის მიერ შემუშავებულ 80 სხვადასხვა კრიტერიუმში F.Parker-ის აზრით მაღალ შეფასებას იმსახურებს ოპოზიციური ბინარულობა, რადგან იგი ზუსტად განსაზღვრავს შესაძლო დისტინქტურ მახასიათებლებს². აქ აღვნიშნავთ რამდენიმე პრინციპს:

1. მორფემა იყოფა ან არ იყოფა.
2. ერთმნიშვნელოვანია ან პოლისემიურია.
3. შედის მხოლოდ დამხმარე, თუ ძირეულ მორფშიც.
4. შედის ან არ შედის როგორც სეგმენტი მორფის შემადგენლობაში.

აღნიშნული მეთოდი კარგად ესადაგება არაბული მორფოლოგიის რთულ ტიპს, იმის გათვალისწინებით, რომ თავდაპირველად შექმნილია აღმოსავლური ენების კვლევებისათვის (ტაი, ინდონეზიური). მისი გამოყენება შესაძლოა საფუძველი გახდეს არაბული მორფოლოგიის რთული ტიპის ადეკვატური განსაზღვრისათვის.

The specificity of the peculiar auxiliary morph – transfix, which is a commonplace in Semitic languages is well known in the scholarly literature. It consists of vocals only and splits the root morph comprising of common consonants, and contrasts

¹ Н.Ф. алиева, о принципах сравнительно-типологического исследования морфемного состава языков, сб. лингвистическая типология, изд. "Науке" М. 1985, стр. 81-91

² F.Parker, Refining the Notion of Distinctive Feature, "Lingua", vol.38 #1, 1976

with other gramemes of the category with its number of vocals and quality.

Transfix - internal vocalism - in Arabic morphology, sometimes the consonant together with the composition root also acts as the root morph in a certain number of nouns and verbs and serves to differentiate the semantic content. Arab grammarians have happened to detect the polysemy of individual segments of morphemes as well.

It should be noted that according to the modern linguistic mindset, despite their large number, segmentation into separate indicators is an important task.

In general, several principles may contribute to determining the multifaceted morphological functions of phonemes:

5. A morpheme may be either divided or not divided.
6. It is univocal or polysemous.
7. It is included only in the auxiliary, if also in the root morph.
8. It is either included or not included as a segment in a morph.

The said method is well suited to the complex type of Arabic morphology, given that it was originally developed for the study of Eastern languages (Thai, Indonesian) per se. Its application may become the basis for an adequate definition of the complex type of Arabic morphology.

ცირა ბარამიძე
Tsira Baramidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაჲ მეცნიეებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

**„ვერსია“ ქართულში და აქტანტების კუთვნილებითი
მიმართებისათვის პოლივალენტურ იბერიულ-
კავკასიურ ნანოსინტაქსში**
**“Version” in Georgian and for the possessive
relations of actants in polyvalent Iberian-
Caucasian nano-syntax**

*საკვანძო სიყვები: ვეხსია ქაიხურში, ნანოსინტაქსი,
იბერიულ-კავკასიური ენები, პოლივალენტური*
Keywords: *Version in Georgian, Nano-syntax, Iberian-Caucasian
languages, Polyvalent*

ქართული ზმნის უღვლილების სისტემა კუთვნილების თვალსაზრისით გვიჩვენებს, რა ურთიერთობაა სუბიექტსა და ობიექტს (ან ობიექტებს) შორის, ე. ი. ზმნას შეუძლია აჩვენოს ქცევები ანუ ვერსიები.

ე.წ. ქცევის კატეგორია ქართულში მეორეულია და დაკავშირებული უნდა იყოს ქართული ზმნის უღვლილების ტიპის ცვლასთან. სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე დღის წესრიგში დგას ქართული ზმნის მნიშვნელოვანი კატეგორიების („ქცევისა“ და „გვარის“) სემანტიკურ ნაირსახეობათა კვალიფიკაციის საკითხი, ზმნის პირის გამოხატვის სისტემისა და ამასთან დაკავშირებული „ინვერსიის“ პრობლემები და სხვა. გვარი მიგვარჩნია სემანტიკურ კატეგორიად (ვიზიარებ დ. მელიქიშვილის მოსაზრებას). ინდო-ევროპული ენების კლასიფიკაციის მსგავსად ქართულ ზმნაში გვარის კატეგორიის, ვფიქრობ, მცდარმა კლასიფიკაციამ გამოავლინა შეუსაბამობა „გვარისა“ და „ქცევის“ (ვერსიის) „კატეგორიების“ სემანტიკურ დეფინიციასა და ფორმალურ კლასიფიკაციას შორის და „დაჩრდილა“, გაუგებარი გახადა ზმნის ხმოვანპრეფიქსთა ნანოსინტაქსური ფუნქციები.

მოხსენებაში მოცემულია მცდელობა, აიხსნას ვერსიის პრეფიქსთა რეინტერპრეტაციები, ქართული და სხვა დანარჩენი იბერიულ-კავკასიური ენების სპეციფიკის გათვალისწინებით, მორფოსინტაქსურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით ე.წ. ვერსიის კატეგორია ქართულში, როგორც აქტანტების კუთვნილებითი მიმართების მეორეული ვითარება პოლივალენტურ (კერძოდ, პიროვანი უღვლილების) იბერიულ-კავკასიურ ნანოსინტაქსში; მოცემულია მცდელობა, აიხსნას ამ ენათა ნანოსინტაქსური დიასისტემების იერარქია და ქართული ენის ნანოსინტაქსი „ვერსიის“ კონტექსტში.

The Georgian verb conjugation system shows the relationship between the Subject and the Object (or Objects) from the point of view of belonging, so a verb can show Behaviors or Versions.

The category of Version in Georgian is secondary and should be related to the change of the type of the Georgian verb conjugation. In the scientific literature, an issue of the qualification of the semantic varieties of the important categories of the Georgian verb ("Version" and "Voice"), the problems of the expression system of the person of the verb and related "Inversion", and others are still on the agenda. We consider that the category of Voice is a semantic category (I share D. Melikishvili's opinion). Similar to the classification of Indo-European languages, the category of the Voice in the Georgian verb, I think, the wrong classification revealed a discrepancy between the semantic definition and the formal classification of the "categories" of "Voice" and "Version" and "overshadowed", making the nano-syntactic functions of the vowel prefixes of the verb unclear.

The report contains an attempt to explain reinterpretations of Version prefixes in Georgian and other Iberian-Caucasian languages, based on morphosyntactic criteria. The category of Version in Georgian as the secondary situation of the actant's belonging relation in the polyvalent (in particular, personal conjugation) Iberian-Caucasian nano-syntax; An attempt is made to explain the hierarchy of nano-syntactic diasystems of these languages and the nano-syntax of the Georgian language in the context of "Version".

მიხეილ ბახტაძე
Mikheil Bakhtadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაჲულ მეცნიეჲებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

ფეოდალური ელიტა XI-XIII საუკუნეებში
Feudal System in XI-XIII Centuries

საკვანძო სიგყვები: ფეოდალიზმი, ელიტა, საქაჲთველი
Keywords: Feudal System, Elite, Georgia

რას ვგულისხმობ ფეოდალურ ელიტაში? იმ 7-8 ფეოდალურ საგვარეულოს რომლებიც ყველაზე ახლოს იყვნენ მეფესთან, რომელთა წარმომადგენლებსაც ეკავათ უმაღლესი თანამდებობები და ჰქონდათ დიდი პოლიტიკური გავლენა.

ბაგრატ III. ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ მეფის დასაყრდენი დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს დიდებულები იქნებოდნენ.

გიორგი I-ის, ბაგრატ IV-ისა და გიორგი II-ის დროსაც ძირითადად იგივე ვითარება უნდა ყოფილიყო.

დავით IV აღმაშენებლის დროს ვითარება იცვლება. ჩნდებიან ახალი საგვარეულოები ანუ ხდება ელიტაში ცვლილება და ჩნდებიან აღმოსავლეთ საქართველოს ფეოდალებიც.

დემეტრე I-ის ვფიქრობ, რომ დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს დიდებულთა უპირატესობა უნდა შენარჩუნებულიყო.

გიორგი III-ის დროს ნელ-ნელა მატულობს აღმოსავლეთ საქართველოს ფეოდალთა გავლენა. თუმცა ორბელთა დამხობა კვლავ ამყარებს დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს ფეოდალთა პოზიციებს.

თამარ მეფე. დასაწყისში დასავლელთა უპირატესობა და გავლენა აშკარაა. როდესაც დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს ფეოდალები აჯანყდნენ, ამით დაიწყო მათი „დამცრობა“ და სამაგიეროდ აღმოსავლეთ საქართველოს ფეოდალთა გავლენის ზრდა.

ვითარება ნარჩუნდება საუკუნეზე მეტ ხანს. არის ცვლილება როდესაც მონღოლთა პერიოდში ელიტაში შედიან ცალკეული პირები მაგრამ ეს დროებითია. გიორგი V-ის დროს მეფის რისხვა თავს დაატყდათ აღმოსავლეთ საქართველოს ფეოდალებს. როგორ აისახა ეს დასავლელთა გავლენის ზრდაზე ძნელი სათქმელია. აი, XV საუკუნეში კი

სერიოზული ცვლილებები ხდება ელიტაში. აღმოსავლეთ საქართველოში ფაქტობრივად სრულად იცვლება. დასავლეთში კი მხოლოდ რამდენიმე საგვარეულოდა ინარჩუნებს პოზიციებს.

What do I mean by feudal elite? The 7-8 feudal clans that were closest to the king, whose representatives held the highest positions and had great political influence.

Bagrat III. It is logical to assume that the king's stronghold would be the feudal elite of western and southern Georgia.

George I, Bagrat IV and George II. The situation must have been basically the same.

Davit IV Agmashenebeli. New clans appear, that is, there is a change in the elite, and feudal lords of Eastern Georgia also appear.

Demetrius I. The superiority of the nobles of western and southern Georgia should have been preserved.

George III. The influence of the feudals of Eastern Georgia is gradually increasing. However, the overthrow of the Orbels still strengthens the positions of the feudal lords of western and southern Georgia.

Queen Tamar. At the beginning, the superiority and influence of the Westerners is obvious. When the feudal lords of western and southern Georgia rebelled, this started their ~downfall~ and instead the influence of the feudal lords of eastern Georgia increased.

The situation persists for more than a century. There is a change when certain individuals enter the elite during the Mongol period, but it is temporary. During the George V, the feudals of Eastern Georgia fell under the wrath of the king. How this af-

affected the growth of Western influence is difficult to say. In the 15th century, serious changes took place in the elite. Eastern Georgia is actually completely changing. In the West, only a few clans maintain their positions.

ლევან ბებურიშვილი

Levan Beburishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakishvili Tbilisi State University

ჰუმანიტაჲულ მეცნიეეებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

ალექსანდრე ცაგარელი და ახალი ქართული

ლიტერატურის საკითხები

**Aleksandre Tsagareli and the Issues of the New
Georgian Literature**

საკვანძო სიტყვები: *ქართული ღიგეჲაგუჲა, ქართული კრიტიკა,*

ადექსანდრე ცაგარელი

Keywords: *Georgian literature, Georgian criticism, Aleksandre
Tsagareli*

ალექსანდრე ცაგარელი ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა მეცხრამეტე საუკუნის ქართველოლოგთა შორის. იგი უფრო თავისი ლინგვისტური და წყაროთმცოდნეობითი ნაშრომებითაა ცნობილი, თუმცა ამასთანავე ცაგარელი ავტორია ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის მეტად ფასეული წერილების ციკლისა „ჩვენი უბედური მნიგნობრობა ამ საუკუნეში“ („დროება“ 1870, №2-7), რომელშიც იგი ახალი ქართული ლიტერატურის კრიტიკოსად მოგვევლინა. ეს ნარკვევი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მასში პირველად ვხვდებით მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის დიფერენცირებას ცალკეულ ეტაპებად. ალექსანდრე ცაგარელი გამოყოფს ახალი ქართული ლიტერატურის განვითარების სამ ძირითად საფეხურს და მათ კონკრეტულ მწერალთა სახელებს უკავშირებს. პირველი პერიოდის ცენტრალურ ფიგურად იგი ასახელებს ალექსანდრე ჭავჭავაძეს. მისი შემოქმედებისათვის, კრიტიკოსის აზრით, ნიშნულია ანაკრეონტული მოტივები, სპარსული სატრფიალო ლირიკის დიდი ზეგავლენა, მნიგნობრული ენა, გულგრილობა სამოქალაქო პრობლემატიკისადმი. მეორე პერიოდის საკვანძო ავტორია გიორგი ერისთავი, ეროვნული კომედიოგრაფიის შემქმნელი, რომელმაც თავისი ლიტერატურული სკოლა დააფუძნა და სატირულ მწერლობას მისცა დასაბამი. მესამე პერიოდის წამყვანი მწერლები კი ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი არიან. ალექსანდრე ცაგარლის მიხედვით, ქართულ ლიტერატურაში სრულიად განცალკევებით დგას ნიკოლოზ ბარათაშვილი. კრიტიკოსი პარალელს ავლებს ნიკოლოზ ბარათაშვილისა და მიხეილ ლერმონტოვის პოეზიას შორის, რითაც მიგვანიშნებს ქართველი პოეტის შემოქმედების რომანტიკულ კონტექსტზე. ცაგარელი ფიქრობს, რომ „ბედი ქართლისამ“ დაბადა ჩვენში მოქალაქეობრივი პოეზია.

საყურადღებოა ალექსანდრე ცაგარლის მსჯელობა ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ. მისი ნააზრევის ღირებულება უმთავრესად იმითაა განსაზღვრული, რომ იგი უპირისპირდება წინამორბედი კრიტიკოსების (გ. ბარათაშვილის, ბ. ჯორჯაძის, ა. ფურცელაძის, ა. წერეთლის) შეხედულებას, რომლის თანახმადაც, რომ ილია ჭავჭავაძეს აკლია ლირიკოსი პოეტის ბუნებრივი ნიჭი და „ჭაპანწყვეტით“ წერს ლექსებს. ილიას ლირიკის ცალკეულ ნიმუშთა ანალიზით ალექსანდრე ცაგარელი ასაბუთებს, რომ სინამდვილეში ილიას მომადლებული ჰქონდა ნამდვილი ლირიკოსის ტალანტი.

ილია ჭავჭავაძის პოეზიის ერთ ძირითად ღირსებად ალექსანდრე ცაგარელი პოეტური ფრაზის ენერგიულობას მიიჩნევს. სწორედ აქედან გამომდინარეობს, კრიტიკოსის აზრით, ის ფაქტი, რომ ილია ჭავჭავაძის ლირიკას მკითხველზე განსაკუთრებული ემოციური ზემოქმედების ძალა აქვს.

ილიას თხზულებათაგან ცაგარელს ყველაზე მეტად „კაცია-ადამიანი“ ხიბლავს. ილიას შემოქმედების შესწავლის ისტორიისათვის მისი ნაშრომის ღირებულება იმითაა განსაზღვრული, რომ მან საგანგებოდ დააყენა ნიკოლაი გოგოლის შემოქმედებასთან ილიას მიმართების საკითხი. მართალია, ცაგარელმა ვერ მოახერხა ამ პრობლემის ბოლომდე გადაჭრა, თუმცა საფუძველი შექმნა იმისათვის, რომ დაწყებულიყო სპეციალური მსჯელობა გოგოლისებურზე ქართულ ლიტერატურაში და კერძოდ – ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში. მოგვიანებით ახალი ქართული ლიტერატურის გამორჩეულმა სპეციალისტმა გრიგოლ კიკნაძემ თავის ცნობილ მონოგრაფიაში „მეტყველების სტილის საკითხები“ ამ საკითხს საგანგებო კვლევა მიუძღვნა, რო-

მელშიც წარმოაჩინა ილიასა და გოგოლის შემოქმედებით მეთოდთა ურთიერთმიმართება.

Aleksandre Tsagareli is one of the outstanding figures among the nineteenth-century Kartvelologists. He is more famous for his linguistic and historical works, however, Tsagareli is also the author of the cycle of letters "Our Unfortunate Literature in this Century" ("Droeba" 1870, No. 2-7), in which he introduced himself as a critic of new Georgian literature. This essay is important it shows for the first time the differentiation of Georgian writing of the nineteenth century into separate stages. Aleksandre Tsagareli singles out three main stages of the development of new Georgian literature and connects them with the names of specific writers. He names Aleksandre Chavchavadze as the central figure of the first period. According to the critic, Anacreontic motifs, the great influence of Persian love poetry, archaic language, indifference to civil problems mark his works. The key author of the second period is Giorgi Eristavi, the creator of national comedy, who founded his literary school and gave rise to satirical writing. The leading writers of the third period are Ilia Chavchavadze and Akaki Tsereteli. According to Alexandre Tsagareli, Nikoloz Baratashvili stands completely apart in Georgian literature. The critic draws a parallel between the poetry of Nikoloz Baratashvili and Mikhail Lermontov, thereby pointing to the romantic context of the Georgian poet's work. Tsagareli thinks that "Bedi Kartlisa" ("The Fate of Kartli") gave birth to civic poetry in Georgia.

Alexandre Tsagareli's discussion about Ilia Chavchavadze's work is noteworthy. The value of his thought is mainly determined by the fact that it opposes the opinion of previous critics (G. Baratashvili, B. Jorjadze, A. Furttseladze, A. Tsereteli), according

to which Ilia Chavchavadze lacks the natural talent of a lyric poet and writes poems "in a haphazard manner". Analyzing particular samples of Ilia Chavchavadze's lyrics, Alexandre Tsagareli proves that Ilia was blessed with the talent of a lyricist.

Alexandre Tsagareli considers the energy of the poetic phrase to be one of the main virtues of Ilia Chavchavadze's poetry. According to the critic, the fact that Ilia Chavchavadze's lyrics have a special emotional impact on the reader comes from this.

Among Ilia's works, Tsagareli is most fascinated by "Is that a Man?". The value of Tsagareli's article for the history of the study of Ilia Chavchavadze's prose is determined by the fact that he raised the issue of Ilia's relation to Nikolai Gogol's work. It is true that Tsagareli did not manage to solve this problem to the end, but he created the basis for starting a special discussion about the reception of Gogol in Georgian literature and in particular - in the work of Ilia Chavchavadze. Later, Grigol Kiknadze, an outstanding critic of new Georgian literature, in his famous monograph "Issues of speech style" devoted a special study to this problem, in which he presented the relationship between the creative methods of Ilia Chavchavadze and Nikolai Gogol.

ნაირა ბეპიევი

Naira Bepievi

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

**ივანე ჯავახიშვილი და ოსური ენისა და მწერლობის
განვითარების საკითხები**

**Ivane Javakhishvili and the Issues of the
Development of Ossetian Language and
Writing**

საკვანძო სიტყვები: *ქართული ენა, ოსური ენა, იდენტობა,
დიგეზაგუხა*

Keywords: *Georgian language, Ossetian language, Identity,
Literature*

ივანე ჯავახიშვილი დიდად ზრუნავდა მთიელთა ენების შესწავლის საკითხებზე, დიდმა მეცნიერმა საკუთარ მოვალეობად მიიჩნია ჩრდილოეთით მცხოვრები მეზობლების ეროვნული ცნობიერების ამაღლება და მათი მწერლობის განვითარებაზე ზრუნვა. ეროვნული ცნობიერების განვითარება, მათი ეროვნული აღორძინება, განათლების გარეშე შეუძლებელი იყო. ამიტომაც ივანე ჯავახიშვილმა, უნივერსიტეტის დაარსებისთანავე ყურადღება ამ საკითხზეც გაამახვილა. ქართულ უნივერსიტეტში, 1918 წელს პროფესორთა პირველივე სხდომაზე დააყენა ოსური ენის შესწავლის საკითხი.

რასაკვირველია, საკითხი მართლაც უმწვავესი იყო. ოსური ენა, ინდოევროპული ოჯახის ენა, განსხვავდება ირანული ჯგუფის ენებისაგან, უპირველესად ფონეტიკური და ზოგადად, ენობრივი მახასიათებლებით. მასში ერთდროულად არის როგორც ირანული, ასევე კავკასიური ენებისათვის ცნობილი მკვეთრი ბგერები. ამიტომაც საჭირო იყო მისი კვლევა მეცნიერულ დონეზე სწორედ უნივერსიტეტში დაწყებულიყო. აქ, ამ დროისათვის უკვე მრავალი დიდად განსწავლული ენათმეცნიერი იყო მოწვეული. ამ საქმის ხელმძღვანელად ერთ-ერთი მათგანი, გიორგი ახვლედიანი განაწესა.

ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ მთიელთა ენისა და ზეპირსიტყვიერების შესწავლა თვით მათთვისაც დიდად სასარგებლო იყო და ჩვენი დედაენის მეცნიერული შესწავლისათვისაც აუცილებლობას წარმოადგენდა. დიდი მეცნიერის აზრით, ჩრდილოელ მეზობელთა ეროვნული აღორძინება და მათი მწერლობის განვითარება მთლიანად კავკასიელთა მომავალ პოლიტიკურ კეთილდღეობას ნიშნავდა.

ოსური ენის შესწავლისა და სწავლების საქმე ივანე ჯავახიშვილმა დიდ ენათმეცნიერს გიორგი ახვლედიანს მი-

ანდო. ნაშრომში ვრცლადაა მიმოხილული მისი ღვაწლი ოსური ენის შესწავლის საქმეში.

შეიძლება ითქვას, რომ დიდ მეცნიერებთან, ანდრეას იოჰან შეგრენტან, ვსევოლოდ მილერთან, ჟორჟ დიუმე-ზილთან, ვასილ აბაევთან და სხვებთან ერთად, გიორგი ახვლედიანმა დიდი ამაგი დასდო ოსური ენის მეცნიერულად შესწავლასა და კვლევას. მისი ნაშრომები დღესაც არ კარგავს მნიშვნელობას და უმაღლესი სასწავლებლის ფუნდამენტურ სახელმძღვანელოდ გამოიყენება.

Ivane Javakhishvili was very concerned about the issues of studying the languages of the mountain people, the great scientist considered it his duty to raise the national consciousness of his neighbors living in the north and take care of the development of their writing. The development of national consciousness, their national revival, was impossible without education. That is why Ivane Javakhishvili focused on this matter immediately after the establishment of the university. At the Georgian University, in 1918, at the very first meeting of professors, he raised the issue of studying the Ossetian language.

Of course, the issue was really acute. The Ossetian language, a language of the Indo-European family, differs from the languages of the Iranian group primarily in phonetic and in general linguistic features. It contains sharp sounds known for both Iranian and Caucasian languages at the same time. That is why it was necessary to start his research at the scientific level at the university. Many well-educated linguists were already invited here. Giorgi Akhvediani was one of them to be appointed as the head of this case.

Ivane Javakhishvili believed that the study of the language and orality of the mountain people was very useful for them and

was necessary for the scientific study of our mother tongue. According to the great scientist, the national revival of the northern neighbors and the development of their writing signified the future political well-being of the Caucasians as a whole.

Ivane Javakhishvili entrusted the study and teaching of the Ossetian language to the great linguist Giorgi Akhvlediani. His contribution to the study of the Ossetian language is extensively reviewed in the work.

It can be said that along with great scientists Andreas Johan Sjögren, Vsevolod Miller, Georges Dumézil, Vasil Abaev and others, Giorgi Akhvlediani made a great contribution to the scientific study and research of the Ossetian language. His works do not lose their importance even today and are used as fundamental textbooks for higher education.

ნანა გაფრინდაშვილი

Nana Gaprindashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakishvili Tbilisi State University

ჰუმანიტაჲულ მეცნიეჲებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

სოციალური ინჲინერია სოცრეალიზმის სამსახურში:

მწერალი ადამიანის სულის ინჲინერია

Social Engineering at the Service of Social

Realism:

A Writer is an Engineer of the Human Soul

საკვანძო სიგყვები: სოციალური ინჲინერია, სოციალური

რეალიზმი, ადამიანის სული

Keywords: *Social Engineering, Social Realism, Human Soul*

საბჭოთა ხელისუფლებას კომპარტმენტალიზებული თავისი ლიტერატურა და ხელოვნება სჭირდებოდა, რომლებიც დაეხმარებოდა მას ძალაუფლების გაძლიერებაში, მასებში კომუნისტური პარტიის იდეების გავრცელებაში, მაგრამ ასეთი ფენომენი, ასეთი ტიპის ლიტერატურა იმ პერიოდში არ არსებობდა და ამიტომ საბჭოთა ხელისუფლებას თავად უნდა შეექმნა. ამ ლიტერატურას კომუნისტების იმედეები რომ გაემართლებინა და კომუნისტების მიერ მისთვის დასახული მიზნები შეესრულებინა, იგი უნდა ყოფილიყო მასებისათვის ადვილად გასაგები და აღსაქმელი. ე.ი. უნდა ყოფილიყო რეალისტური, მაგრამ არა რეალისტური ტრადიციული გაგებით (ლიტერატურულ მეთოდად რომ ჩამოყალიბდა XIX საუკუნეში და მანამდეც რომ არსებობდა ლიტერატურასა და ხელოვნებაში რეალისტური ნაკადის სახით, პირდაპირ და შეულამაზებლად რომ აღწერდა ცხოვრების სინამდვილეს, გამოსახვის საშუალებად რომ იყენებდა სინამდვილიდან აღებულ მასალას და ა.შ.), არამედ განსხვავებული. ეს უნდა ყოფილიყო სოციალისტური რეალიზმი, საბჭოთა ლიტერატურისათვის მისაღები ერთადერთი მეთოდი, რომელიც დაეფუძნებოდა ადამიანისა და სამყაროს სოციალისტურ კონცეფციას, აქტიურად ჩადგებოდა კომუნიზმის მშენებლობის სამსახურში, წარმოაჩენდა და გაავრცელებდა სოციალიზმის იდეალებს, გაამყარებდა საბჭოთა ხელისუფლებას, აღზრდიდა კომუნისტური იდეალების ერთგულ საბჭოთა ადამიანს და ა.შ. საბჭოთა კავშირის შექმნამდე ასეთ ფენომენს, ასეთ შემოქმედებით მეთოდს, კაცობრიობა არ იცნობდა. 1934 წელს საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველმა საკავშირო ყრილობამ სოციალისტური რეალიზმი ცნო ერთადერთ მხატვრულ მეთოდად. მის მთავარ პოსტულატებად გამოცხადდა პარტიულობა და სოციალისტური იდეურობა. სოცრეალიზმმა ლიტერატურა მთლიანად პოლიტიკასა და იდეოლოგიას დაუქ-

ვემდებარა. ასე შეიქმნა და ჩამოყალიბდა სოცრეალიზმის თეორიული პოსტულატები. შემდეგი ამოცანა მისი პრაქტიკაში განხორციელება იყო: მწერლებს კომუნისტური იდეები ლიტერატურაში უნდა გადაეტანათ, ლიტერატურიდან კი ისინი მკითხველში უნდა გადასულიყვნენ, რათა მიეღოთ საბოლოო პროდუქტი – ახალი, საბჭოთა ადამიანი. საბჭოთა ხელისუფლებამ ამ მიზნის მისაღწევად სხვა საშუალებებთან ერთად მიმართა ადამიანით მანიპულირებას, საქმეში ჩართო სოციალური ინჟინერია და სოცრეალიზმის ლიტერატურა პარტიული იდეოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი ამ უკანასკნელის „წყალობითაც“ გახდა. ამაზე ნათლად მეტყველებს „კომუნისტური მშენებელი საზოგადოებისათვის“ კარგად ცნობილი და მყარად დამკვიდრებული ფორმულა: „მწერალი ადამიანის სულის ინჟინერია“. ეს ლოზუნგი, რომლის ავტორი მწერალი ი. კ. ოლეშაა (1899-1960), მოიწონა და გაიმეორა სტალინმა და ამით სოცრეალიზმის ლიტერატურა პარტიული იდეოლოგიის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად, პროპაგანდის ერთ-ერთ ქმედით იარაღად წარმოადგინა. ეს იყო იმ პერიოდის შესატყვისი პარტიული სულისკვეთების გამომხატველი ეპოქალური დევიზი, რომელიც ყველა შესაბამისმა საბჭოურმა ინსტიტუციამ აიტაცა. აღსანიშნავია, რომ კრიტიკოსებიც ადამიანის სულის ინჟინრებად გამოაცხადეს, ოღონდ უფრო ვიწრო სპეციალიზაციის სფეროში გაამწესეს. მათი წარმოდგენით, მწერალი ინჟინერ-მშენებელი, ინჟინერ-კონსტრუქტორი იყო, ხოლო კრიტიკოსი - ინჟინერ-კონსულტანტი, პროდუქციის შემფასებელი (ვ. კირშონი). ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ კრიტიკოსებიც ჩააბეს სოციალური ინჟინერიის საერთო ფერხულში და ახალი ადამიანის შექმნა-გამოძერწვაში წვლილის შეტანა დაავალეს.

The Soviet government needed to have its literature and art compartmentalized to get help with strengthening its power and spreading the ideas of the Communist Party among the masses. However, there was no such phenomenon - such type of literature did not exist at that time, which meant that the Soviet government had to create one by itself. In order to have this form of literature justify the hopes of the communists and fulfill its goals, it should have been easily understood by the masses. To specify, it had to be realistic, but not realistic in the traditional sense (not similar to the one that was formed as a literary method in the 19th century and that existed in the form of a realistic flow in literature and art even before that, to precisely and boldly describe the reality of life and apply the reality as a means of expression, etc.) – it had to be something different. It was supposed to be the socialist realism - the only acceptable method for Soviet literature, which would be based on the socialist concept of the human and the world in general, and would actively engage in building communism, presenting and spreading the ideals of socialism, strengthening the Soviet regime, and educating Soviet people to develop loyalty to communist ideals, etc. Before the creation of the Soviet Union, humanity had not known such a phenomenon, such a creative method.

In 1934, the first convention of Soviet writers recognized the socialist realism as the one and the only literary method and announced the party principles and socialist ideology as its main postulates. Thus, socialist realism completely subordinated literature to politics and ideology. This is how the theoretical postulates of socialist realism were formed. The next task was to put the new literary form into practice: writers had to transfer communist ideas into literature, and from literature they had to transferred to the reader in order to obtain the final product -

the new, Soviet person. To this end, the Soviet regime, along with other means, resorted to human manipulation and social engineering - the latter contributed to developing the literature form of socialist realism as one of the most important tools of the party ideology. This is clearly demonstrated in the well-known formula for the "communism-building society": *The writer is the engineer of the human soul*. This slogan, authored by the writer I. K. Olesha (1899-1960), was embraced and repeated by Stalin himself, thus making the socialist realism an important tool of party ideology and propaganda. It was an epochal motto, which perfectly expressed the spirit of the corresponding party and was adopted by all relevant Soviet institutions. It is worth noting that literary critics were also referred to as engineers of the human soul, but in a narrower field of specialization. According to the Soviet mindset, the writer was an engineer-builder, engineer-constructor, and the critic was an engineer-consultant and a product evaluator (V. Kirshon). This new definition of literary critics implied that they as well were caught in the common trap of social engineering and assigned to contribute to the creation and sculpting of a new person.

თეიმურაზ გვიმრაძე

Teimuraz Gvimradze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakishvili Tbilisi State University

ჰუმანიტაჲლ მეცნიეხებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

ეთნოლოგია-ეთნოგრაფიის კათედრა თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტში

**Department of Ethnology-Ethnography at Tbilisi
State University**

საკვანძო სიგყვები: *კათედრა, ეთნოლოგია, ეთნოგრაფია*

Keywords: *Department, Ethnology, Ethnography*

ეთნოლოგია-ეთნოგრაფიის კათედრას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს, მისი მესაძირკვლე იყო ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებელი აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია, რომელიც 50 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა ეთნოგრაფების მომზადებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეთნოგრაფია-ეთნოლოგიის სახელწოდებით 1921 წლიდან იყო ბიოლოგიის, ანთროპოლოგიის და ეთნოლოგიის კათედრაზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა გიორგი ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე. 1926 ივანე ჭავჭავაძის რეკომენდაციით ეთნოლოგიის განხრით კათედრის პირველ ასპირანტად ჩაირიცხა გიორგი ჩიტაია. 1934 წელს ახლად დაარსებულ ისტორიის ფაკულტეტზე გიორგი ნიორაძის ხელმძღვანელობით იქმნება (მატერიალური კულტურის ისტორიის კათედრა,) რომელიც აერთიანებდა: არქეოლოგიას, ეთნოგრაფიას და ხელოვნების ისტორიას.

1935 წლიდან 1938 წლამდე არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის კათედრა იწოდებოდა „წინაკლასობრივი საზოგადოების ისტორიის კათედრად“ (ხელმძღვანელი გიორგი ნიორაძე). 1939 წელს გიორგი ჩიტაიას ენერგიული მუშაობის შედეგად ცალკე გამოეყო ეთნოგრაფიის კათედრა და გამგედ დაინიშნა დოცენტი გიორგი ჩიტაია. ახლად დაარსებული კათედრის წევრები იყვნენ: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ვერა ბარდაველიძე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი რუსუდან ხარაძე, ასპირანტები: მიხეილ გეგეშიძე და მიხეილ ჩართოლანი. 1940 წლიდან აკაკი სობაძე, ილია ჭყონია, იოსებ ნანობაშვილი და მარგალიტა ადამია.

1940 წლითვე თარიღდება ახლად დაარსებული ეთნოგრაფიის სხდომის პირველი ოქმი, რომელიც საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ ეთნოგრაფიის სწავლების საწყისი

პერიოდი საქართველოში. ამავე წელს ხევსურეთში, ბარისახოში დაარსდა პირველი ეთნოგრაფიული საველე სტაციონარი.

1951 წელს ეთნოგრაფიის კათედრა გაუქმდა და შეუერთდა არქეოლოგიის კათედრას. 1968 წლიდან ეთნოგრაფია კვლავ ცალკე კათედრად ჩამოყალიბდა და მას გიორგი ჩიტაია 1973 წლამდე განაგებდა. 1973-1983 წლამდე ეთნოგრაფიის კათედრას ხელმძღვანელობს დოცენტი ანდრო ლეკიაშვილი, რომელიც შეცვალა პროფესორმა ვახტანგ შამილაძემ. ბატონი ვახტანგის დაუღალავი შრომის შედეგად კათედრაზე შეიქმნა „ეთნიკური კულტურისა და ეროვნული ტრადიციების შემსწავლელი სამეცნიერო ლაბორატორია და ეთნოეკოლოგიის სამეცნიერო ლაბორატორია“. ბატონი ვახტანგის მოღვაწეობის პერიოდში 1987 წელს გაიხსნა „აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას კაბინეტი“ ამავე პერიოდში ეთნოგრაფიის კათედრას შეეცვალა სახელი და იწოდებოდა ეთნოლოგიის კათედრად, რომელმაც იარსება 2006 წლამდე.

2006 წელს ეთნოლოგიის კათედრა გაუქმდა და მის ნაცვლად შეიქმნა „ეთნოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტი“, რომელიც წარმატებით აგრძელებს იმ შესანიშნავ ტრადიციებს, რომელთა ფუძემდებლები ჩვენი დიდი მასწავლებლები იყვნენ.

The Department of Ethnology-Ethnography at Tbilisi State University has a long and interesting history, its founder was academician Giorgi Chitaia, the founder of the Georgian Ethnological School, who for 50 years led the training of new ethnographers.

Since 1921, he was the chair of biology, anthropology and ethnology at the Tbilisi State University under the name of ethnography-ethnology that was headed by Giorgi Javakhishvili. In 1926 by the recommendation of Ivane Javakhishvili, Giorgi Chitaia was enrolled as a post-graduate student in the Department of Ethnology. In 1934, under the leadership of Giorgi Nioradze, the Department of History of Material Culture was created at the newly established Faculty of History, which combined: archaeology, ethnography and art history.

From 1935 to 1938, the Department of Archeology and Ethnography was called the “Department of the History of Pre-Class Society” (Head Giorgi Nioradze). In 1939, as a result of Giorgi Chitaia’s selfless work, the Department of Ethnography was separated and Docent Giorgi Chitaia was appointed on the position of Head of the Department. The members of the newly established Department were: candidate of historical sciences Vera Bardavelidze, candidate of historical sciences Rusudan Khadaradze, post-graduate students: Mikheil Gegeshidze and Mikheil Chartovani. Akaki Sokhadze, Ilia Chkonia, Ioseb Nanobashvili and Margalita Adamia were joined them from 1940.

The first protocol of the newly established ethnography session dates back to 1940, which allows us to restore the initial period of teaching ethnography in Georgia. In the same year, the first Ethnographic Field Station was established in Barisakho, Khevsureti.

In 1951, the Department of Ethnography was abolished and joined the Department of Archaeology. From 1968, ethnography was again formed as a separate Department and it was headed by Giorgi Chitaia until 1973. Between 1973 and 1983, the Department of Ethnography was headed by Docent Andro Lekiasvili, who was replaced by Professor Vakhtang Shamiladze. As a result of tireless work of Mr. Vakhtang, a scientific laboratory for stud-

ying ethnic culture and national traditions, as well as a scientific laboratory of ethnoecology were created in the Department. During Mr. Vakhtang's tenure, "Academic Giorgi Chitaia' Cabinet" was opened in 1987. At the same time, the Department of Ethnography changed its name and was called the Department of Ethnology, which existed until 2006.

In 2006, the Department of Ethnology was abolished and the "Teaching Scientific Institute of Ethnology" was established in its place, which successfully continues the excellent traditions, the founders of which were our great teachers.

ია გრიგალაშვილი
Ia Grigalashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

უძველესი ქართული საეკლესიო გალობის
დათარიღების საკითხისათვის
About the Question of Dating the Oldest
Georgian Ecclesiastical Chant

საკვანძო სიტყვები: გალობა, საეკლესიო, უძველესი
Keywords: Chant, Ecclesiastical, The oldest

ჩვენი დაკვირვებით, უცნობი ავტორის „წმინდა კოლაელ ყრმათა წამებაში“, უძველესი ქართული საეკლესიო გალობის ნიმუშია მოცემული. მოძღვარი ყრმათა ნათლობისას წარმოთქვამს იმპროვიზებულ გალობას. ამ ტიპის გალობა იკრძალება საეკლესიო კრებათა დადგენილებებით უკვე მეოთხე საუკუნიდან.

ნათლობისას მოძღვრის მიერ წარმოთქმული გალობა მთავრდება „ალილუიით“, რომელიც გალობაში მხოლოდ ორჯერაა ნახსენები. ცნობილია, რომ ნიკეის საეკლესიო კრებაზე სამების დოგმატის დადგენის შემდეგ, დავით ებრაელთა მეფის ფსალმუნებში „ალილუიას“ სამჯერ აღნიშვნა გვხვდება. მაშასადამე, „წმინდა კოლაელ ყრმათა წამება“ დაწერილია 325 წლამდე, ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების ჩატარებამდე.

უძველესი ქართული საეკლესიო გალობა შექმნილია ადრექრისტიანულ ხანაში, შესაბამისად, მასში შეინიშნება წარმართულ ჰიმნთა სტრუქტურის გავლენა. მიუხედავად მკაცრი აკრძალვისა, რომ გამიჯვნოდნენ წარმართულ რწმენასა და ხელოვნებას, ადრექრისტიანული ხანის ქრისტიანებისათვის ერთბაშად ყველაფერ წინარექრისტიანულზე უარის თქმა რთული აღმოჩნდა. უძველეს ქართულ ჰაგიოგრაფიულ საკითხავში „წმინდა კოლაელ ყრმათა წამება“, ავტორს წარმართულ ღვთაებათა ჰიმნების სტრუქტურული ელემენტები აქვს გამოყენებული, რაც უძველეს ქართულ საეკლესიო გალობაში სიტყვათა, კერძოდ, „ალილუიას“, ორჯერ გამეორებით გამოვლინდა.

On our observation in the “Martyrdom of the Nine Children from Kola” by an unknown writer is given the oldest model of Georgian ecclesiastical chant. The priest sang an improvised

chant while christening the children. This kind of chant has already been forbidden since the 4th century AC.

The chant sung by the priest while christening is ended by the “Alleluia”, and is mentioned in it only twice. The fact is well-known that after the definition of the trinity dogma at the First Council of Nicaea we meet designation of “Alleluia” three times in the psalms of the Hebrew king David. Consequently, “The Martyrdom of the Nine Children from Kola” is written before the First Council of Nicaea that was held in 325.

The oldest Georgian ecclesiastical hymn is made in the age of the early Christianity, so influence of the structure of pagan hymns are revealed on it. Despite of a strong prohibition Christians of early Christianity couldn't deny pagan belief and art straightway. In the oldest hagiographic work- the “Martyrdom of the Nine Children from Kola” the author used repetition of the word - “Alleluia” twice that was almost similar with the structural elements of the pagan hymns.

მამუკა დოლიძე
Mamuka Dolidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

დროის ისტორია
History of Time

საკვანძო სიტყვები: ისტორია, დროის საზღვარი,
ინდეტერმინიზმი, ფენომენოლოგია
Key words: *History, Sense of time, Indeterminism,*
Phenomenology

არსებობს ისტორია? მოხსენებაში განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

ისტორია , როგორც მეცნიერების შესაძლებლობა; ისტორიის საზრისი;

დროის საზრისი და სამყაროს წარმოშობის ისტორია; „დიდი აფეთქების“ თეორიის კრიტიკა;

ისტორია და თავისუფლების იდეა;

სამყაროს ინდეტერმინიზმი;

დროის ფენომენოლოგიური ღიაობა და მეტაფიზიკური იდუმალება.

Does the history exist at all? The following issues will be considered in my presentation:

The meaning of history; History as a science;

Sense of time and appearance of the world; Theory of “Big Bang”; History and idea of freedom;

The indeterminism of the world. Phenomenological openness of time and its metaphysical mystery.

არპად ელეში

Árpád Éles

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტაჲულ მეცნიეეებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

„ოქრო ქვეყანა მთებს მიღმა“

კავკასია მორ იოკაის რომანში

Golden Land behind the Mountains

The Caucasus in the Novel of Mór Jókai

საკვანძო სიგყვები: ქახთუდ-უნგჲული კულტურული უხთიეხთობები, შედახებითი დიგეჲაგუჲა, მოხ იოკაი

Keywords: *Georgian-Hungarian Cultural relations, Comparative literature, Mór Jókai*

როგორც მთელი კავკასია, ისე საქართველოც ევროპულ აზროვნებაში ერთ-ერთ უძველეს ქვეყნად და ასევე ზღაპრულ-წარმოსახვით ადგილად ითვლებოდა. კავკასია ერთ-ერთი დასაწყისი წერტილი გახლდათ ძველი საუკუნეების სასწორზე, იგი იყო მრავალი მკვლევრისა თუ მოგზაურის შთაგონება მე-18-19 საუკუნეების ევროპაში. შესაბამისად, კულტურულ-ისტორიული რაიონი უნგრულ ლიტერატურაშიც საიდუმლოებებით სავსე რეგიონის სახით ჩნდებოდა. ამ სფეროში აღსანიშნავია დიდი უნგრელი მწერლის, **მორ იოკაის (Jókai Mór, 1825-1904 წწ.)** ნაწარმოებები. კონფერენციის მოხსენება აერთიანებს იმ მოსაზრებებს, რომლებიც ამ პერიოდში საქართველოს შესახებ უნგრეთში იყო გავრცელებული და აანალიზებს წარმოსახვისა (fiction) და რეალობის კავშირს იოკაის ნაკლებად ცნობილ, მაგრამ საინტერესო კავკასიურ რომანში, სათაურით „ბერძნული ცეცხლი“ (*Görögtűz, 1877 წ.*).

Georgia had always been considered to be an ancient and fairy-tale land in Europe. As one of the possible starting points of human civilization, the geographically and linguistically diverse cultural space shaped several theories on history during the 18-19th century. Therefore, the land was a source of inspiration for Hungarian authors as well, providing them with historical ideas on the „Caucasus” – surrounded by clouds and mystery. Among them, we have to necessarily mention “The Great Hungarian Story-teller”, Mór Jókai (1825 – 1904), who was also inspired by Georgia. The presentation ensembles the concepts on Georgia created by Hungarian intellectuals in this period and focuses on the relation between fiction and reality in the novel of Mór Jqkai, *Görögtűz* (Greek Fire, 1877).

იამზე ვაშაკიძე
Iamze Vashakidze

*კავკასიის უნივერსიტეტი
ჰუმანიტაჲ და სოციალური
მეცნიერებათა სკოლა
Caucasus University
School of Humanities and Social Sciences*

**ნ. ი. მარისა და ი. ჯავახიშვილის წერილები
უნივერსიტეტზე, როგორც ქართული მეცნიერების
ისტორიის ამსახველი წყარო**
**The Letters by N. I. Marr and
I. Javakhishvili on University, as a Source of the
Reflection of History
of the Georgian Science**

*საკვანძო სიტყვები: მარისა, ჯავახიშვილი, წერილები,
ქართული მეცნიერება,*
Keywords: Marr, Javakhishvili, Letters, Georgian Science

საქართველოში რუსული სამოქალაქო მმართველობის დამყარების პერიოდიდან (XIX ს. 40-იანი წწ.) იწყება იმპერიული კურსის მესვეურთა აქტიური ბრძოლა ქართული ეროვნული თვითმყოფადობისა და, პირველ რიგში, ქართული ენის, ქართულენოვანი განათლების (მეცნიერების) წინააღმდეგ. ჯერ კიდევ 60-იანელთა თაობამ ი. ჭავჭავაძის მეთაურობით იტვირთა ქართული ენის უფლებების აღდგენისათვის ბრძოლა და წამოჭრა უნივერსიტეტის გახსნის საკითხი.

რუსეთის იმპერიის რევოლუციის გზით ნგრევამ (1917) დააჩქარა საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი პროცესები; ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის (1917 წლის 12 მარტი) შემდეგ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად იქცა ქართული უნივერსიტეტის დაარსება, რაც 1918 წლის 8 თებერვალს განახორციელა მოწინავე ქართველმა ინტელიგენციამ ილია ჭავჭავაძის გზის ღირსეული გამგრძელებლის – ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით.

უნივერსიტეტის დაარსებამ გამოააშკარავა ქართულენოვანი განათლებისა და მეცნიერების მოწინააღმდეგენი – რუსეთის იმპერიის პოლიტიკური და სამეცნიერო ელიტა, რომლის მნიშვნელოვანი წარმომადგენელიც იყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, წარმოშობით ქართველი მეცნიერი ნიკო მარი. ი. ჯავახიშვილისა და ნ. მარის წერილებში ასახულია რადიკალურად განსხვავებული პოზიციები ეროვნული მეცნიერების / განათლების დაგეგმვისა და განვითარების შესახებ, კერძოდ:

- ნ. მარმა უმაღლესი სკოლების რეფორმების კომისიისადმი წარდგენილ წერილში დასვა თბილისში კავკასიის სახელმწიფო / რუსული უნივერსიტეტის დაარსების საკითხი, ნაცვლად ქართული უნივერსიტეტისა; მან პოლიტიკური დაპირისპირების თემად აქცია ასევე წმინდა მეცნიერული საკითხები: ა) რუსეთის საცავებში არსებული ქართუ-

ლი ხელნაწერებისა და სიძველეების საქართველოსთვის გადმოცემა; ბ) ამერიკელ არქეოლოგთა ექსპედიცია მცხეთასა და ნაქალაქევში და ნიადაგი მოამზადა ქართველ მეცნიერთა წინააღმდეგ ბოლშევიკური რეპრესიებისათვის.

- ი. ჭავჭავაძე, იცავს რა უმაღლესი ეროვნული განათლებისა და მეცნიერების სკოლის ინტერესებს, ამხელს ნ. მარს, როგორც იმპერიის იდეოლოგს. ი. ჭავჭავაძემ გამოხატა თავისი მოქალაქეობრივი პოზიცია, როდესაც გააცხადა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს უარყოფითი გადაწყვეტილება (შექმნილი პირობების მიხედვით) ნ. მართან „რაიმე თანამშრომლობაზე“, რამაც გამოიწვია ნ. მარის მხარდამჭერი პოლიტიკოსების გაღიზიანება.

ქართული მეცნიერების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური ბრძოლის პრაქტიკული შედეგი იყო ივ. ჭავჭავაძის რექტორობიდან გადაყენება (1926), რასაც მოჰყვა ქართული უნივერსიტეტის დაშლაც (1930).

ორი დიდი მეცნიერის – ი. ჭავჭავაძისა და ნ. მარის ნერილების პრობლემატიკა არ კარგავს აქტუალობას თანამედროვე პირობებშიც, როცა საკითხი ეხება ეროვნული მეცნიერების ორგანიზებასა და ხელშეწყობას.

From the period of the establishment of the Russian civil government in Georgia (40s of the XIX century), the active struggle of the rulers of the imperial course began against the Georgian national identity and, first of all, the Georgian language, Georgian-language education (science). Even the generation of the 60s, commanded by I. Chavchavadze, led the struggle for the restoration of the rights of the Georgian language and raised the issue of opening a university.

The collapse of the Russian Empire through the revolution (1917) accelerated the processes of national liberation in Georgia; After the restoration of the autocephaly of the Church (March 12, 1917), one of the important tasks was the establishment of the Georgian University. What was carried out on February 8, 1918 by the foremost Georgian intelligence, led by Ivane Javakhishvili – who was the worthy descendant of I. Chavchavadze.

The establishment of the university exposed the opponents of Georgian-language education and science – the political and scientific elite of Russian Empire – whose important representative was the member of the Russian Academy of Sciences, the Georgian-born scientist Nikolai Yakovlevich Marr. I. Javakhishvili and N. Marr's letters reflect radically different positions on the planning and development of national science/education, namely:

- N. Marr submitted to the Higher Schools Reforms Commission in the letter, he raised the issue of establishing the Caucasus State / Russian University in Tbilisi, instead of the Georgian University; He also made purely scientific issues: a. return to the homeland of the Georgian manuscripts and other antiquities moved to Russia at different times; b. conducting of archaeological research in historical areas of the country –Mtskheta and Nakalakevi the topic of political controversy, thus preparing the atmosphere for Bolshevik repression against the Georgian scientists.

- I. Javakhishvili protects the interests of the National Higher Education and Science School, exposes N. Marr as an ideologue of the Empire. I. Javakhishvili expressed his civil position when he announced the refusal of the Council of Professors of the University “to cooperate in any form” with N.Marr, which caused the irritation of the Soviet politicians supporting N.Marr.

A practical result of the political struggle against Georgian science was I. Javakhishvili's dismissal from the Rector's post (1926), which was followed by the dissolution of the University (1930).

The problematic of the letters by two great scientists I. Javakhishvili and N. Marie does not lose its relevance even in modern conditions when the issue concerns the organization and promotion of national science.

სარდიონ ზედელაშვილი
Sardion Zedelashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაჲ მეცნიეებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

ოკუპირებული აფხაზეთი –
ინტერესთა გადაკვეთის ადგილი
ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში
Occupied Abkhazia –
a Place of Intersection of Interests
in the North-West Caucasus

საკვანძო სიგყვები: *ოკუპირებული აფხაზეთი, ჩეჩენური*
საკითხი, გეოპოლიტიკა, საეხთაშოხისო უხთიეხთობები,
საქათველო

Keywords: *Occupied Abkhazia, Circassian issue, Geopolitics,*
International relations, Georgia

რუსეთის ფედერაციას დღეს ჩრდილოდასავლეთ კავკასიაში შექმნილი აქვს გარკვეული პრობლემები „ჩერქეზულ საკითხთან“ დაკავშირებით, რადგან რუსეთის მხრიდან დღემდე ჩერქეზთა გენოციდი და ტრაგიკული მოვლენები არ გამხდარა რეალური ისტორიული შეფასების საგანი, ხოლო ჩერქეზული დიასპორისა და ადგილობრივ ჩერქეზთა მოძრაობა კვლავ დგას დღის წესრიგში. ჩრდილოეთ კავკასიის ცალ-ცალკე დანაწევრებულ ჩერქეზულ სუბიექტებშიც კი რუსეთი დიდ საფრთხეს ხედავს. რეგიონში მწვავე გეოპოლიტიკური საკითხების გადასაჭრელ ინსტრუმენტად რუსეთს ესახება საქართველოს განუყოფელი და ახლა ოკუპირებული ტერიტორია – აფხაზეთი, სადაც რუსეთის პროპაგანდამ ორი საუკუნის მანძილზე შედეგი გამოიღო – მოხდა გაუცხოება ქართველ და აფსუა ხალხებს შორის. რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიის – აფხაზეთის – აღიარებით რუსეთს სურს აჩვენოს ჩერქეზებს, რომ მათი მოძმე აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები აფსუა ეთნოსი რუსეთის ფრთებქვეშ არის „დაცული“. ჩერქეზული საკითხი კვლავ მნიშვნელოვანია საერთაშორისო ურთიერთობების დღის წესრიგში (რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა), თანაც ისე, რომ ეს აღიქმება ანტირუსულ კონტექსტში. რუსეთს სურს არსებულ სიტუაციაში ოკუპირებულმა აფხაზეთმა, რომლის „დამოუკიდებლობაც“ რუსეთმა აღიარა, შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი რუსეთსა და ჩერქეზულ დიასპორას შორის კონსტრუქციული დიალოგის წარმართვაში, ოღონდ გარკვეული პირობებით. ეთნიკური აფსუები, როგორც აფხაზეთში, ასევე დიასპორაში მყოფი, „ვალში არიან“ რუსეთის წინაშე აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობით. ამიტომ აფსუებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ – დაეხმარონ რუსეთს „ჩერქეზული საკითხის“ გადაწყვეტაში რუსეთის ინტერესების შესაბამისად. ამ გეო-

პოლიტიკურ კონტექსტში რუსეთის მხრიდან იგნორირებულია საქართველო და ოფიციალური საქართველოც არ არის გააქტიურებული ამ საკითხის განსახილველად საერთაშორისო თანამეგობრობასთან.

კვლევა ჩატარებული არის ემპირიული მასალის საფუძველზე.

Today, the Russian Federation has certain problems related to the "Circassian issue" in the Western Caucasus, because the genocide and tragic events of the Circassians have not been the subject of a real historical assessment from the Russian side, and the movement of the Circassian diaspora and local Circassians is still on the agenda. Russia sees a great danger even in the separate Circassian entities of the North Caucasus. As an instrument to solve the acute geopolitical issues in the region, Russia sees the indivisible and now occupied territory of Georgia – Abkhazia, where Russian propaganda has yielded results for two centuries – alienation occurred between the *Georgian* and *Apsua* peoples. By recognizing the occupied territory of Georgia – Abkhazia – by Russia, Russia wants to show the Circassians that their brother *Apsua* ethnic group living in the territory of Abkhazia is "protected" under the wings of Russia. The Circassian issue is still important in the agenda of international relations (Russia–Turkey relations), even though it is perceived in an anti-Russian context. In the current situation, Russia wants the occupied Abkhazia, whose "independence" Russia has recognized, to play an important role in conducting a constructive dialogue between Russia and the Circassian diaspora, but under certain conditions. Ethnic *Apsuas*, both in Abkhazia and in the diaspora, are "in debt" to Russia for declaring Abkhazia's independence. Therefore, *Apsuas* consider it expedient to help Rus-

sia in solving the "Circassian issue" in accordance with Russia's interests.

In this geopolitical context, Georgia is ignored by Russia, and official Georgia is not active in discussing this issue with the international community.

The research is conducted on the basis of empirical material.

ქეთევან კაკიტელაშვილი
Ketevan Kakitelashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაჲ მეცნიეებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

ებრაული იდენტობის სეკულარიზაციის მექანიზმები
საბჭოთა ებრაული იდენტობის ჩამოყალიბებისათვის
1920-1930-იან წლებში
Mechanisms of Secularization of Jewish Identity
for the Formation of Soviet Jewish Identity in
the 1920s-1930s

საკვანძო სიტყვები: იდენტობა, საბჭოთა ანტირელიგიური
პროპაგანდა, ებრაული თემი, სეკულარიზაცია

Keywords: *Identity, Soviet antireligious propaganda, Jewish*
community, Secularization

1921 წელს, საქართველოში საბჭოთა მმართველობის დამყარების შემდეგ, ქვეყანაში ახალი, მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიაზე დამყარებული პოლიტიკური და სოციალური სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო. 1920-1930-იანი წლები აღინიშნა წინააღმდეგობრივი ეროვნული და ეკონომიკური პოლიტიკით. საბჭოთა ეროვნული ექსპერიმენტის ერთ-ერთი მიზანი საბჭოთა სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ხალხების, მათ შორის, ებრაელთა იდენტობის ახალი კონცეფციის შემუშავება და მისი განხორციელება იყო.

გასაბჭოებამდე ქართველ ებრაელთა იდენტობა მჭიდროდ უკავშირდებოდა რელიგიას; თემის ძირითადი ნაწილის ცხოვრება სინაგოგის გარშემო იყო კონცენტრირებული. რაც შეეხება მათ ეკონომიკურ და სამართლებრივ მდგომარეობას, ებრაელთა უდიდესი უმრავლესობა ჩართული იყო სავაჭრო საქმიანობაში; 1918-1921 წლებში მათი სრულუფლებიანი სამოქალაქო სტატუსი უზრუნველყოფილი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლობით. გასაბჭოების შემდეგ მათი იდენტობის არსებითად განსხვავებული მოდელი შემუშავდა. ებრაელთა 90 პროცენტზე მეტს, როგორც „ჩარჩებს, ვაჭრებს და ექსპლუატატორებს“, ანუ „არამშრომელ ელემენტებს“, ჩამოერთვათ ხმის და დასაქმების უფლება. ებრაელების „ახალი ცხოვრების აღმშენებლობაში“ ჩასართავად შემუშავდა საგანგებო სამუშაო გეგმა, შეიქმნა კომიტეტი და საზოგადოებები. 1920-იანი წლების ანტირელიგიური პროპაგანდა და ახალი ებრაული დასახლებებისა დაარსება მიზნად ისახავდა ქართველ ებრაელთა ტრადიციული ცხოვრების წესისა და იდენტობის მთავარი საყრდენის შესუსტებას და სეკულარული „ახალი ადამიანის – ებრაელი მშრომელისა და ებრაელი გლეხის“ დაბადებას.

In 1921, after the establishment of Soviet rule in Georgia, a new political and social system based on Marxist-Leninist ideology began to be established in the country. The 1920s-1930s were marked by contradictory nationality and economic policies. One of the goals of the Soviet nationality experiment was to develop and implement a new concept of identity of the Soviet peoples, including the Jews.

Before Sovietization, Georgian Jewish identity was closely linked to religion; the Jewish communal life was concentrated around the synagogue. As for economic activity and legal status, the vast majority of Jews were involved in trade; in 1918-1921, their full-fledged civil rights were ensured by the legislation of the Democratic Republic of Georgia. After Sovietization, a fundamentally different model of Jewish identity was developed. More than 90 percent of Jews labeled as “peddlers, traders, and exploiters,” or “non-working elements,” were denied the electoral and labor rights. In order to involve them in the “building of a new life,” a special committee and societies were established and work plans were developed. At the end of the 1920s, Soviet anti-religious propaganda, establishment of new Jewish settlements and collective farms were aimed at separation of Jews from their faith, weakening the main pillars of Georgian Jewish lifestyle and identity and creation of a “new man - a Jewish worker and a Jewish peasant”.

ზვიად კვიციანი

Zviad Kvitsiani

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakishvili Tbilisi State University

ჰუმანიტაჲულ მეცნიეხებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

მრავალსახელიანი სვანურენოვანი მოსახლეობის

განსახლების საკითხისათვის

For the settlement of the multi-named Svan

language population

საკვანძო სიტყვები: *ჰენიოხი, რომაედი, მელიქიშვიდი*

Keywords: *Heniokh, Roman, Melikishvili*

არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული ქართველური ეთნიკური ნაკადის – სვანურენოვანი მოსახლეობის განსახლების საკითხების შესახებ. ძველად სვანები გაცილებით მეტ ტერიტორიაზე იყვნენ დასახლებული, ვიდრე მოგვიანებით, რაზეც მეტყველებენ, როგორც ისტორიული წყაროები, ისე დასავლეთ საქართველოს ტოპონიმის ანალიზი, რომელიც სვანურ სახელწოდებებს ავლენს კოლხეთის როგორც მთიან, ისე დაბლობ ნაწილში (გ. მელიქიშვილი).

ბერძენ-რომაელი, ბიზანტიელი ავტორები (პეროდოტე, ქსენოფონტე, აპოლონიოს როდოსელი, სტრაბონი, დიონისე, სტეფანე ბიზანტიელი, პლინიუსი, პომპეუს მელა, კლაუდიოს პტოლემეაოსი, იპოლიტე რომაელი, პროკოფი კესარიელი და სხვა) საინტერესო ცნობებს გვანვდიან ქართველი-სვანი ტომების: მაკრონების-სვანების, მოსინიკების, სვანი-კოლხების, ჰენიოხების-სვანი-სანიგების, განსახლების საკითხებზე. ამ წყაროების მიხედვით სვანური მოდგმის ხალხი, განსახლებული ჩანს როგორც ჩრდილო დასავლეთ კოლხეთში, ასევე მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, საერთოდ სვანური ტომების კვალს ხედავენ ტრაპეზუნდიან ნიკოფსიამდე. ერთი რამ ცხადია, უძველესი წყაროების მიხედვით სვანურ ქართველურ ტომებს განსახლების ვრცელი ტერიტორია ეკავათ, ვიდრე დღეს არიან ისინი წარმოდგენილნი. სავარაუდოდ სახელწოდება ჰენიოხი იმ პერიოდში უნდა ყოფილიყო კრებისითი,ზოგადი ხასიათის, რომელიც გულისხმობდა სხვა (სვანების, სანიგების, მისიმელების, სვანო-კოლხების, მაქლონ-მაკრონების, მოსინიკების) სვანურენოვანი ტომების გაერთიანებასაც.

საკმაოა თვალი გადავავლოთ დასავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობას და საოცარ სურათს დავადგენთ: ამ მოსახლეობის დიდი ნაწილი სწორედ სვანური მოდგმისანი არიან (ნ. ბერძენიშვილი). გლოტოქრონოლოგიურ მე-

თოდზე დაყრდნობით, რომელიც გულისხმობს ფუძე ენის მონათესავე ენებად დაშლის პროცესის აბსოლუტურ დათარიღებას (ლექსიკონი, სტატისტიკა და ა.შ), ვარაუდობენ საერთო ქართული ენიდან სვანურის გამოყოფას ძვ.წ. III-II ათასწლეულების დასასრულს, ან ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში. ფიქრობენ, რომ ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულს ერთდროულად მოხდა ქართული ენიდან სვანურის გამოყოფა, მათი მოსვლა და განსახლება დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში. მათ კვალს ამჩნევენ როგორც დაღეძილი უძველესი ფესვების მქონე ტოპონიმებით, ვარაუდი დამყარებულია ონომასტიკის მონაცემებზე, კერძოდ, ტოპონიმიკურ, ე.ი. გეოგრაფიულ სახელწოდებათა მონაცემებზე, რომლებსაც სვანური ენობრივი სამყაროს კუთვნილებად მიიჩნევენ, დაწყებული ნ. მარიდან ი. ჭავჭავიძე, ს. ჯანაშია, ა. ჩიქობავა, ქ.ლომთათიძე, ს. ყაუხჩიშვილი და სხვები. ა. ინაიშვილის აზრით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში, ე.ი. აჭარასა და გურიაში სვანურენოვანი ონომასტიკა თავდაპირველია და, ამდენად, უფრო ძველი, ძველი ქართული წყაროს ცნობა, რომ წმ. ანდრია მოციქული მდ. ჭოროხის გადაკვეთის შემდეგ შევიდა სვანეთის ქვეყანაში, რომ დასავლეთ საქართველო სვანეთად იწოდებოდა – უფრო გასაგები ხდება.

სვანური ტოპონიმების გავრცელებას ბათუმის არეალში ეთანხმებიან არქეოლოგებიც, რადგანაც მიიჩნევა, რომ სვანები სამხრეთითაც ცხოვრობდნენ ადრეულ ხანებში (თ. მიქელაძე, ლ. ჭიბლაძე და სხვა). საყურადღებოა თანხვედრა თუ არა არქეოლოგიური მონაცემები გლოტოქრონოლოგიური მეთოდით მიღებულ დათარიღებას და როგორ ურთიერთშესაბამისობაში მოდიან ისინი ერთმანეთთან. როგორც ჩანს კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე გავრცელებული პროტოკოლხური კულტურის მატარებელი უნდა

ყოფილიყო ქართველური ეთნიკური ნაკადი სვანურენოვანი მოსახლეობა.

A number of opinions have been expressed about the issue of resettlement of the Svan-speaking population of the Georgian ethnic stream. In ancient times, the Svans were settled in a much larger area than later, which is shown by both historical sources and the toponymy analysis of Western Georgia, which reveals Svan names in both the mountainous and plain parts of Kolkheti (G. Melikishvili).

Greco-Roman, Byzantine authors (Herodotus, Xenophon, Apollonius of Rhodes, Strabo, Dionysius, Stephen of Byzantium, Pliny, Pompey the Fox, Claudius Ptolemy, Hippolytus of Rome, Procopius of Caesarea and others) provide us with interesting information about the Georgian-Svani tribes: Makroni-Svani, Mosiniki. On issues of settlement of Suani-Kolkhs, Heniokhs-Svani-Sanigs. According to these sources, the people of the Svan tribe seem to be settled both in North-West Kolkheti and in the whole South-Eastern Black Sea region. In general, traces of Svan tribes can be seen from Trebizond to Nikofsia. One thing is clear, according to the ancient sources, the Svani Kartvelian tribes occupied a larger area of settlement than they are represented today. Probably, the name Heniokh should have been a collective, general character in that period, which meant the union of other Svan-speaking tribes (Svans, Sanigs, Misimians, Svano-Kolkhs, Makhelon-Macrons, Mosinikis).

It is enough to take a look at the population of Bari in Western Georgia and we will see an amazing picture: a large part of this population is of Svan origin (N. Berdzenishvili). Based on the glottochronological method, which involves the absolute dating of the process of splitting the base language into related languages (lexicon, statistics, etc.), it is assumed that Svanuri

was separated from the common Georgian language in BC. At the end of III-II millennia, or BC. At the beginning of the II millennium. They think that BC At the end of the 3rd millennium, the separation of Svanuri from the Georgian language, their arrival and settlement in the coastal strip of Western Georgia took place at the same time. Their traces are noticed as deposited by toponyms with ancient roots, the assumption is based on onomastic data, in particular, toponymic, i.e. On the data of geographical names, which are considered to belong to the Svan language world, starting from N. Maridan I. Javakhishvili, S. Janashia, A. Chikobava, K. Lomtadze, S. Kaukhchishvili and others. A. According to Inaishvili, in the coastal area of South-West Georgia, i.e. The Svan language onomastics in Achara and Guria is original and, thus, the information from an older, old Georgian source that St. Andrew the Apostle River After crossing Chorokhi, he entered the country of Svaneti, that Western Georgia was called Svaneti - it becomes more understandable.

Archaeologists also agree with the spread of Svan toponyms in the Batumi area, because it is believed that Svans lived in the south in early times (T. Mikeladze, L. Jiblaze and others). It is worth noting whether the archaeological data agree with the dating obtained by the glottochronological method and how they correspond with each other. It seems that the carrier of the proto-Colkhuri culture spread in the territory of the Kolkheta plain should have been the Kartevian ethnic stream, the Svan-speaking population.

ბონდო კუპატაძე

Bondo Kupatadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakishvili Tbilisi State University

ჰუმანიტაჲ მეცნიეებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

ადიგენის მუნიციპალიტეტის კულტურული

მემკვიდრეობა

(შუა საუკუნეების ფორტიფიკაციები და საერო

ნაგებობები)

**Cultural Heritage of Adigeni Municipality
(Medieval Fortifications and Secular Buildings)**

საკვანძო სიგყვები: სამცხე, კუდგუხუდი მემკვიდრეობა,

ციხე-სიმაგე, ქახვასდა, აბანო.

Keywords: Samtskhe, Cultural heritage, Fortress, Caravanserai, Bath

2022 წლის დასაწყისიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბაზაზე ხორციელდება სამწლიანი პროექტი „სამცხის რეგიონის ისტორიის და კულტურის ძეგლები“, რომელიც დაფინანსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კვლევის პროგრამის ფარგლებში.

პროექტი „სამცხის რეგიონის ისტორიის და კულტურის ძეგლები“ გულისხმობს ისტორიული სამცხის ტერიტორიაზე (თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით-ადიგენის, ასპინძის, ახალციხის რაიონები) არსებული ისტორიის და კულტურის ძეგლთა (ეკლესია-მონასტერი, მეჩეთი, სხვა საკულტო ნაგებობები, ციხე-სიმაგრე, კოშკი, ნანგრევი, დარბაზი, დარანი, ისტორიული შენობა-ნაგებობა – აგებული 1921 წლამდე) სრულ აღნუსხვას, ფოტო-ვიდეო-ფიქსაციას, არქიტექტურული გეგმების, ანაზომების და ქრილების მომზადებას, წარწერების (ეპიგრაფიკული. ლაპიდარული, ნაკანრი) წაკითხვას და აკადემიურ დონეზე პუბლიკაციას, ისტორიის და ხელოვნებათმცოდნეობითი ნარკვევის მომზადებას თითოეულ ძეგლზე.

პროექტის საბოლოო პროდუქტი იქნება ორენოვანი მონოგრაფია (ქართულ და ინგლისურ ენებზე) „სამცხის ისტორიის და კულტურის ძეგლები“. პუბლიკაციაში თითოეულ ძეგლზე დაიწერება ენციკლოპედიური ტიპის ანალიტიკური სტატია, რომელიც შემდეგი ნაწილებისგან იქნება შემდგარი: 1. ძეგლის მდებარეობა და ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, ტოპონიმიკა; 2. ძეგლის შესწავლის ისტორია ბიბლიოგრაფიით; 3. ძეგლის ტიპოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობითი და არქიტექტურული აღწერილობა (ძეგლის გეგმა, ანაზომი, ქრილი). 4. ძეგლის ისტორია, წარატიული, დოკუმენტური და ეპიგრაფიკული წყაროები.

ადიგენის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის საერო ძეგლებს შორის უმნიშვნელოვანესია: აფიეთის ციხე და ქარვასლა, კიკიბოს ციხე, უდეს (ხანდაკის) ციხე, ოქროს ციხე, ხერხემის ციხე, თამარ მეფის ციხე, მელნისის ციხე, ხიდი მდ. ოცხეზე, მახვილოს ციხე, ზანავის ციხე, კეხოვანის კოშკი, სოფ. აბასთუმნის აბანო.³

From the beginning of 2022, the three-year project "Monuments of History and Culture of the Samtskhe Region" is being implemented at the scientific base of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, which is financed within the framework of the Georgian Cultural Heritage Research Program of the Shota Rustaveli National Science Foundation.

The aim of the project “Historical-Cultural Heritage of Samtskhe” is to study the architectural monuments of Samtskhe region in Georgia (according to the modern administrative division – Akhaltsike, Aspindza and Adigeni municipalities). There is different kind of buildings in this region: churches, monasteries, castles, keeps, towers, mosques, darbazi-type living houses, darans, built in the period until 1921. The main goal of the project is to record the historical monuments of Samtskhe, make their scholarly analysis, schemes, photo and video recording, to study the paleographic data etc. The team will prepare and publish the research concerning each of the monuments.

The main outcome of the project will be bilingual monograph (Georgian-English) “Historical-Cultural Heritage of Samtskhe”; analytic papers of encyclopedical type concerning each

³ კვლევა [გრანტის ნომერი HE-21-1739] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით“.

monument, which will consist of the parts as follows: 1) location of the building, toponyms, historical-geographical research, 2) history and historiography of the monument, 3) its architectural and artistic peculiarities, detailed schemes, 4) narrative, documentary and epigraphic sources.

Among the secular monuments of cultural heritage of Adigeni municipality, the most important are: Afieti Castle and Caravanserai, Kikibo Castle, Ude (Khandaki) Castle, Golden Castle, Kharkhemi Castle, King Tamar Castle, Melnisi Castle, Bridge over the Otskhe-river, Makhvilo Castle, Zanavi Castle, Kekhovani Tower, Village Abastumni bath.⁴

⁴ This research [grant number HE-21-1739] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)

ხვთისო მამისიმედიშვილი
Khvtiso Mamisimedishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაჲულ მეცნიეხებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

**აფხაზური ხალხური მისტერიის რეპრეზენტაცია გ.
ტაბიძის ლექსში „პირველ თაველებს“**
Representation of Abkhaz folk mystery in
Galaktion Tabidze’s poem
“The First Stables”

საკვანძო სიტყვები: აფხაზუი-ქაიხური უიოიეიოობები,
აფხაზუი ფოლკლოიი, გადაკვიონ ტაბიძე

Keywords: *Abkhaz-Georgian Relations, Abkhazian folklore,*
Galaktion Tabidze

ფოლკლორული წარმომავლობის სახე-სიმბოლოების სიმდიდრით გამოირჩევა გ. ტაბიძის ოთხსტროფიანი ლექსი „პირველ თაველებს“, რომელიც პოეტის შემოქმედების ხალხურ ტრადიციასთან კავშირს კიდევ ერთხელ ადასტურებს. ლექსი გაჯერებულია მითოლოგიური სიმბოლოზმის შემცველი ტაეპებით: „პირველი თაველების დღესასწაული“, აივნების ყვავილებით მორთვა, ტყეში ღამით ნუგეშის ყვავილის ძებნა, მთებში განძის ძიება, დილით ირმების ჯირითით დევნა და სხვ.

პირველი სტროფი ლექსის ერთგვარ ექსპოზიციურ ნაწილს წარმოადგენს, რომელშიც სიტყვების „ვდღესასწაულობთ“ და „მოსასწაულეს“ მონაცვლეობა მკითხველს სასწაულის მოლოდინითა და ამალღებული განწყობით აღავსებს. ცხადია, რომ ლექსი მითოლოგიებით საკრალურ დროს, რომელიდაც მივიწყებულ დღესასწაულსა და საიდუმლო რიტუალს ასახავს. პოეტურ ნაწარმოებში მნიშვნელოვან ეფექტს ქმნის დღესასწაულისთვის დამახასიათებელი გუნდური ელემენტი, რადგან მასში გუნდ-გუნდად მონაწილეობენ ქალები და ვაჟები. საგულისხმოა, რომ „პირველ თაველებს“ რიტუალური პროცესიის მხოლოდ ნაწილს – ღამისა და განთიადის მსვლელობას წარმოგვიდგენს. ისევე როგორც საიდუმლო რელიგიურ რიტუალს ახასიათებს, ლექსშიც ქალებისა და ვაჟების როლი დიფერენცირებულია: დღესასწაულის წინა ღამეს ქალები ნუგეშის ყვავილის საძებნელად ტყეში მიდიან, ხოლო ვაჟების გუნდი მთაში ხაზინის, იგივე განძის, საპოვნელად მიდის:

ნუგეშის ყვავილიც და განძიც, ორივე მხატვრულ-მითოლოგიური სიმბოლოებია. მათში კაცთაგან უხილავი და უცნობი საიდუმლო მოიხაზრება. თუ აკაკის ლექსში „სულიკო“ ლირიკული გმირი საყვარელს ვარდში, ბუღბუღსა და ვარსკვლავში პოულობს, გ. ტაბიძის ლექსში მისტერიის მო-

ნაწილად ქალებს ღამით ნუგეშის ყვავილის ძებნა ახარებთ, რომელიც, როგორც აკაკისთან, ასევე გალაკტიონთან ზებუნებრივ, ზეციურ, ტრანსცენდენტურ ძალას განასახიერებს.

ლექს „პირველ თაველებს“ განსაკუთრებული საკრალიზმით მსჭვალავს განძის ძიების მოტივი, რადგან განძი მითოლოგიაში უმაღლეს სინმინდეს განასახიერებს. ის მთა, სადაც „ვაჟნი ეძებდნენ... ხაზინას“, კოსმოსური მთის კონოტაციასაც შეიცავს, რადგან იქ განძი ინახება. ასეთ მთას, ხალხური მითოსური იმაგინაციით, ძირი ქვესკნელში უდგას და მისი წვერი ცას სწვდება.

გალაკტიონის ლექსის ფინალური სტროფი ირმების დევნის პროცესს ასახავს. ირმის დევნა გავრცელებული სიუჟეტია მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორში, ისევე როგორც ირმის კვალზე განძის აღმოჩენა. ლექსი „პირველ თაველებს“ ფინალურ სტროფში ირმის დევნისა და დაჭრილი ნუკრის კვნესით გამოწვეულ განცდას გადმოგვცემს. ცხადია, გ. ტაბიძის ამ პოეტური ნაწარმოების უკანასკნელი სტროფი, შეიძლება ფარნავაზის ნადირობის ერთგვარ პოეტურ რემინისცენციად აღვიქვათ, მით უფრო, რომ ლექსში გაჟღერებულია განძის ძიების მოტივი. რადგან ირემი მითოსში ზებუნებრივ არსებებს განასახიერებს, ვფიქრობ, დაჭრილი ნუკრის კვნესაც, რომელიც, ლექსის მიხედვით, დღესასწაულის მონაწილეებს აატირებს, საიდუმლო რიტუალის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ.

როგორც კვლევამ აჩვენა, გ. ტაბიძის ლექსს საფუძვლად უდევს ბუნების ძალთა აღორძინებისა და აღდგომის ძველი აფხაზური ხალხური დღესასწაული, რომელიც გაზაფხულზე იმართებოდა: 1. ორივე ასახავს პირველყვავილობის საგაზაფხულო რიტუალს, რომელსაც გ. ტაბიძე უწოდებს „პირველი თაველების“ დღესასწაულს; 2. ორივეგან

ახალგაზრდა ქალები დღესასწაულის ღამეს ტყეში მიდიან; 3. აფხაზური დღესასწაულის მიხედვით, ქალების ტყეში წასვლის მიზანი იყო „ხუთყურა ყვავილის“ ძებნა; ხოლო გ. ტაბიძის მიხედვით, – „ნუგეშის ყვავილის“ პოვნა; 4. როგორც გ. ტაბიძის ლექსის, ასევე აფხაზური დღესასწაულის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენს ღამით ტყეში (გალაკტიონთან – მთებში) ვაჟების მიერ „ხაზინის“ ძებნა; 5. მართალია, დღესასწაულის დილის სცენა აფხაზურ რიტუალსა და გ. ტაბიძის ლექსში მეტ-ნაკლებად განსხვავდება, მაგრამ ორივეს აერთიანებს საკრალური ცხოველის – ირმის მოტივი, რომელიც ორივეგან ზეციურ არსებას, ზერაცონალურ სუბსტანციას განასახიერებს.

ამრიგად, გ. ტაბიძის ლექსში „პირველ თაველებს“ ვხვდებით ძველი აფხაზური მისტერიის რეპრეზენტაციას, რომელსაც პოეტმა უაღრესად მაღალი მხატვრული ოსტატობით შეუნარჩუნა დღესასწაულის განწყობა, ღრმა იდუმალება და საკრალური დატვირთვა.

Four-stanza poem “The First Stables” of Galaktion Tabidze stands out for its wealth of folk-symbols, which once again confirms the connection of the poet’s work with the folk tradition. The poem is full of taeps containing mythological symbolism: “the first feast of the stables”, decorating the balconies with flowers, searching for a flower of consolation in the forest at night, searching for treasure in the mountains, chasing deer on horseback in the morning, etc.

The first stanza is a kind of expository part of the poem, in which the alternation of the words “we celebrating” and “they who celebrating” fills the reader with the expectation of a miracle and an elevated mood. It is clear that the poem depicts a sacred time with mythologems, some forgotten holiday and sec-

ret ritual. The team element characteristic of the holiday creates an important effect in the poetic work, because women and men take part in it team by team. Just as it characterizes a secret religious ritual, the role of women and men is differentiated in the poem: on the night before the holiday, the young women go to the forest in search of a flower of consolation, while a team of guys goes to the mountains to find the “Khazina”, the same treasure: the flower of consolation and the treasure are both artistic-mythological symbols. In them, an invisible and unknown secret is understood by people. The motif of the search for the treasure is imbued with a special sacralism in the poem “The First Stables”, because the treasure represents the highest purity in mythology.

The final stanza of Galaktion’s poem describes the process of chasing deer. Chasing a deer is a common story in the folklore of peoples around the world, as is finding treasure on a deer trail. Since the deer symbolizes supernatural beings in the myth, I think that the moaning of the wounded baby roe deer, which, according to the poem, makes the participants of the celebration cry, should be considered a part of the secret ritual.

As the research showed, G. Tabidze’s poem is based on the old Abkhazian folk holiday of the revival of the forces of nature and Easter, which was held in the spring: 1. both reflect the spring ritual of the first flowering, which G. Tabidze calls “The First Stables” holiday; 2. young women from both go to the forest on the night of the holiday; 3. according to the Abkhazian holiday, the purpose of women going to the forest was to search for the “five-eared flower”, while according to G. Tabidze, – finding the “flower of consolation”; 4. one of the main elements of both G. Tabidze’s poem and the Abkhazian holiday is the search for “treasure” by the guys in the forest at night (near Galaktion – in the mountains); 5. it is true that the scene of the morning of

the holiday in the Abkhazian ritual and Tabidze's poem is more or less different, but both are united by the motif of the sacred animal – the deer, which in both of them embodies a heavenly being, a suprarational substance.

Thus, in the poem “The First Stables” of Galaktion Tabidze we find a representation of the ancient Abkhazian mystery, which the poet preserved with extremely high artistic skill, the mood of the holiday, deep mystery and sacred charge.

დამანა მელიქიშვილი, ნათია ფუტკარაძე
Damana Melikishvili, Natia Putkaradze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაჲ მეცნიეებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

ტერმინ „დიასპორის“ დაზუსტებისათვის
For the Clarification of
the Term “Diaspora”

საკვანძო სიტყვები: ტერმინი, დიასპორა, თანამემამულე
Keywords: Term, Diaspora, Compatriot, Expat

თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში, იმატა რა მშობლიური ქვეყნიდან უცხოეთში საცხოვრებლად გადასვლის მსურველთა რაოდენობამ, აქტუალური ხდება მიგრანტთა კატეგორიებისა და ტიპების გამოყოფა საცხოვრებელი ადგილის შეცვლის მიზნის, გამგზავრების პერიოდის ხანგრძლივობისა თუ სხვა მიზეზების გათვალისწინებით; კვლევის მიზანია მიგრაციასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულებიდან დღეს მეტად აქტუალური ტერმინის – „დიასპორის“ – ზუსტი კვალიფიკაცია, რის გამოც ჩვენი მონაწილეობით ახლახან გაიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულ დიასპორა•სთან ურთიერთობის დეპარტამენტის ორგანიზებული სამუშაო შეხვედრა.

ტერმინი **დიასპორა** („*διασπορά*“) ბერძული წარმოშობის სიტყვაა და „განბნეულს“ ნიშნავს („განბნევა, განთესვა“); მოსეს ხუთნიგნეულში (მეორისა სჯულისაი, 28, 25: *էղ էν διασπορᾷ* *έν* *πάσαις* *ταῖς* *βασίλειαις* *τῆς* *γῆς*) ის სწორედ **განთესვის, განბნევის** მნიშვნელობით არის გამოყენებული, რასაც მოწმობს ბიბლიის ძველი ქართული თარგმანები.

აღნიშნული ტერმინი თავდაპირველად იძულებით გადაადგილებულ ეთნიკურ ჯგუფთან მიმართებით გამოიყენებოდა, თუმცა დღეს ბევრად გაფართოებული ჩანს მისი მნიშვნელობა, კერძოდ: ოფიციალური თუ სხვა ტიპის დოკუმენტების ენაში დიასპორის წარმომადგენლებად განიხილებიან ისტორიული საქართველოს მკვიდრნი – ამჟამად თურქეთის სახელმწიფო საზღვრებში მოქცეულ ქართულ ტერიტორიაზე მოსახლე ავტოქთონი ქართველები, ასევე ქართველ მუჰაჯირთა (რომლებიც XIX ს-ის 70-იანი წლებიდან – რუსეთ-თურქეთის ომების პერიოდში – გადასულან შუა და ცენტრალურ თურქეთში საცხოვრებლად) და ირანში

შაკ-აბასის მიერ 400 წლის წინ იძულებით გადასახლებულ ქართველთა შთამომავლები.

ტერმინის დაზუსტებისა და სწორი კვალიფიკაციისათვის საჭიროდ მიგვაჩნია, გავითვალისწინოთ საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეთა ტიპების სამეცნიერო ლიტერატურაში (ტარიელ ფუტკარაძე, 2016) არსებული კლასიფიკაცია:

(1) ავტოქთონი ქართველები – ჰერეთის, ტაო-კლარჯეთის, ლაზეთის მკვიდრი ქართველები;

(2) ისტორიული დიასპორა – საუკუნეების წინ საქართველოდან ირანში იძულებით გადასახლებულ ქართველთა შთამომავლები;

(3) ისტორიული მიგრანტები – 138-190 წ. წინ ოსმალეთში გადასახლებულ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები;

(4) ახალი მიგრანტები – ბოლო 30 წელიწადში საქართველოდან წასული ქართველები.

In the period of modern globalization, due to the increased number of people willing to leave their homeland and settle in a foreign country, it becomes topical to separate the categories and the types of migrants according to the aim, the period, and other reasons for the resettlement.

The goal of the presented research is to qualify and clarify the exact definition of one of the most popular terms – Diaspora – related to the migration vocabulary. The qualification of the mentioned term was the main reason for the workshop organized by the department for relations with the diaspora at the Ministry of foreign affairs of Georgia.

The term Diaspora (**“διασπορά”**) is a word of Greek origin and has the meaning of “sown” (< “to sow over, or to scatter”). In Moses's Torah (Deuteronomy, 28, 25: *ἔσθη ἐν διασπορῇ ἐν πάσαις*

ταῖς βασιλείαις τῆς γῆς) the word diaspora is used with the meaning of to sow over, to scatter and it is proved by the Georgian translations of the Holy Bible too.

The mentioned term initially referred to a forced dislocated ethnic group, but nowadays its meaning seems more widened; particularly, in the language of the documents of official affairs or other type sources the representatives of the diaspora are considered the group of autochthonous Georgians, born and settled in historical Georgia – currently located in the Georgian territories in the official boundary of the Republic of Turkey, as well as the descendants of the Georgian muhajirs (resettled in central Turkey in the period of Russo-Turkey war from the 70-ies of the 19th c.) and the Georgians, dislocated by force by Shah Abbas 400 years ago in Iran.

In order to clarify the term and to discuss the appropriate qualification the types of ex-pats living outside of Georgia, already mentioned in the scholarly literature (Tariel Putkaradze, 2016, should be taken into consideration:

(1) Autochthonous Georgians – The indigenous Georgians living in Hereti, Tao-Klarjeti and Lazeti;

(2) Historical Diaspora – the descendants of the Georgians dislocated by force centuries ago from Georgia to Iran

(3) Historical migrants – the descendants of the Georgian muhajirs dislocated by force 138-190 years ago in the Ottoman's empire

(4) New migrants – the Georgians resettled from Georgia in the last 30 years.

ელენე მეძმარიაშვილი

Elene Medzmariashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakishvili Tbilisi State University

ჰუმანიტაჲულ მეცნიეეებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

ისტორიის სწავლების გამოწვევები საქართველოში
Challenges of History Teaching in Georgia

საკვანძო სიეყვები: საქათვედოს ისეოიია, მსოფლიო

ისეოიია, ისეოიიის სწავლება

Keywords: *History of Georgia, World History, History Teaching*

მოხსენებაში განხილულია საქართველოში ისტორიის სწავლების გამოწვევები; დასაბუთებულია, რომ მოსწავლეთა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების, მათი კომპეტენციების განვითარება სასკოლო განათლების პერიოდშია შესაძლებელი და ამაში განსაკუთრებულ როლს ისტორიის სწავლება თამაშობს. აქედან გამომდინარე, განათლების ეს დარგი სახელმწიფოს პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს.

ვინაიდან ისტორია „გადამწყვეტ როლს თამაშობს ისეთი ფუნდამენტური ფასეულობების, როგორცაა ტოლერანტობა, ურთიერთგაგება, ადამიანის უფლებები და დემოკრატია“ დამკვიდრებაში, ამიტომ ისტორიის გაკვეთილებზე დემოკრატიული ღირებულებების სწავლება ერთ-ერთი საუკეთესო გზაა ამ მიზნის მისაღწევად.

მოხსენება ეფუძნება როგორც ევროსაბჭოს ფუძემდებლურ დოკუმენტებს, ასევე ქართული, ევროპული და ამერიკული ისტორიის სახელმძღვანელოების, არსებული ისტორიის კურიკულუმების კვლევას, აღნიშნულ საკითხზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სხვადასხვა დონეზე სწავლების თანამედროვე უნარების ნაკლებობა, რაც საჭიროა ხარისხიანი ინტერკულტურული განათლების უზრუნველსაყოფად, რჩება პოსტსაბჭოთა განათლების სისტემის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად. ჩვენს ქვეყნებში საგანმანათლებლო სისტემის რეფორმის ფარგლებში განეული დიდი ძალისხმევა ამ მიმართულებით საკმარისი არ არის, რადგან ისტორიული განათლების განვითარება დამოკიდებულია ღირებულებათა სისტემასა და საგანმანათლებლო გარემოზე. ამიტომ აუცილებელია ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება, მასწავლებლების სათანადო მომზადება, ასევე საბჭოთა წარსულის უკეთ გააზრება

(პოსტსაბჭოთა ქვეყნებში), რაც დაგვეხმარება ისტორიის სწავლების მიზნების განხორციელებაში.

მოხსენებაში შეთავაზებულია კონკრეტული რეკომენდაციები, კერძოდ, შესაბამისი სასწავლო გეგმების შექმნა და მათ საფუძველზე ისტორიის სათანადო სახელმძღვანელოების დანერა; როგორც დემოკრატიული ფასეულობების დასამკვიდრებლად აუცილებელი ისტორიული ნარატივის შექმნა, ასევე კრიტიკული, დამოუკიდებელი აზროვნების გასავითარებელი სწავლების მეთოდების გამოყენება.

ამის მიღწევა კი შესაძლებელი იქნება აკადემიური ისტორიკოსებისა და ისტორიის მასწავლებლების მჭიდრო თანამშრომლობით. აკადემიური ისტორიკოსების მოვალეობაა შექმნან საკმარისი რესურსები, გამოიკვლიონ ის საკითხები, რომლებიც სათანადოდ არ არის შესწავლილი ჩვენს ისტორიაში, როგორცაა ეთნიკური, რელიგიური უმცირესობების წვლილი, ქალების როლი ისტორიაში, სხვადასხვა სახის ურთიერთობა ქვეყნის შიგნით, მგრძნობიარე საკითხები, განსაკუთრებით თანამედროვე ცხოვრებაში და ა.შ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისტორიის მასწავლებლების მიზანმიმართული გადამზადება, რათა მათ სწორად ასწავლონ სოციალური და პოლიტიკური პრობლემები მულტიკულტურულ საზოგადოებაში, მათ შორის, მგრძნობიარე საკითხები და აღზარდონ ტოლერანტული თაობები.

დაბოლოს, აუცილებელია, რომ „გადაწყვეტილების მიმღებებმა განახორციელონ არსებული ევროპული და ეროვნული რეკომენდაციები, მხარი დაუჭირონ განათლებაში ინტერდისციპლინურ მიდგომებს და შეცვალონ სასწავლო პროგრამების შეფასება საჭირო ცვლილებების/რეკომენდაციების შესაბამისად“.

The report discusses various challenges of teaching history in Georgia; it is substantiated that the development of students' general human values and their competencies is possible during school education, and history teaching plays a special role in this. Therefore, this field of education should be a priority of the state.

Since history „play a vital role in the promotion of fundamental values, such as tolerance, mutual understanding, human rights and democracy“, teaching democratic values in history lessons is one of the best ways to achieve this goal.

The report is based on the basic documents of the Council of Europe, as well as research on Georgian, European and American history textbooks, existing history curricula, and scientific literature on the subject.

The results of the study showed that the lack of modern teaching skills at different levels, which is needed to ensure quality intercultural education, remains one of the main challenges of the post-Soviet education system. The great efforts made within the reform of the educational system in our countries are not enough in this direction, because the development of historical education depends on the value system and the educational environment. Therefore, it is necessary to implement fundamental changes, proper training of teachers, as well as a better understanding of the Soviet past (in post-Soviet countries), which will help us realize the goals of teaching history.

The report offers specific recommendations, namely, creating appropriate curricula and writing appropriate history textbooks based on them; Both the creation of a historical narrative necessary for the establishment of democratic values, as well as the use of teaching methods to develop critical, independent thinking.

This can be achieved through the close cooperation of academic historians and history teachers. It is the duty of academic historians to create sufficient resources to explore issues that are not properly explored in our history, such as the contribution of ethnic, religious minorities, the role of women in history, various types of relationships within the country, sensitive issues, especially in modern life, etc.

Equally important is the purposeful training of history teachers so that they can properly teach social and political problems in a multicultural society, including sensitive issues, and raise tolerant generations.

Finally, it is necessary that "decision-makers implement existing European and national recommendations, support interdisciplinary approaches in education and modify the evaluation of curricula in accordance with the necessary changes/recommendations".

მამუკა მჭედლიძე

Mamuka Mchedlidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakishvili Tbilisi State University

ჰუმანიტაჲულ მეცნიეჲებათა ფაქულტეტი

Faculty of Humanities

**რუსეთის პოლიტიკა კავკასიაში XX საუკუნის
90-ან წლებში**

**Russian policy in the Caucasus in the 90s of the
XX century**

საკვანძო სიგყვები: *რუსეთის გეოპოლიტიკა, კავკასია, პოსტ-საბჭოუჲი სივჲცე, ჲეგიონური უსაფხთხოება, ძადოვანი დიპლომატია, ჰიბრიდური ომი*

Keywords: *Russian geopolitics, Caucasus, Post-soviet space, Regional security, Power diplomacy, Hybrid war*

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად რუსეთმა დაკარგა გავლენა ევრაზიის გეოპოლიტიკურ სივრცეზე, რომელსაც მე-16 საუკუნიდან აკონტროლებდა. კავკასიაში რუსეთმა დაკარგა უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული რეგიონი – ამიერკავკასია, რომელიც თითქმის ორასი წლის მანძილზე იმყოფებოდა მისი მმართველობის ქვეშ. მნიშვნელოვნად შემცირდა რუსეთის გავლენა შავი და კასპიის ზღვების რეგიონებში. რუსეთმა დაკარგა მნიშვნელოვანი ნახშირწყალბადების რესურსები. ასევე დაკარგულ იქნა კონტროლი გლობალურ სტრატეგიულ კომუნიკაციებზე – მსოფლიოში ყველაზე მოკლე სატრანსპორტო დერეფანზე ევროპასა და აზიას შორის. ამიერკავკასიის სახით რუსეთს ხელიდან გამოეცალა ახლო აღმოსავლეთის პროცესებზე გავლენის ერთერთი საყრდენი.

ყოველივე ამან მნიშვნელოვნად შეასუსტა რუსეთის გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ამიერკავკასიასთან კულტურული და ისტორიული კავშირებით. ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში სრული ძალით გამოიკვეთა დამოუკიდებლობისა და რუსეთისგან გამოყოფის ტენდენციები. ამ მოვლენებმა თავი იჩინეს უკვე „პერესტროიკის“ წლებში ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის შემადგენლობიდან გავლის და ცალკეულ სახელმწიფოებრივ ერთეულებად ჩამოყალიბების ტენდენციის სახე მიიღეს.

ამრიგად, რუსეთის პოლიტიკურ ელიტას კავკასიაში ესაჭიროებოდა სამი ძირითადი ამოცანის გადაჭრა:

- ჩრდილოეთ კავკასიის რუსეთის შემადგენლობაში შენარჩუნება
- გეოპოლიტიკური გავლენის აღდგენა ამიერკავკასიაში
- კავკასიაზე დაყრდნობით გეოპოლიტიკური სურათის ფორმირება ახლო აღმოსავლეთში

ბ. ელცინის რეჟიმის არაპროფესიონალიზმი და ტოტალური კორუფცია პრაქტიკულად გამორიცხავდა დაბალანსებული და გონივრული პოლიტიკის დაგეგმვასა და აღსრულებას. ფაქტობრივად, მისი მმართველობის მთელი პერიოდის განმავლობაში, ელცინის რეჟიმმა ვერ ჩამოაყალიბა კონცეფტუალურად გააზრებული და დროში განერილი საგარეო პოლიტიკის დოქტრინა, რის შედეგადაც მისი ძალისხმევა დაყვანილ იქნა კავკასიაში მიმდინარე პროცესების ფიზიკური ძალით შეკავებამდე. ელცინის რეჟიმს არ ძალუძდა ამ მოვლების შინაარსის გაგება და მათი მსვლელობის გაკონტროლება. შესაბამისად, ელცინის მთავრობამ აირჩია ყველაზე მარტივი და ამავე დროს ყველაზე წარუმატებელი გზა – სამხედრო ძალის გამოყენება. ამის შედეგად რუსეთის პოლიტიკის კრიზისმა ქრონიკული ხასიათი მიიღო და გამოიწვია სამხედრო დაპირისპირება ჩეჩნეთში. ეს კონფლიქტი გადაიზარდა სრულმასშტაბიან ლოკალურ ომში რომელმაც რუსეთი ტერიტორიული დაშლის პერსპექტივის წინაშე დააყენა.

ანალოგიურად მოქმედებდა ელცინის რეჟიმი ამიერკავკასიაშიც. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მკაფიოდ გამოკვეთილ ევროპულ ორიენტაციას ელცინის მთავრობამ დაუპირისპირა ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ძალისხმევა. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ამ რესპუბლიკებში შემავალი ცალკეული რეგიონების სეპარატიზმს. ამის შედეგად, მთიან ყარაბაღში, აფხაზეთსა და ცხინვალში პოლიტიკური დაძაბულობა უკიდურესად გამწვავდა და სრულმასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტის სახე მიიღო, რასაც მოჰყვა მნიშვნელოვანი ადამიანური მსხვერპლი და ტერიტორიული დანაკარგები.

ელცინის მთავრობის საგარეო პოლიტიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია თავად რუსეთში მიმდინარე შიდა დესტრუქციულმა პროცესებმა, რომელიც 1990-იანი წლების

მეორე ნახევარში გადავიდა პერმანენტულ და ყოვლის-მომცველ კრიზისში. ამ მოვლენებმა შეარყიეს რუსეთის სახელმწიფოებრიობის საფუძვლები. თუმცა, ასეთ არასტაბილურ პირობებშიც კი, ელცინის რეჟიმის ხისტი საგარეო პოლიტიკა კავკასიის მიმართ არ შეცვლილა და ურთიერთმისაღები კომპრომისის მისაღწევად არანაირი ნაბიჯი არ გადადგმულა.

ამ პროცესებში მთავარი როლი შეასრულა ელცინის როგორც უახლოესი გარემოცვის ასევე ზოგადად რუსეთის პოლიტიკური ელიტის მენტალიტეტმა, რომელიც აპრიორი გამორიცხავდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის კონცეფციას და განიხილავდა მას როგორც დროებით დაკარგულ რუსეთის რეგიონს.

ამგვარად, რუსეთის საგარეო პოლიტიკამ კავკასიაში 1990-იან წლებში დაადასტურა იმპერიული სახელმწიფო ტრადიციის პერმანენტული ბუნება, რომელიც უცვლელი რჩება სოციალური ფორმაციის, სახელმწიფოებრივი წყობისა და ისტორიული ეპოქის ცვლილების მიუხედავად.

As a result of the collapse of the Soviet Union, Russia lost its influence on the geopolitical space of Eurasia, which it had controlled since the 16th century. In the Caucasus, Russia lost the most important strategic region – Transcaucasia, which was under its rule for almost two hundred years. Russia's influence in the regions of the Black and Caspian Seas has significantly decreased. Russia has lost significant hydrocarbon resources. Control of global strategic communications – the world's shortest transport corridor between Europe and Asia – was also lost. In the form of Transcaucasia, Russia has lost one of the pillars of its influence on the processes of the Middle East.

All this has significantly weakened Russia's influence in the North Caucasus, which is closely connected with Transcaucasia by cultural and historical ties. Also in the North Caucasus the tendencies of independence and separation from Russia were revealed with full force. These events manifested themselves already in the years of "perestroika", and after the collapse of the Soviet Union, they took the form of a tendency to leave Russia and form separate state entities.

Thus, the Russian political elite in the Caucasus needed to solve three main tasks:

- Keeping the North Caucasus as part of Russia
- Restoration of geopolitical influence in Transcaucasia
- Formation of a geopolitical picture in the Middle East based on the Caucasus

The unprofessionalism and total corruption of the Yeltsin regime practically precluded balanced and reasonable policy planning and execution. In fact, during the entire period of his rule, Yeltsin's regime failed to formulate a conceptually understood and time-bound foreign policy doctrine, as a result of which his efforts were reduced to restraining the ongoing processes in the Caucasus by physical force. Yeltsin's regime was unable to understand the content of these events and control their progress. Consequently, Yeltsin's government chose the easiest and at the same time the most unsuccessful way – the use of military force. As a result, the crisis of Russian politics became chronic and led to a military conflict in Chechnya. This conflict turned into a full-scale local war that put Russia on the verge of territorial disintegration.

Yeltsin's regime acted similarly in Transcaucasia. Yeltsin's government countered the clearly defined European orientation of Georgia, Armenia and Azerbaijan with economic, political and military efforts. Special attention was paid to the separatism of

individual regions included in these republics. As a result, political tensions in Nagorno-Karabakh, Abkhazia and Tskhinvali escalated to a full-scale military conflict, resulting in significant human casualties and territorial losses.

The foreign policy of Yeltsin's government was significantly influenced by the internal destructive processes taking place in Russia itself, which in the second half of the 1990s turned into a permanent and comprehensive crisis. These events shook the foundations of Russian statehood. However, even in such unstable conditions, the rigid foreign policy of the Yeltsin regime towards the Caucasus did not change, and no steps were taken to reach a mutually acceptable compromise.

The main role in these processes was played by the mentality of both Yeltsin's closest entourage and the Russian political elite in general, which a priori excluded the concept of Transcaucasian independence and considered it as a temporarily lost Russian region.

Thus, Russia's foreign policy in the Caucasus in the 1990s confirmed the permanent nature of the imperial state tradition, which remains unchanged despite changes in social formation, state structure, and historical era.

**ეკატერინე ნავროზაშვილი,
ნანა გონჯილაშვილი**

Ekaterine Navrozashvili, Nana Gonjilashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაჲულ მეცნიეეებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

**ლეონიდ არონზონის პოეზიის
ახალი**

ქართული თარგმანები

**New Georgian Translations of Leonid Aronzon's
Poetry**

საკვანძო სიტყვები: *ლეონიდ არონზონი, პოეტური თარგმანი,
რუსუდან ქანტუიშვილი, დედუ დადიანი*

Keywords: *Leonid Aronzon, Poetic Translation, Rusudan
Chanturishvili, Lulu Dadiani*

ლეონიდ არონზონი, როგორც ლიტერატურათმცოდნეები მიუთითებენ, სრულიად განსაკუთრებული მოვლენა იყო 60-70-იანი წლების რუსულ მწერლობაში. იგი შეგნებულად განზე იდგა და ემიჯნებოდა ყოველგვარ ლიტერატურულ გაერთიანებებსა თუ დაჯგუფებებს. 80-იან წლებში, შემდგომ კი პოსტსაბჭოთა პერიოდში გამოქვეყნდა მისი ლექსები და მის შემოქმედებაზე დაწერილი რამდენიმე საყურადღებო რეცენზია. მიუხედავად ამისა, ლეონიდ არონზონის ცხოვრება და პოეტური მემკვიდრეობა ნაკლებადაა შესწავლილი.

ლეონიდ არონზონის ლექსებში იშვიათად ირეკლება ბიოგრაფიული თარიღები. თუმცა დიდი ადგილი უჭირავს პეიზაჟებს, რომლებიც იცვლებიან დღეების, თვეებისა და წელიწადის დროთა მიხედვით. პოეტი წარმოაჩენს „სხვაგანყოფნის“ ნაცნობ ლანდშაფტებს, იმედით ეძებს ახალ სამყაროს და ქმნის „თავისი სულის ზუსტ დღიურებს“. ახლად აღმოჩენილი სამყაროები კი ცოცხლდებიან და ხშირდებიან არონზონის ფიქრებსა და ლექსებში.

შეიძლება ითქვას, რომ ლეონიდ არონზონის შემოქმედება, ფაქტობრივად, უცნობი იყო ქართველი მკითხველისთვის. მისი პოეზიისა და პროზის თარგმანები რამდენიმე წლის წინ გამოიცა. თენგიზ (ალეკო) კვაჭაძემ თარგმნა არონზონის მოთხრობები, რუსუდან ჭანტურიშვილმა და ლულუ დადიანმა კი – რამდენიმე ლექსი. რუსუდან ჭანტურიშვილის თარგმანები დაიბეჭდა ჟურნალებში „პირველ სხივი“, „ცისკარი“, ლულუ დადიანისა – ჟურნალ „აფრაში“.

ჩვენს მოხსენებაში გაანალიზებულია ლეონიდ არონზონის სამი ლექსის («О, как осень осень...», «Есть светлый полдень и раздолье льда...», «Зеркала») რუსუდან ჭანტურიშვილისეული თარგმანი. ნაშრომში შერჩეული ლექსების თარგმნამდელი ანალიზის, ასევე, ორიგინალებისა და თარგმანების შეპირისპირების საფუძველზე, ნაჩვენებია,

თუ როგორ შეძლო მთარგმნელმა ლეონიდ არონზონის პოეტური სამყაროს ქართულ ენაზე ამეტყველება.

Leonid Aronzon, as noted by literary critics, was a unique phenomenon in the Russian literature of the 60s and 70s. He consciously kept his distance from any literary associations or groups. In the 80s, and later in the post-Soviet era, his poems and several noteworthy critics of his work were published. Yet, not much is known about Leonid Aronzon's life and poetic legacy.

Biographical dates are rarely reflected in Leonid Aronzon's poems. However, a large place is occupied by landscapes that change according to the time of day, month and year. The poet presents the familiar landscapes as “being somewhere else”, looking for a new world with hope and creating “exact diaries of his soul”. Newly discovered worlds come to life and resonate in Aronzon's thoughts and poems.

It can be said that the works of Leonid Aronzon were, in fact, unknown to Georgian readers. Translations of his poetry and prose were published a few years ago. Tengiz (Aleko) Kvatchadze translated Aronzon's stories, while Rusudan Chanturishvili and Lulu Dadiani translated some poems. Translations by Rusudan Chanturishvili were published in the journals “Pirveli Skhivi”, “Tsiskari~ and Lulu Dadiani’s translations were published in the journal “Afra”.

Our report analyzes three poems by Leonid Aronzon («O, как осення осень»..., «Есть светлый полдень и раздолье льда...», «Зеркала») translated from Russian by Chanturishvili. Based on the analysis of the selected poems before translating, as well as the comparison of the originals and translations, it is shown how the translator was able to express Leonid Aronzon's poetic world in the Georgian language.

თეიმურაზ პაპასქირი

Teimuraz Papaskiri

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakishvili Tbilisi State University

ჰუმანიტაჲ მეცნიეებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

**რუსეთ-უკრაინის ომის შესაძლო გავლენა 2024 წლის
აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებზე**

**The Russo-Ukrainian War and Its Possible
Impact on the 2024 United States
Presidential Election**

საკვანძო სიტყვები: *რუსეთ-უკრაინის ომი, საპრეზიდენტო
არჩევნები, 2024*

Keywords: *Russo-Ukrainian War, United States Presidential
Election, 2024*

რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ 2022 წლის 24 თებერვალს დაწყებულმა ომმა აშშ-ს პოლიტიკური სპექტრი პრაქტიკულად სრულად გააერთიანა. დემოკრატებიცა და რესპუბლიკელებიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ უკრაინის მხარდაჭერაში, რაც აისახა როგორც აშშ-ს კონგრესის მიერ პრაქტიკულად ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებები, რომელმაც შესაძლებელი გახადა უკრაინისთვის არნახული სამხედრო (და არა მარტო სამხედრო) დახმარების განხვა. მთელი ამ პროცესის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე კონგრესმენი გამოხატავდა სკეპტიციზმს უკრაინის დახმარების მიზანშეწონილობაში. ძირითადად, ეს იყვნენ დონალდ ტრამპის მომხრე რესპუბლიკელები, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში მათ მხარს უბამდნენ (ოლონდ, სრულიად სხვა მიზეზით) ე.წ. „პროგრესული“ დაჯგუფების წევრი დემოკრატები.

მიუხედავად ამისა, ომის გაჭიანურების შემთხვევაში, არსებობს იმის საფრთხე, რომ გაიზრდება იმ ამერიკელების რაოდენობა, რომლებიც საჭიროდ ჩათვლიან უკრაინისთვის დახმარების შემცირებას ან საერთოდ შეწყვეტას. მომავალი წლის საპრეზიდენტო არჩევნების გათვალისწინებით, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მით უფრო, რომ ამ პროცესს გარკვეულწილად ვაკვირდებით დღესაც, როდესაც შედარებით მომრავლდა კრიტიკული შეხედულებები რესპუბლიკელების მომხრე მედიასაშუალებებში. ფლაგმანად მოგვევლინა ტელეკომპანია ფოქსის წამყვანი ტაკერ კარლსონი, რომლის ყოველდღიური შოუ (გადის ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით) აშშ-ში ყველაზე პოპულარულია პოლიტიკურ გადაცემებს შორის. კარლსონი სისტემატურად გამოხატავს სკეპტიციზმს ომის მიმდინარეობაზე და ეჭვი შეაქვს უკრაინის წარმატებებში. ის ხშირად გადასცემს დეზინფორმაციას ომის თაობაზე და ახდენს რუსული პროპაგანდის ტირაჟირებას, რაც განსაკუთრებით

კარგად გამომჟღავნდა უკანასკნელ ხანებში, პენტაგონი-დან საბუთების გაჟონვის საქმესთან დაკავშირებით.

ტაკერ კარლსონის ფაქტორის მნიშვნელობას ზრდის არა მარტო მაყურებლების დიდი რაოდენობა, არამედ მისი ღია მხარდაჭერა დონალდ ტრამპისადმი 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. ეს უკანასკნელი ფაქტობრივად არ მალავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას უკრაინისადმი. მართალია, ტრამპი ვერ ბედავს (და ვერც გაბედავს) ღიად რუსეთის მხარდაჭერას, მაგრამ უკრაინისათვის დახმარების შეწყვეტა ან შემცირება (რისი სურვილიც მას აშკარად აქვს) ცალსახად იქნება აგრესორის მხარეს დადგომა. უფრო მეტიც, მსგავსი ტიპის განცხადება, რომ „აშშ-ს მრავალ სასიცოცხლო ინტერესში... არ შედის უკრაინასა და რუსეთს შორის ტერიტორიულ დავაში შემდგომი ჩარევა“ გააკეთა აშშ-ს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, ფლორიდის გუბერნატორმა რონ დესანტისმა, რომელიც მოიაზრება საპრეზიდენტო რბოლის ერთ-ერთ ფავორიტად და დონალდ ტრამპის მთავარ მოწინააღმდეგედ რესპუბლიკელთა შორის. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ეს სიტყვები დესანტისმა ტაკერ კარლსონის შოუში წარმოთქვა და მისი სამიზნე აუდიტორია სწორედ ყველაზე კონსერვატიულად განწყობილი ამომრჩეველი იყო. შესაბამისად, სავარაუდოდ, ეს განცხადება სწორედ შიდაპარტიულ ბრძოლაში გამარჯვების მისაღწევად გადადგმული ტაქტიკური ნაბიჯი იყო, რადგანაც სხვა დროს დესანტისს რუსეთისადმი რაიმე სენტიმენტები მას არასდროს გამოუხატავს. უფრო მეტიც, მეორე დღეს მან ვლადიმირ პუტინს პირდაპირ უწოდა „სამხედრო დამნაშავე“.

ამავე დროს, არსებობს დემოკრატი კანდიდატი, რომელიც იზიარებს ანტიუკრაინულ განწყობილებებს. ეს არის რობერტ ფრენსის კენედი, რომელიც რამდენიმე დღის წინ

ოფიციალურად ჩაება საპრეზიდენტო რბოლაში. მან მხარი დაუჭირა ტაკერ კარლსონის მიერ გავრცელებულ დებინ-ფორმაციას და გააკეთა რამდენიმე განცხადება, რომელიც ცხადყოფს, რომ ის ზედაპირულად იცნობს საკითხს. მაგალითად, რობერტ კენედი უმცროსი მზად არის გაიყვანოს აშშ-ს ჯარები რუსეთის საზღვრებიდან, რასაც, მისი თქმით, მოჰყვება „რუსული შენაერთების გასვლა უკრაინიდან“. რასაკვირველია, ეს იმდენად მიაბიტური პოზიციაა, რომ მისი სერიოზულად აღქმა შეუძლებელია, მაგრამ მოქმედი პრეზიდენტის ჯოზეფ ბაიდენის კანდიდატურა დიდად არ ხიბლავს დემოკრატი ამომრჩევლების ნაწილს, რის გამოც შეიძლება კენედიმ საკმაო მხარდაჭერა მოიპოვოს სხვა კანდიდატების არგამოჩენის შემთხვევაში (ამ მომენტისათვის მის კანდიდატურას დემოკრატების 14% იწონებს).

შეჯამების სახით, უნდა ითქვას, რომ უკრაინის (და ცივილიზებული სამყაროს) ინტერესებისათვის ყველაზე დიდ საფრთხედ კვლავინდებურად რჩება დონალდ ტრამპი, რომლის რესპუბლიკური პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელებაში მართლაც შეიძლება დიდი როლი ითამაშოს ულტრაკონსერვატორი ამომრჩევლების სიმპათიებმა, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა ანტიუკრაინული და პრორუსული განწყობილებების შედეგი აღმოჩნდეს. იმედია, მომავალი წლის ნოემბრისათვის უკრაინას უკვე ან გამარჯვება ექნება მოპოვებული, ან მისი საბოლოო წარმატება გარდაუვალი იქნება, რათა ამ საკითხმა ამერიკელ ამომრჩეველზე გავლენა საერთოდ ვერ იქონიოს.

The Russian war against Ukraine unified almost the full political spectrum of the United States. Nearly unanimous decisions of the U.S. Congress which made it possible to provide the both military and non-military support to Ukraine clearly con-

firm this. Only a handful of politicians expressed their scepticism regarding the support towards Ukraine. Mostly, those were the Republicans supporting Donald Trump, but sometimes the so-called “Progressives” among Democrats also joined them (albeit because of completely different reasons).

Despite this, the prolongation of war may increase the number of Americans who will support the reducing or even stopping the aid to Ukraine. This is significant because of the U.S. Presidential Election, which will take place next year. As we already see, such viewpoints are quite pronounced in the pro-Republican media. In this case, we have to single out Tucker Carlson from Fox News, whose weeknight *Tucker Carlson Tonight* is the most popular political show in the United States. Tucker Carlson regularly expresses his doubts regarding the Ukrainian achievements in the war and frequently spreads disinformation and the Russian propaganda about the hostilities. This is especially true regarding the leak of papers from the Pentagon.

The significance of Tucker Carlson’s factor is increased by his open support to Donald Trump in the upcoming presidential election. Trump is not hiding his negative attitude towards Ukraine. Although, he does not (and will not) dare to express the open support to Russia, but stopping or even reducing the aid to Ukraine (which he evidently wishes) can be considered as choosing the aggressor’s side. Moreover, the similar statement (“While the U.S. has many vital national interests...becoming further entangled in a territorial dispute between Ukraine and Russia is not one of them”) was made by Ron DeSantis, Governor of Florida, who is considered as the main rival of Donald Trump in Republican Primaries. Nevertheless, it should be mentioned that he was speaking on *Tucker Carlson Tonight* and the most conservative electorate was the primary target of his address. Thus, it seems this was a tactical step from DeSantis in the intra-party

struggle, since he had never expressed pro-Russian sentiments and called Vladimir Putin a “war criminal” on the next day.

At the same time, there is presidential candidate from the Democratic Party, who shares the anti-Ukrainian views. Robert Francis Kennedy Jr., who has officially announced his run for the presidency, repeated the disinformation from Tucker Carlson. He also made some other statements which showed his ignorance regarding the question. For example, Robert Kennedy Jr. declared that he will withdraw the American “troops from Russia’s borders,” and this “would entice Russia to withdraw its troops from Ukraine.” Of course, this statement is so naïve that it is not possible to analyse it seriously. Nevertheless, since President Biden’s second term is not appealing to the part of the Democratic electorate, Kennedy can enjoy some support (unless other candidates appear) among the voters during the Democratic Primaries. (At this moment his popularity is at 14% among the Democrats.)

In conclusion, we have to say that Donald Trump remains as the most significant threat to the interests of Ukraine (and the civilized world) and his possible choosing as the presidential candidate from the Republican Party can be a result of the anti-Ukrainian and pro-Russian sentiments among the ultra-conservative voters. Nevertheless, there is a hope that Ukraine will either win the war or achieve the decisive victories prior to November of 2024 and the Ukrainian issue will have no impact on the American voters.

მურმან პაპაშვილი

Murman Papashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakishvili Tbilisi State University

ჰუმანიტაჲ მეცნიეებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

დომინიკელი მისიონერის პაოლო მარია ჩიტადინის

ერთი ცნობის ისტორიული კონტექსტი

The Historical Context of the Notice of the

Dominican Missionary

Paolo Maria Cittadini

საკვანძო სიტყვები: *მისიონეი, წინასწახმეცყვეება,*

გათავისუფლება

Keywords: *Missionary, Prophecy, Liberate*

იტალიელი დომინიკელი მისიონერი პაოლო მარია ჩიტადინი 1614 წელს რომმა გაამწესა ნახჭევანის სომეხ-კათოლიკეთა ეპარქიის არქიეპისკოპოსად. მის უპირველეს ამოცანას შეადგენდა იმ პერიოდში სომეხ-კათოლიკებში არსებული კრიზისის დაძლევა და ეკლესიათა უნიის საკითხში გარკვევა.

პაოლო მარიამ დადებითად გადაწყვიტა საკითხები ნახჭევანში და 1616 წელს საქართველოში გაჰყვა შაჰ-აბასის სამხედრო კამპანიას. ამავე წლის ივნის-ივლისში ის იმყოფებოდა კახეთის სამეფოში. საერო და მეტად სასულიერო პირებთან შეხვედრებით აღფრთოვანებულმა პაოლო მარიამ მაღალი შეფასება მისცა ქართველ ქრისტიანებს და 1621 წელს რომში გამოქვეყნდა 4-გვერდიანი ბროშურა – „უტყუარი მოხსენება საქართველოს სამეფოების შესახებ“. მასში ყურადღებას იქცევს ინფორმაცია: ქართველმა მღვდლებმა პაოლოს არაერთხელ მოუთხრეს ამ ქვეყანაში ლექსად გავრცელებული წინასწარმეტყველება, რომ ევროპელი ქრისტიანები აუცილებლად მოვიდოდნენ საქართველოში მათ დასახსნელად. ამ ლექსზე კი სიმღერა ყოფილა შექმნილი, რაც ქართველ მღვდლებს არაერთხელ უმღერიათ კიდევაც პაოლო მარიას წინაშე.

აქედან გამომდინარე, ავტორი ასკვნის: მეტი აღბათობით ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა და მასთან ერთად დასავლურმა ანტიოსმალურმა კოალიციებმა ქართულ ისტორიულ მახსოვრობაში დატოვეს ის იდეალი, რომ დასავლელი ქრისტიანები აუცილებლად მოვიდოდნენ აღმოსავლელი ქრისტიანების გასათავისუფლებლად. ამ შემთხვევაში კი ქართული მართლმადიდებელი ეკლესია აღმოჩნდა ის ძალა, რომელმაც ეს განმათავისუფლებელი იდეა მტკიცედ შეინახა და დასავლეთის მიერ აღმოსავლეთის ქრისტიანების გამოსხნის მოლოდინი წინასწარმეტყველებად აქცია.

ამიტომ დაუკავშირდა გათავისუფლების იდეა რომაულ-კათოლიკური ქრისტიანობის სულიერ წინამძღოლობას.

In 1614, the Italian Dominican missionary Paolo Maria Cittadini was ordained by Rome as the archbishop of the Armenian Catholic Diocese of Naxiïewan. His primary task was to overcome the crisis among the Armenian Catholics at that time and clarify the issue of the union of churches.

Paolo Maria resolved the issues positively in Naxiïewan, and he followed the military campaign of Shah Abbas in Georgia in 1616. In June-July of the same year, he was in the Kingdom of Kakheti. Paolo Maria, elated with the meetings with the Secular and Ecclesiastical persons, gave a high evaluation to Georgian Christians, and he published the 4-page brochure - „Sincera Relatione de'Regni della Georgia“- in Rome in 1621. In this brochure the following information attracts our attention: Georgian priests told Paolo continually a prophecy spread as a verse in Georgia, that European Christians would definitely come to set Constantinople free. Even a song was created on this poem, which they sang several times.

Therefore, the author concludes: in all likelihood, the Crusades and the Western anti-Ottoman coalitions with them left the ideal in the Georgian historical memory that the Western Christians would definitely come to liberate the Eastern Christians. In this case, the Georgian Orthodox Church turned out to be the force that firmly maintained the liberation idea and turned the expectation of extrication of the Christians of the East by the West into a prophecy. And so the idea of liberation tied to the Spiritual Leadership of Catholic Christianity.

ნინო პოპიაშვილი
Nino Popiashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაჲულ მეცნიეეებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

**სად მონათლა ევსტათი მცხეთელი: ივანე
ჯავახიშვილისა და ადოლფ ფონ ჰარნაკის
შეხედულება ევსტათი მცხეთელის ნათლობასთან
დაკავშირებით**

**Where was Eustathius of Mtskheta Baptized:
The Opinion of Ivane Javakhishvilis and Adolf
von Harnack Regarding the Baptism of
Eustathius of Mtskheta**

საკვანძო სიეყვები: *პროზეღიგზმი, ივანე ჯავახიშვილი,
ადოლფ ფონ ჰარნაკი*
Keywords: *proselytism, Ivane Javakhishvili, Adolf von Harnack*

უცნობი ავტორის „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“ არაერთი საკვანძო საკითხია, რომელთა შესახებ სამეცნიერო სივრცეში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. მათ შორის არის საკითხი, თუ როდის და სად მოინათლა ევსტათი მცხეთელი. თხზულებაში ჩანს, რომ ევსტათი ორჯერ ინათლება: ერთხელ სპარსეთში, ერთხელ – მცხეთაში. სწორედ ეს წინააღმდეგობა გახდა მეცნიერთა განსხვავებული შეხედულებების წყარო. ივანე ჯავახიშვილისა და ადოლფ ფონ ჰარნაკის შეხედულებით, ევსტათი მცხეთელმა ქრისტიანობა მიიღო სპარსეთში, განძაკში, ხოლო იმის გამო, რომ ევსტათი არა სპარსეთის ეკლესიის შვილად, არამედ ქართლის ეკლესიის შვილად ყოფილიყო აღიარებული, ტექსტის ეს რედაქცია შეიცვალა და დაემატა ქართლში მონათვლა. კორნელი კეკელიძის შეხედულებით, თხზულებაში ნახსენები ორჯერ მონათვლა არ არის წინააღმდეგობრივი. ევსტათი მცხეთელი გაქრისტიანდა რწმენით, ხოლო მცხეთაში ფორმალურადაც ქრისტიანი გახდა.

„ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“ მოხმობილი პროზელიტი გმირის ორჯერ მონათვლა მნიშვნელოვანია როგორც ნაწარმოების შესწავლის, ისე თხზულებაში არსებული რელიგიური პოლემიკის თვალსაზრისითაც. როგორც ცნობილია, ქართულ ლიტერატურაში პირველი ეგზეგეტიკური სწავლებები წარმოდგენილია „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“.

მოხსენებაში ვისაუბრებთ უცხონი ავტორის „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“ ივანე ჯავახიშვილისა და ადოლფ ფონ ჰარნაკის შეხედულებებზე პროზელიტი გმირის ნათლობის ადგილთან დაკავშირებით.

There are a number of key issues in "Martyr of Eustathius of Mtskheta" by an unknown author, about which there are differences of opinion in the scientific space. Among them is the question of when and where Eustathius of Mtskheta was baptized. The text shows that Eustathius is being baptized twice: once in Persia, once in Mtskheta. This contradiction became the source of different views of scientists. According to Ivane Javakhishvili and Adolf von Harnack, Eustathius of Mtskheta became a Christian in Gandzak, Persia, so that he would have been recognized not as a child of the Persian Church, but of the Church of Kartli, this edition of the text was changed and baptism in Kartli was added. According to Korneli Kekelidze, the double baptism mentioned in the work is not contradictory. Eustathius of Mtskheta converted to Christianity by faith, and formally became a Christian in Mtskheta.

The double baptism of the proselyte hero called to "Martyr of Eustathius of Mtskheta" is important both from the point of view of the study of the work and the religious polemics in the work. As is known, the first exegetical teachings in Georgian literature are presented in "Martyr of Eustathius of Mtskheta".

In the report, we will talk about the views of foreign author Ivane Javakhishvili and Adolf von Harnack regarding the place of baptism of the proselyte hero in "Martyr of Eustathius of Mtskheta".

ნინო სიმონიშვილი

Nino Simonishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakishvili Tbilisi State University

ჰუმანიტაჲულ მეცნიეხებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

**ქართული უნივერსიტეტის პირველი საპატიო წევრი:
ხელოვნების ისტორიკოსი ნიკოდიმ კონდაკოვი და
საქართველო**

**The First Honorary Member of the Georgian
University: Art Historian Nikodim Kondakov and
Georgia**

*საკვანძო სიგყვები: უნივერსიტეტი, ხელოვნების ისტორია,
ეხოვნული იდეოლოგია, რუსეთი, ევროპა*

Keywords: *University, Art history, National Ideology,
Russia, Europe*

1918 წლის 15 მარტით დათარიღებულ ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმის მიხედვით, ერთერთ განსახილველ საკითხად წაკითხული იქნა პ. მელიქიშვილისა და ივ. ჭავჭავაძის წერილი, რომლის ავტორებიც აღნიშნავდნენ ცნობილი რუსი ხელოვნების ისტორიკოსის, ნიკოდიმ კონდაკოვის სამეცნიერო ღვაწლს ხელოვნების ისტორიასა და კონკრეტულად ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლაში. წერილის ავტორებმა წინადადებით მიმართეს პროფესორთა საბჭოს, ნ. კონდაკოვი ქართული უნივერსიტეტის საპატიო წევრად აერჩიათ. საბჭოს მიერ მიღებული იქნა თანხმობა და გადაწყდა რუს მეცნიერს შეძლებისდაგვარად მალევე გაგზავნოდა ამ ფაქტის აღმნიშვნელი დიპლომი.

მიუხედავად ნ. კონდაკოვის დამსახურებისა ქართული კულტურის ძეგლების კვლევის საქმეში, ყურადღებას იქცევს ახლად დაარსებული ქართული უნივერსიტეტის პირველ საპატიო წევრად რუსი ხელოვნებათმცოდნის არჩევა. ეს ფაქტი საინტერესოა არა მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) პოლიტიკურ კონტექსტში, არამედ იმავე 1918 წლის დეკემბერში, ივ. ჭავჭავაძის მიერ, უნივერსიტეტში ახალგაზრდა მეცნიერის, გიორგი ჩუბინაშვილის მინვევის მიზნით გაცემულ რეკომენდაციის კონტექსტშიც, რომელშიც ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ჩუბინაშვილმა განათლება ევროპაში მიიღო და შესაბამისად, კარგად არის მომზადებული ხელოვნების ისტორიის ახლად დაარსებული კათედრის პროფესორად ასარჩევად.

როგორც ცნობილია, ქართული ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების მოსამზადებელ პროცესში, ივ. ჭავჭავაძი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა დასავლეთ ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში სასწავლებლად წასული ქართველი ახალგაზრდების მოზიდვას ამ პროცეს-

ში ჩართვის მიზნით. სწორედ ამ კონტექსტშია საყურადღებო, თუ რამ განაპირობა რუსი ხელოვნებათმცოდნის ქართული უნივერსიტეტის პირველ საპატიო წევრად არჩევა?

მოხსენებაში განხილული იქნება ის მიზეზები და საერთაშორისო კონტექსტი, რომელთაც განაპირობებს რთულ პოლიტიკურ ვითარებაში უნივერსიტეტის საბჭოს მიერ ამ გადაწყვეტილების მიღება.

According to the protocol of the Council of Professors of the Georgian University in Tiflis (March 15, 1918) signed by P. Melikishvili and Iv. Javakhishvili, the authors relaying on the scientific achievements of the famous Russian art historian Nikodim Kondakov in the study of art history and history of Georgian art in particular, proposed to elect Kondakov as an honorary member of the Georgian University. N. Kondakov was elected unanimously and a decision was made to send the diploma as soon as possible with the indication of this fact to the Russian scholar.

However, despite N. Kondakov's noted merits regarding Georgian art deserves special attention his election as the first honorary member of the newly founded Georgian University. It is interesting not only in the political context of the first Democratic Republic of Georgia (1918-1921), but also in the light of the reference letter of Iv. Javakhishvili issued in support of an invitation of a young Georgian scholar Giorgi Chubinashvili to the position of professor of art history at the university. In his letter (December. 1918) Javakhishvili especially emphasized Chubinashvili's European education and therefore, his qualification for study Georgian art.

It is well known that within the framework of the preparatory process to the establishment of the first national university, Iv. Javakhishvili paid special attention to attracting young Geor-

gians who studied in different European universities to this process. Due to this fact, it is of special interest to analyze what led to the election of Russian scholar Kondakov to the first honorary member of the university.

The paper will analyze the reasons and international context that led the Council of Professors to such a decision.

ნესტან სულავა

Nestan Sulava

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტაჲ მეცნიეებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

ივანე ჯავახიშვილი ნმ. გიორგი მთაწმინდელის

თხრობის სტილის შესახებ

Ivane Javakhishvili On Narrative Style of St.

Giorgi Mtatsmindeli

საკვანძო სიტყვები: *ივ. ჯავახიშვილი, ნმ. გიორგი მთაწმინდელი,*

თხრობის სტილი

Keywords: *Iv. Javakhishvili, St. Giorgi Mtatsmindeli, Narrative style*

ივანე ჯავახიშვილის კვლევამ ძველი ქართული მწერლობის ძეგლების თხრობის, კერძოდ წმ. გიორგი მთაწმინდელის ჰაგიოგრაფიული თხზულების სტილის შესახებ, რომელიც მის ფუნდამენტურ ნაშრომსა და მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებულ მონოგრაფიაშია გამოთქმული, – ესენია „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ და წმ. გიორგი მთაწმინდელის თხზულების გამოცემა და მისთვის დართული გამოკვლევა, – უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა საზოგადოდ ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურის, საისტორიო მწერლობის, ათონის ქართული ლიტერატურულ-საღვთისმეტყველო სკოლის კონცეპტუალური საკითხების შესასწავლად.

მან ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება და ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებები წმ. გიორგი მთაწმინდელის ჰაგიოგრაფიული თხზულების კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური საკითხების, წყაროებისა და თხრობის სტილის შესახებ, რითაც მწერალი-ჰაგიოგრაფის მეთოდოლოგიურ შეხედულებებზეც გაამახვილა ყურადღება. ამ მხრივ ივანე ჯავახიშვილმა თავისი დაკვირვებები წარმართა „წმ. იოვანე და ეფთვიმე მთაწმინდლების ცხოვრების“ ტექსტზე როგორც საისტორიო თხზულებაზე, მაგრამ ეს დაკვირვებები ფილოლოგიურ-ლიტერატურათმცოდნეობითი თვალთახედვითაცაა მნიშვნელოვანი. მეცნიერის აზრით, ზეპირი და წერილობითი წყაროები ჰქონდა, რასაც თავადაც უთითებს. თანამედროვე კვლევისას სხვა წყაროებთან აღნიშნული საკითხების გადამოწმების საშუალება გვაქვს, რაც კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ივანე ჯავახიშვილის მეცნიერულ ალღოიანობას.

ივანე ჯავახიშვილმა ამ ნაშრომებში გამოიყენა სასულიერო და საისტორიო მწერლობაში გამოყენებული ტერმინოლოგია, კერძოდ „ცხოვრება“, „ღირსად მოქალაქობა“, „წერილი მოსაჯსენებელი“, „სიგრძე ჟამთაჲ“, „მეცნიერე-

ბასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაჲ“, „უტყუელი“ და სხვ. განიხილა წმ. გიორგი მთაწმინდელის ჰაგიოგრაფიული თხრობის სტილის საკითხი, რაც ავტორს ჭეშმარიტების-მეტყველ მწერლად წარმოაჩენინებს. მოხსენებაში საუბარია ყოველ წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით არსებულ განსხვავებულ მოსაზრებათა შესახებ ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევების საფუძველზე თანამედროვე ეტაპზე.

ნაშრომში წარმოჩენილია ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი წმ. გიორგი მთაწმინდელის ჰაგიოგრაფიული თხზულების „წმ. იოვანე და ეფთვიმე მთაწმინდლების ცხოვრების“ წყაროების, ტექსტოლოგიური დამუშავების, თხრობის სტილის, ეპოქალური ღირებულების განსაზღვრის საქმეში შუა საუკუნეების სააზროვნო სივრცის კონტექსტში თანამედროვე ფილოლოგიურ-ლიტერატურათმცოდნეობითი მეცნიერების მიღწევების საფუძველზე.

Ivane Javakhishvili's research on the narration of monuments of ancient Georgian writing, namely About the style of St. Giorgi Mtatsmindeli's hagiographic writings, which is expressed in his fundamental work and the monograph published after his death, they are "Old Georgian Historical Writing- and The publication of St. Giorgi Mtatsmindeli's writings and the study attached to it, acquired great importance for the general study of Georgian religious and secular literature, historical writing, and the conceptual issues of the Georgian Literary and Theological School of Athos.

He was one of the first to pay attention and form his views to St. About the codicological-textological issues, sources and narrative style of Giorgi Mtatsmindeli's hagiographical works, thereby drawing attention to the methodological views of the

writer-hagiographer. In this regard, Ivane Javakhishvili directed his observations to On the text of "The Life of St. John and St. Ephvime Mtatsmindelis" as a historical work, but these observations are also important from a philological-literary point of view. According to the scientist, he had oral and written sources, which he himself indicates. In modern research, we have the opportunity to verify the mentioned issues with other sources, which once again shows the scientific genius of Ivane Javakhishvili.

In these works, Ivane Javakhishvili used the terminology used in theological and historical writings, namely "tskhoreva", "dignified citizenship", "a letter to be remembered", "length of time", "the coming of truth to science", "infallible" and others. Discussed by The issue of St. Giorgi Mtatsmindeli's hagiographic narrative style, which presents the author as a truthful writer. The report talks about the different opinions on each raised issue based on historical and philological studies at the modern stage.

The work presents the merits of Ivane Javakhishvili St. Giorgi Mtatsmindeli's hagiographic works. In determining the sources, textological processing, narrative style, epochal value of the lives of Saints John and Ephvime in the context of the thought space of the Middle Ages, based on the achievements of modern philological-literary science.

თეა ქამუშაძე
Tea Kamushadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
Georgian Institute of Public Affairs

**აფხაზეთიდან დევნილთა საერთო საცხოვრებელი,
როგორც სოციალური საზღვარი თბილისში**
**Shared residences for internally displaced
persons from
Abkhazia as a social boundary in Tbilisi**

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთიდან დევნილი, სოციალური
საზღვარი

Keywords: *Internal Displaced from Abkhazeti, Social Border*

მოხსენებაში დევნილთა საერთო საცხოვრებელი განხილულია, როგორც სოციალური ბარიერი, საზღვარი და ნარჩენ საზოგადოებასთან. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ომიდან 30 წელზე მეტი გავიდა, დევნილთა ბინით უზრუნველყოფის საკითხი დღემდე მწვავედ დგას. მათი ნაწილი კვლავ რჩება საერთო საცხოვრებლებში. საბჭოთა ეპოქაში მოქმედი სასტუმროები, მშობლიური სახლების დაკარგვით გამოწვეული ტრავმების სიმბოლოებად ჩამოყალიბდა. საბჭოთა ფუფუნებასთან ასოცირებული სივრცეები, სასტუმროების სახით, პოსტსაბჭოთა პერიოდში, კონფლიქტებსა და დევნილების თემას დაუკავშირდა.

ამ საკითხებზე მსჯელობისათვის სასტუმრო „საქართველოს“ განვიხილავ, რომელიც დედაქალაქის ყველაზე პრესტიჟულ უბანში და მოხერხებულ ადგილას მდებარეობს. სასტუმრო „საქართველოში“ დღემდე ცხოვრობს აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი. „სასტუმროს“, თბილისელებისათვის და დევნილ მოსახლეობაშიც ერთგვარი „ელიტარულობის“ სტატუსიც მიენერება. მის ელიტარულობა რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს, ერთი, იქ მოხვედრას გარკვეული რესურსი და სანაცნობო წრე სჭირდება. მეორე, აფხაზეთიდან დევნილთა წინარე ცხოვრებისეული გამოცდილება, რომელიც მათ ინტელექტუალური თვალსაზრისითაც გამოყოფთ.

ტრავმული გამოცდილებების გათვალისწინებით, აფხაზეთიდან დევნილები მაქსიმალურად ერიდებიან პრესასთან და ტელევიზიასთან კონტაქტს. ისინი ყველანაირად ცდილობენ მათი სასტუმროში ცხოვრება თვალშისაცემი და შესამჩნევი ნაკლებად იყოს ქალაქისათვის. დღეისათვის სასტუმრო საქართველოს შენობას ძეგლის სტატუსი გააჩნია. შენობისადმი ბიზნეს ინტერესი დიდია, მისი მდებარეობის გათვალისწინებით. დევნილების ამ შენობიდან გაყვანის არაერთი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა, მისი

„ელიტარულობის“ გამოც. შენობის ფორმალური მფლობელები მაქსიმალურად ავინრობენ იქ მცხოვრებ დევნილებს, არ აძლევენ მათ რემონტის გაკეთების შესაძლებლობას. მათ არ მისცეს საკანალიზაციო მილების გამოცვლისა და ბუნებრივი აირის შეყვანის უფლებაც, იმ მიზეზით, რომ შენობას ძეგლის სტატუსი გააჩნია. ამის გამო, მათი ყოველდღიურობა სულ უფრო გაუსაძლისი და აუტანელი ხდება. მათ ნაწილს ვისაც გარკვეული შემოსავალი და საარსებო პირობა გაუჩნდა ნაქირავებ ბინაში გადადის, რადგან სასტუმროში ცხოვრება სულ უფრო ძვირი და მოუხერხებელი ხდება.

სასტუმრო საქართველოზე, როგორც დევნილთა საერთო საცხოვრებელზე, რომელსაც თავის სოციალური, კულტურული და ეკონომიკური საზღვრები გააჩნდა ვიმსჯელებ იქ მცხოვრებთა ინტერვიუებზე დაყრდნობით და საზოგადოებაში არსებული წარმოდგენებით, სასტუმროზე.

მთლიანობაში სასტუმრო საქართველოს დევნილთა საერთო საცხოვრებლის მაგალითზე განვიხილავ სოციალური საზღვრების ფორმირების თავისებურებებს დევნილობაში მყოფი მოსახლეობისათვის, რა ტიპის რეალობას ქმნის სასტუმროს მდებარეობა, მისი ინტერიერი და შენობის სტატუსი.

The presentation views the shared residences of displaced people as a social divide, a boundary with the rest of society. Despite the fact that the Abkhazia war took place over 30 years ago, the housing crisis for those who were displaced persists. Some of them continue to live in shared residences. The hotels operating in the Soviet era became symbols of the traumas caused by the loss of native homes. In the post-Soviet period, the spaces associated with the Soviet luxury, in the form of hotels, were connected to the theme of conflicts and IDPs.

To discuss these issues, I will consider the Hotel “Sakartvelo”, which is located in the most prestigious and convenient area of the capital. A certain part of the population displaced from Abkhazia still lives in the Hotel Sakartvelo. The Hotel “Sakartvelo” enjoys a kind of “elite” status for the residents of Tbilisi and the displaced population. Its elitism is determined by several factors, one of which is that getting here required certain resources and a circle of acquaintances. Second, it is the previous life experience of the displaced people from Abkhazia, which distinguishes them from the intellectual point of view.

IDPs from Abkhazia attempt to avoid attracting attention and avoid interaction with the media as much as they can in light of their tragic experiences. They make every effort to keep their hotel existence as discreet and unnoticeable to the city as possible. The Hotel Sakartvelo's structure is now considered a historical monument. The building has a lot of business interest. Numerous attempts to remove the IDPs from this building ended in vain precisely because of its “elitism”. The formal owners of the building oppress the IDPs living there as much as possible, not giving them the opportunity to make repairs. They did not allow the replacement of sewage pipes and the introduction of natural gas, due to the fact that the building has the status of a monument. Because of this, their daily life is becoming more and more unbearable. Some of those who have a certain income and livelihood are moving to a rented apartment, because living in a hotel has become more expensive and inconvenient. Based on interviews with its tenants and societal attitudes towards IDPs, I will talk about the Hotel “Sakartvelo” as a residence for them that has distinct social, cultural, and economic limitations.

On the example of the Hotel Sakartvelo as an IDP residency, I will address the peculiarities of social boundaries for the displaced population and what kind of reality the hotel's location and status generate.

ლია ქაროსანიძე

Lia Karosanidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ახნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

Arn. Chikobava Institute of Linguistics

**ივანე ჯავახიშვილი ქართული ტერმინოლოგიის
შესახებ**

**Ivane Javakhishvili about
Georgian Terminology**

საკვანძო სიტყვები: *ივანე ჯავახიშვილი, ქართული*

ტერმინოლოგია

Keywords: *Ivane Javakhishvili, Georgian Terminology*

„იმ ერს, რომელიც თავის სამწერლობო ენას შესაფერისად არ განავითარებს, არც შეუძლიან გონებრივი განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწიოს“, – ეს ციტატა იმ ცხრა ქართველი მეცნიერის ცნობილი წერილიდანაა, რომელიც 1915 წელს გაზეთ „სახალხო ფურცლის“ N305-ში გამოქვეყნდა. წერილს, სათაურით, „ქართული ლექსიკონის შესახებ“, ივანე ჯავახიშვილიც აწერდა ხელს. ავტორთა აზრით, ლექსიკონი იყო ის აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი იარაღი, რომელიც ენის გამდიდრებას შეუწყობდა ხელს. წერილში აღწერილია გეგმა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ტერმინოლოგიის განახლებასაც გულისხმობდა. ამ წერილს და მოგვიანებით წიგნად გამოცემულ პროგრამას გიორგი ყაზბეგი – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების იმდროინდელი თავმჯდომარე – გაუნაწყენებია. ყაზბეგი უპირველეს საჭიროებად მიიჩნევდა თარგმნითი ლექსიკონების შექმნას, ივანე ჯავახიშვილის აზრით კი, ვერ იქნება ლექსიკონი სრულყოფილი, თუ არ ვიმუშავებთ ქართული სალექსიკონო მასალის გაცოცხლებაზე. „როგორ გადმოთარგმნის თქვენი ლექსიკონის შემდგენელი ამ სიტყვებს *нарабан, Иммунитет, Галерея* და მრავალ სხვას, თუ რომ ძველ ქართულ მწერლობითგან ეს ტერმინები შესწავლილი არა აქვს? თითონ შეთხზავს? მერე რა მნიშვნელობა ექნება ამგვარ შეთხზულ ტერმინებს?“ ივანე ჯავახიშვილის ყაზბეგისადმი გაგზავნილი პასუხი სხვა თვალსაზრისებთან ერთად საინტერესოა იმითაც, რომ ტერმინოლოგიური მუშაობის პრინციპების შესახებ მისი თვალსაზრისებია მოცემული. აქაც და მის სხვა ნაშრომებშიც გარკვევით ჩანს ივანე ჯავახიშვილის დამოკიდებულება ხელოვნური ტერმინების მიმართ.

მიუხედავად ამისა, ივანე ჯავახიშვილი თანამშრომლობდა პირველი ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონის – სიტყვარის – შემდგენლებთან და გარკვეულ რჩევებსაც აძლევდა მათ. ლექსიკონის წინასიტყვაობაში ისინი მაღლობას უხდიან ივანე ჯავახიშვილს: „მოვალეობად ვრაცხთ უღრმესი მაღლობა გამოუცხადოთ პროფ. ივანე ჯავახიშვილს, რომელიც ყოველ ჩვენს მიმართვაზე შესაფერის დახმარებას და განმარტებას გვაძლევდა“. იმ დროს, როცა ნიკოლაძეების ჯგუფის მიმართ დაუნდობელი და ზოგჯერ ზღვარგადასული კრიტიკა ისმოდა გარკვეული ქართველი მეცნიერის მხრიდან, ივანე ჯავახიშვილი მათთან თანამშრომლობდა, თუმცა ისიც ცხადია, რომ ის არსებითად სხვაგვარი ტერმინოლოგიური მუშაობის მომხრე იყო. მას, მართალია, არსად და არასდროს გამოუთქვამს ნიკოლაძეებისა და მათ თანამოაზრეთა შესახებ სხვა კრიტიკოსთა მსგავსი თვალსაზრისი, რომ ევროპასთან დასაახლოებლად ქართული ტერმინები არ გამოდგება ან საერთაშორისო ტერმინი უფრო მისაღებია, ვიდრე ქართული, მაგრამ, ზოგადად, ეწინააღმდეგებოდა ხელოვნურად შექმნილი ტერმინების დამკვიდრებას, რადგან ფიქრობდა, რომ ახალ ცნებათა შესატყვისები ქართულ წყაროებში უნდა მოძიებულიყო. მას უნდოდა ყველა სახის ლიტერატურიდან გამოკრებილი მასალისგან სრულფასოვანი მზა ბაზის შექმნა ქართული ტერმინთემოქმედებისათვის.

A nation that does not develop its written language properly cannot reach the highest level of mental development" - this quote is from the famous letter of the nine Georgian scientists, which was published in 1915 in the "People's Newspaper" N305. Ivane Javakhishvili also signed the letter with the title "About the Georgian dictionary". According to the authors, the

dictionary was the necessary and most important tool that would contribute to the enrichment of the language. The letter describes the plan, which, among other things, meant updating the terminology. Giorgi Kazbegi – the chairman of the Society for Spreading Literacy among Georgians – was upset by this letter and the program later published as a book.

Kazbegi considered the creation of bilingual dictionaries to be the first need, and according to Ivane Javakhishvili, the dictionary cannot be perfect if we do not work on reviving the Georgian dictionary material. "How will the compiler of your dictionary translate these words барабан, ИММУНИТЕТ, Галерея and many others, if he has not studied these terms from ancient Georgian writing? " Does each one makes it up? Then what will be the significance of such fabricated terms?" Ivane Javakhishvili's reply to Kazbegi is interesting, along with other points of view, in that it contains his points of view about the principles of terminological work. Here and in his other works, Ivane Javakhishvili's attitude towards artificial terms is clearly visible.

Nevertheless, Ivane Javakhishvili cooperated with the compilers of the first technical terminological dictionary - Sitkvari - and gave them some advice. In the Introduction to the dictionary, they thank Ivane Javakhishvili: "We consider it our duty to thank Prof. Ivane Javakhishvili, who gave us appropriate help and explanation for each of our appeals-. At the time, When the Nikoladze group was excessively criticized by some Georgian scientists, Ivane Javakhishvili collaborated with them, although it is also clear that he was essentially in favor of a different terminological work. It is true that he never and nowhere expressed a similar point of view about the Nikoladze and their associates, that Georgian terms are not suitable for bringing Europe closer or that an international term is more acceptable than a Georgian one, but, in general, he was against the establishment

of artificially created terms, because he thought that correspondents of a new concepts had to be found in Georgian sources. He wanted to create a full-fledged ready-made base for Georgian terminology work from materials collected from all kinds of literature.

მაია ქვრივიშვილი

Maia Kvrivishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakishvili Tbilisi State University

ჰუმანიტაჲ მეცნიეებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

დღესასწაული, მესიერება და იდენტობა

ქართულ საზოგადოებაში

(ზოგადი ასპექტები)

Holiday, Memory and Identity in

the Georgian Society

(General Aspects)

საკვანძო სიგყვები: *იდენტობა, მესიერება, დღესასწაული,*

საქათველო, პოლიტიკური სისტემები

Key words: *identity, memory, holiday, Georgia, political systems*

წარსულის აღქმა და მეხსიერების ფორმირება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული პოლიტიკურ კონიუნქტურაზე, კონკრეტული დრო და ვითარება თავის მოთხოვნებს უყენებს წარსულს, რადგან ცნობილია, რომ ისტორია აწმყო საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო მოთხოვნების ლეგიტიმაციისათვის ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ „წარსულის ხსოვნა აწმყო იდენტობას განსაზღვრავს“. მეხსიერების ფორმირება მიზანმიმართული პროცესის შედეგია. მეხსიერებას აქვს სოციალური ბუნება, იგი ცვალებადი და დინამიკურია და იძლევა ინტერპრეტირებისა და რეპრეზენტაციის საშუალებას კულტურული იდენტობის მიზანმიმართული ფორმირების პროცესში. საინტერესოა როგორ იყენებს დღესასწაულს, როგორც მეხსიერების ადგილს და შესაბამისად იდენტობის ერთ-ერთ წყაროს, სხვადასხვა პოლიტიკური სისტემა საქართველოში: 14 აპრილს, 9 აპრილს და 26 მაისს.

მნიშვნელოვან რიტუალს წარმოადგენს დღესასწაული. იგი სიმბოლური შესაძლებლობაა იდენტობის შესაქმნელად და შესანარჩუნებლად. დღესასწაულის აღნიშვნის დროს ხდება საზოგადოების ემოციური ბმა.

დღესასწაული როგორც თარიღი ხაზს უსვამს მემკვიდრეობას, ასტიმულირებს ახალ წარმოდგენებს, განსაზღვრავს საზოგადოების სამომავლო მოქმედებს. სამ თარიღთან: 14 აპრილი, 9 აპრილი და 26 მაისი, დაკავშირებულია საქართველოს სახელმწიფოებრიობა და იდენტობა. მიუხედავად ამისა 14 აპრილი – დედა ენის დღე არ არის სახელმწიფო დღესასწაულთა რანგში, და სადავოა 9 აპრილის და 26 მაისის დანიშნულებაც. საინტერესოა როგორ და როლი შეასრულა, ასრულებს ან ვერ შეასრულა საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვანმა თარიღებმა 14 აპრილი, 9 აპრილი და 26 მაისი. ზოგადად ეროვნული დღესასწა-

ული წარმოადგენს ინსტიტუციური დღესასწაულის არქეტიპს, რომლებიც მუდმივად დატვირთულია ემოციით და საზეიმო განწყობით. დღესასწაული წარმოადგენს მეხსიერების იმ სიმბოლურ არეს, რომელიც გავლენას ახდენს იდენტობის ფორმირებაზე, ახდენს ერის/საზოგადოების კონსოლიდაციას და მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

The perception of the past and the formation of memory significantly depend on the political conjuncture, a specific time and situation imposes its demands on the past, because it is known that history is one of the necessary factors for the legitimation of current public or state demands. It is also important that "the memory of the past determines the present identity". Memory formation is the result of a deliberate process.

Memory has a social nature, it is changeable and dynamic and provides a means of interpretation and representation in the process of purposeful formation of cultural identity. It is interesting how different political systems in Georgia use the holiday as a place of memory and therefore a source of identity: April 14, April 9 and May 26.

The holiday is an important ritual. It is a symbolic opportunity to create and maintain an identity. During the celebration of the holiday, the emotional bond of the community takes place.

The holiday as a date emphasizes the heritage, stimulates new ideas, and determines the future actions of the society. Three dates: April 14, April 9 and May 26, are associated with Georgian statehood and identity. Nevertheless, April 14 – Mother Language Day is not a state holiday, and the purpose of April 9 and May 26 is disputed. It is interesting how and what role the important dates of the recent history of Georgia played, or fai-

led to play: April 14, April 9 and May 26. In general, a national holiday is an archetype of an institutional holiday, which is constantly charged with emotion and a solemn mood. The holiday is a symbolic area of memory that influences the formation of identity, consolidates the nation/society and plays an important role in the formation and development of state thinking.

რამაზ ქურდაძე

Ramaz Kurdadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakishvili Tbilisi State University

ჰუმანიტაჲულ მეცნიეჲებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

მიმართვის ადგილისათვის ქართულ რთულ

თანწყობილ წინადადებაში

**On the Place of Forms of Address in a Georgian
Compound Sentence**

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, სინტაქსი, თანწყობილი

წინადადება, მიმახთვა

Keywords: *Georgian Language, Syntax, Compound clauses, Address*

როგორც ცნობილია, მიმართვა არ არის დაკავშირებული სინტაქსურად წინადადების რომელიმე წევრთან, თუმცა, ბუნებრივია, ის შედის წინადადების შემადგენლობაში.

მარტივი და შერწყმული წინადადებებისაგან განსხვავებით საინტერესოა მიმართვა რთულ წინადადებაში. კერძოდ, საინტერესოა, რთული წინადადების რომელ მონაკვეთში შედის მიმართვა, რომელი მონაკვეთის შემადგენელ ნაწილად უნდა ჩაითვალოს იგი. ამის შემდეგ ჩნდება ასეთი კითხვებიც: მიემართება მიმართვა მთლიანად რთულ წინადადებას თუ მასში შემავალ რომელიმე კონკრეტულ კომპონენტ წინადადებას?

ამ თვალსაზრისით მოხსენებაში განხილულია მიმართვის შემცველი რთული თანწყობილი წინადადებანი და გამოვლენილია შემდეგი შემთხვევები:

ა) მიმართვა შედის რთულ თანწყობილ წინადადების კომპონენტთაგან ერთ-ერთში და ყველა დანარჩენთან აქვს აზრობრივი მიმართება-კავშირი: „**დაწყნახდი ახდა, შექადო**, შენს თავსაც გაუფხთხიდდი, სამახეში ხომ ახ ჩაპყვები“.

ბ) რთული თანწყობილი წინადადების კომპონენტებს თავთავისი სხვადასხვა მიმართვის ფორმები აქვთ, რომლებიც მხოლოდ იმ ცალკეულ წინადადებებს მიემართებიან, რომლებშიც გვხვდებიან: „**იშხიადე, დიდო ვეხხვო, იგუგუნე, დედამიწავ!**“

გ) რთული თანწყობილი წინადადების კომპონენტებში ექსპრესიული ფუნქციის გამო შეიძლება მეორედობდეს ერთი და იგივე მიმართვის ფორმა, უმთავრესად ლექსებში: „**ქახო, მოიგა აგმის ყვავიდი, ქახო, ფოთლებიც შემომაცაჩე**“.

დ) ყველა ზემომოყვანილ მაგალითიდან ცალკე გამოსაყოფია ის შემთხვევები, როდესაც მიმართვის ფორმები თანწყობილი წინადადების ერთი კომპონენტის შემადგენლობაში გვხვდება და სხვა კომპონენტ-წინადადებებთან

არ ავლენენ მიმართება-კავშირს: „შენ ახ გაიგეხო გუდი, **შვიდო**, სანთედი და საკმევედი გზას ახ დაკახგავს“.

ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ და ფინანსებული პროექტის: „ინფორმაციული სტრუქტურა და ქართველურ ენათა ჰიპოტაქსური მოდელები“, FR-21-352 ფარგლებში.

It is widely known that forms of address are not syntactically related to any member of the sentence, yet, they form part of the sentence.

Unlike simple sentences or sentences with multiple parts, special attention should be paid to the forms of address in a compound sentence, in particular, we should analyze the following: which part of the sentence does the form of address pertain to? Does the form of address pertain to the entire compound sentence or to some of its concrete component clause?

In this regard, the paper analyzes compound sentences containing forms of address. The following cases have been distinguished:

a) Address forms part of one of the clauses of the compound sentence and it is semantically related to all the other clauses: დაწყნახდი ახდა, **შე ქადო**, შენს თავსაც გაუფხობიდე, სამახეში ხომ ახ ჩაჰყვები *dats'q'nardi*, **še kalo**, *šens tavsats gauprtxildi, samareši xom ar zahqəvebi* “Calm down, **woman**, take care of yourself, you cannot follow him into his grave”.

b) Each component of a compound sentence has its own form of address pertaining to the clause in which it is found: იშხიადე, **დიდო ვეხხვო**, იგუგუნე, **დედამიწავ!** *išriale, dido verxvo, igugune, dedamits'av!* “Rustle, **great aspen**, roar, **mother earth!**”

c) One and the same form of address can be repeated in various components of the compound sentence with the aim of performing an expressive function. Such cases are chiefly found in poetry: **ქაჲმ**, მთოგა ატმის ყვავილი, **ქაჲმ**, ფოთღებოც შემომავახე **karo**, *moit'a at'mis q'avili*, **karo**, *potlebits šemo-maq'are* “**Wind**, bring peach flowers, **wind**, throw leaves at me”.

d) Separate mention should be made of cases when forms of address are found within one component of a compound sentence and are not related to other components: შენ ახ გაიგებო გული, **შვილო**, სანთელი და საკმეველი გზას ახ დაკაჩგავს *šen ar gait'exo guli*, **švilo**, *santeli da sak'meveli gzas ar dak'ar-gavs* “Don't be disappointed, **child**, a candle and incense are never burnt in vain”.

The paper has been implemented within the framework of a project “Information Structure and the Hypotactic Patterns of Kartvelian Languages”, FR-21-352, financed by Shota Rustaveli National Science Foundation.

მედეა ღლონტი
Medea Ghlonti

თსუ ახნოდე ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

**ადამიანის სულიერი მოქმედების ამსახველი
ტერმინოლოგიური ბუდისათვის ქართულში
(ქართ.: გონების თვალი, გონების ყური,
გულის თვალი, გულის ყური)**

**For the Terminological Nest expressing Human
Spiritual Activity in Georgian
(Georg.: gonebis tvali "eye of the mind",
gonebis quri "ear of the mind", gulis tvali "eye
of the heart", gulis quri "ear of the heart")**

*საკვანძო სიტყვები: დექსიკოლოგია, გეხმინოლოგიური ბუდე,
ფუნქციური სემანტიკა*

Keywords: *Lexicology, Terminological nest, Functional semantics*

ნაშრომში „ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები“ (1956) ივანე ჯავახიშვილი გვანჯდის სარწმუნო დაკვირვებას ძვ.ქართ. შესიტყვება-ტერმინების („**გონების თუალნი**“, „**გონების ყური**“) ამოსავალი საღვთისმეტყველო სემანტიკური ფუნქციონირების თაობაზე, კერძოდ:

ამ ტერმინებით გამოითქმოდა „ადამიანის სულიერი მოქმედების ფრიად საგულისხმო თვისება“, რისი მეშვეობითაც საგანი აღიქმება არა „თვალითა და ყურით“, არამედ „მხოლოდ გონებით წარმოებს შინაგანი, გონებითი მეტყველება“, მეტყველების ორგანო კი - დუმს. ადამიანის ამ უხილავ მოქმედებას **გონება** „ფარულად და უხილავად“ განაგებს, და სიტყვაც იმას „თარგმანებს, რაფცა იყოს გონებათა შინა“. მკვლევრის თქმით, ორივე ეს ტერმინი „ქართულმა მერმინდელმა მწერლობამ დაივიწყა...“, და ისინი „სახელოვან სულხან-საბას თავის ლექსიკონში არ შეუტანია“.

განსახილველ შესიტყვება-ტერმინთაგან დღემდე არ ფუნქციონირებს **გონების ყური**, მაგრამ უძველესი ფუნქციური სემანტიკა შენარჩუნებულ აქვს შესიტყვება-ტერმინს **გონების თვალი**, რომელიც ასევე არ აისახება სულხან-საბას ლექსიკონში; თუმცა ლექსიკოგრაფის მიერ განიმარტება სტრუქტურულად მსგავსი შესიტყვება-ტერმინი **გულის ყური**, რომელიც ჩანერილია იოვანე საბანისძის „წმიდია ჰაბოს წამებაში“ (VIII ს.): „**ყური გულისა და გონებისა თქუენისანი**“. ასევე მოგვეპოვება ძვ.ქართ. შესიტყვება-ტერმინი **გულის თვალი** - „**თუალნი გულისანი**“ (ეფესელთა მიმართ 1, 17-18), სადაც **გული** წარმოდგება „გონების“ სემანტიკით.

განსახილველი შესიტყვება-ტერმინებით წმიდა წერილში თვალსაჩინოდ განისაზღვრება **გონებისმიერი** და

გულისმეორი სინერგიის ქეშმარიტი შინაარსი (3 მეფეთა 3, 1-15; ისუ ნავესი 14, 7-8; მათე 6, 21-22; ლუკა 24, 45; იოანე 1, 1; საქმე 2, 1-1; 4, 32; 1 კორინთელთა მიმართ 14, 15 და სხვ.), რის შედეგადაც იქმნება „გონების“, „გულის“, „თუალის“ და „ყურის“ კომპონენტთა შემცველი ძველქართული შესიტყვება--ტერმინთა მრავლისმეტყველი ტერმინოლოგიური ბუდე.

ოთხივე შესიტყვება-ტერმინის სახისმეტყველებით წარმოჩნდება **ღვთივსათნო ცხოვრების წესის არჩევანის** დიდებული ფორმულირება, სადაც განმსაზღვრელი ფუნქცია ენიჭება **ღმრთისმოყვარე გონებას** – მასთან ღმრთივგანწმენდილი **გულის** კეთილისმყოფელი თანამონაწილეობით.

In his work “The Issues of the Georgian Language and History of Writing” (1956), Iv. Javakhishvili represents the trustful observation of the starting religious semantical functioning of some Old Georgian word combinations such as – old Georg. **gonebis tualni** "eyes of the mind" and old Georg. **gonebis qurni** "ears of the mind".

These terms were used to deliver a “significant feature of the human spirit action” due to which an object is perceived not “by means of eyes and ears”, but only by mind implying that „only through the human mind can be the inner mental functioning carried on“ and as for the organ of speech, in this case it remains silent. **Human mind** is the organ which directs this invisible action and as for the words they “transmit only what is inside the mind”. The scientist notes that both these terms „were forgotten by the Georgian writers through the followed times and thus, the famous writer and scientist Sulkan-Saba Orbeliani did not include them into his dictionary“.

Among the word-combinations (terms) under the discussion, the old Georg. term **gonebis quri** “ear of the mind” is not

functioning including nowadays though it preserved the its old functional semantics; as for the old Georg. term **gonebis tuali** "eye of the mind", it also is not reflected in Sulkhan-Saba dictionary; though the old Georg. term **gulis quri** "ear of the heart", which is structurally similar to the above mentioned terms, is explained in the dictionary and it is met in the text of the Old Georgian piece of literature named "Tortures of St. Habo" (VIII century, the author is Iovane Sabanisdze): "qurni **gulisa da gonebisa tquenisani**" - "the ears of the your heart and mind". We have also a word-combination term in Old Georgian - **gulis tuali** "eye of the heart" - literally **tualni gulisani** "the eyes are the heart" (Ephessians 1, 17-18), where the term **heart** (Georg. **guli**) preserves the semantics of the "mind".

All four terms (**gonebis tuali**, **gonebis quri**, **gulis tuali** and **gulis quri**) convey the true meaning of the synergy of **mind** and **heart**, which is clearly reflected in Scripture (e.g.: 3 Kings 3, 15; Book of Joshua 14, 7-8; Matthew 6, 21-22; Luke 24, 45; John 1, 1; Acts 2, 1-1; 4, 32; 1 Corinthians 14, 15 and others); resulted out of this, we see the inclusive terminological nest of the terms expressed through the Old Georgian word-combinations containing such components as "mind", "heart" "eye" and "ear".

All four types of "phraseological" terms reflect the formulation of **Godly lifestyle Choice**, in which the determining function is given to **God-loving mind**, along with a **purified heart**.

მზია შელია

Mzia Shelia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

Faculty of Economics and Business

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

Iliia State University

დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი

Institute of Demography and Sociology

ივანე ჯავახიშვილი საქართველოს მოსახლეობის

აღწერების შესახებ

**Ivane Javakhishvili about Georgia's population
censuses**

საკვანძო სიტყვები: *დემოგრაფია, მოსახლეობის აღწეა,*

ივანე ჯავახიშვილი, ეთნოსტრუქტურა.

Keywords: *Demography, Population census, Ivane Javakhishvili,*

Ethnic structure

განუზომელია ივანე ჯავახიშვილის წვლილი დემოგრაფიული წერილობითი ძეგლების მოძიებაში, აღწერა-ანალიზსა და მეცნიერულ შეფასებაში. მან ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით დაასაბუთა საქართველოში მოსახლეობის პერიოდული (7 წელში ერთხელ) აღწერის ტრადიციულობა, შეისწავლა მოსახლეობის აღწერის კონკრეტულ მიზნები, აღწერის ფინანსური უზრუნველყოფის წყაროები, დაასაბუთა აღწერის პროგრამის არსებობა და გამოავლინა მოსახლეობის არასწორი აღრიცხვის შემთხვევაში დამნაშავეთა სამართლებრივი სასჯელის მაშინდელი ნორმები; შეაფასა ომების გავლენა რეგიონის მოსახლეობის ტერიტორიულ მოძრაობაზე და, შესაბამისად, დემოგრაფიულ კლებაზე. მან უარყოფითად შეაფასა 1926 წლის მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით აღრიცხვის მაშინდელი მეთოდოლოგია და გვიჩვენა მისი უარყოფითი შედეგები. კერძოდ, ცალკე ეთნიკურ ჯგუფად მუსულმანების გამოყოფამ, რომელშიც მოქცეულნი იყვნენ ქართველი მაჰმადიანები, დამახინჯა მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურა, და ეთნიკურად მრავალფეროვან რეგიონებს საფუძველი მისცა ერთის მხრივ არასწორი საგანმანათლებლო პოლიტიკა გაეტარებინათ, მეორეს მხრივ, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობაც დაერღვიათ.

Ivane Javakhishvili's contribution to the search for written monuments on demography, their description, analysis and scientific evaluation is immeasurable. Based on historical sources, Ivane Javakhishvili substantiated the traditional character of the periodical (once every 7 years) population census in Georgia, studied the specific goals of the population census, the sources of financial support for the census, substantiated the existence of the census programme and found the norms of legal punish-

hment for criminals in case of incorrect population census applicable then; assessed the impact of wars on the territorial movement of the population of the region and, accordingly, on the demographic decline; He negatively evaluated the methodology of 1926 population census based on ethnicity of that time and showed us its negative results. In particular, the categorization of Muslims into a separate ethnic group, which included Georgian Muslims, distorted the ethnic structure of the population, and gave ethnically diverse regions a reason to implement an improper educational policy on the one hand, and to violate the territorial integrity of the country, on the other hand.

მარიამ ჩაჩიბაია
Mariam Chachibaia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაჲულ მეცნიეხებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

სირიული წყაროები ისლამის აღზევების შესახებ
Syriac Sources on the Rise of Islam

საკვანძო სიგყვები: აღმოსავლეთის ეკლესია, სიხიული
ქიონიკები, ფსევდომეთოდე, მონოფიზიტი, ნესტორიანი

Key words: *Church of the East, Syriac Chronicles, Pseudo-
Methodius, Monophysite, Nestorian*

სირიელ მემატიანეთა დიდი ნაწილი ისლამის გავრცელებას მიიჩნევდა სასჯელად, რომელიც ღვთის ნებით თავს დაატყდა თავის ხალხს საკუთარი ცოდვების გამო. ზოგჯერ თანამედროვე მკვლევრები წამოაყენებენ ისეთ მოსაზრებებს, რომელთა დამადასტურებელი რაიმე საბუთი სირიულენოვან ქრონიკებში, ფაქტობრივად, არ ჩანს. კერძოდ, სირიულენოვანი ქრისტიანები თითქოს მიესალმებოდნენ არაბთა შემოჭრას და მუსლიმ დამპყრობლებს, როგორც ბიზანტიური მმართველობის დესპოტური ფისკალური და თეოლოგიური პოლიტიკისგან განმათავისუფლებელს. მართალია, ბიზანტიური მმართველობა მოსახლეობის დიდ ნაწილს მიიჩნევდა „მონოფიზიტ“ და „ნესტორიან“ მწვალებლებად, მაგრამ „სირიული ორთოდოქსული“ ან „აღმოსავლეთის ეკლესიის“ წარმომავლობის ტექსტებში, ფაქტობრივად, არ ჩანს მტრული დამოკიდებულება არც ბიზანტიური მმართველობისადმი, და არც ერთიანი რწმენისაკენ სწრაფვის სურვილისადმი ყველა საპატრიარქოსა და ენობრივ გაერთიანებებში. პირიქით, არაფერია საგანგებოდ ანტიბიზანტიური ან ანტირომაული იშვიათ შენიშვნებში, რაც შესაძლოა არაბების სასარგებლოდ მეტყველებდეს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სირიულენოვან ქრისტიანთა ანტიბიზანტიური განწყობა ნაწილობრივ უკავშირდებოდა გავრცელებულ მწვალებლობასა და ბიზანტიელ მმართველთა როგორც საერო, ისე საეკლესიო პირთა თანამდებობრივ დანაშაულს.

შესაძლოა ადრეული ხანის სირიელი მწერლები, რომლებიც ყურად იღებდნენ რელიგიის ენაში ისლამის ჰეგემონიურ როლს, იყვნენ ისინი, ვინც ცდილობდა აეხსნა არაბთა დაპყრობები და გამარჯვებები დანიელის წინასწარმეტყველების წიგნის მიხედვით. ისინი წერდნენ აპოკალიფსურ სტილში. ამგვარი, საკმაოდ კარგად ცნობილი

შრომა არის ფსევდომეთოდეს აპოკალიფსი, რომელიც თავდაპირველად შეიქმნა სირიულ ენაზე, ხოლო შემდგომში ითარგმნა ბერძნულად და ლათინურად.

რეინიკი ემყარება ტექსტის გამონვლილვით ანალიზს და ვარაუდობს, რომ თხზულება შეიქმნა სირიულ ორთოდოქსულ გარემოცვაში, ბიზანტიის და სპარსეთის სასაზღვრო არეალში, ქალაქ სინჯარის მახლობლად. როგორც ჩანს, ეს იყო მწვავე რეაქცია პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებაზე იმხანად იმ არეალში.

სხვა სირიელი მწერლები ასევე აპოკალიფსით ხსნიდნენ არაბთა ბატონობას ქრისტიანებზე და წინასწარ განჭვრეტდნენ, თუ რა იქნებოდა ყოველივე ამის შედეგი. ვიდრე ისინი ყველანი შეთანხმდებოდნენ, რომ გაერთიანების ცოდვები, და განსაკუთრებით დოქტრინული უღვთობა, იყო ძირითადი მიზეზი მათი მღელვარებისა, ყველა ავტორი არ იყო ისე ოპტიმისტურად განწყობილი მოსალოდნელი შედეგებისადმი, როგორც აპოკალიფსის ავტორი ფსევდომეთოდე.

Many Syriac chroniclers considered the spread of Islam as a punishment which befell their people because of their own sins. Sometimes modern researchers put forward viewpoints for which actually no confirming document is visible in Syriac chronicles. Namely, allegedly, the Syriac-speaking Christians welcomed the invasion of the Arabs and the Muslim conquerors as liberators from the despotic fiscal and theological policies of the Byzantine rule. Although the Byzantine government considered a large part of the population as “Monophysite” and “Nestorian” heretics, in the texts of the “Syriac Orthodox” or “Church of the East” origin a hostile attitude is not in fact observable either to-

wards the Byzantine rule or towards the desire to strive to a unified faith in all patriarchates and language communities. On the contrary, nothing is specially anti-Byzantine or anti-Roman in the rare notes, which may be indicating in favour of the Arabs, but it should be noted that the anti-Byzantine mood of the Syriac-speaking Christians must be partially related to the disseminated heresy and official crimes of Byzantine rulers, both secular and ecclesiastical.

It is possible that Syriac writers of the early times who took heed of the hegemonic role of Islam in the language of religion were those who tried to explain the Arab conquests and victories according to the book of Daniel. They wrote in the apocalyptic style. Such, a quite well-known work is the Apocalypse of Pseudo-Methodius, created initially in the Syriac language and translated later into Greek and Latin.

On the basis of a detailed analysis of the text, Reinink assumes that the work was created in the Syriac Orthodox environment, in the border area of Byzantium and Persia, near the town of Sinjar. Apparently, this was a sharp reaction to the political and social situation in that area at that period.

Other Syriac writers also explained the Arab domination over the Christians by the Apocalypse and predicted what would be the result of this. Until they all agreed that the sins of the unity and especially the doctrinal unrighteousness were the main reason for their unrest, all authors were not as optimistic about the expected results as the author of the Apocalypse Pseudo-Methodius.

ნინო ჩიქოვანი
Nino Chikovani

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhsishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაჲდ მეცნიეეებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

კოლექტიური მეხსიერების ფორმირება
გარდამავალ პერიოდში:
გმირი-ანტიგმირის დისკურსი
Formation of the New Memory in the Period of
Transition: Hero-antihero Discourse

*საკვანძო სიგყვები: კოლექტიური მეხსიეეება, გმიი-
ანტიგმიიი, კულტურული ნიმუში, მეხაბ კოსტავა*
Keywords: *collective memory, hero-antihero, cultural pattern,*
Merab Kostava

ყველა ეპოქა, განმსაზღვრელ მოვლენებთან ერთად, კონკრეტულ ფიგურებთან ასოცირდება. მათი მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება გარდამავალ პერიოდებში: გმირების/ანტიგმირების იმიჯი *კონსტრუქციები* სწრაფი პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული ცვლილებების პირობებში; ისინი ზემოქმედებენ მოვლენათა განვითარებაზე; ეს ფიგურები იქცევიან სხვადასხვა ჯგუფის მეხსიერების საყრდენებად, რომლებიც ხან გამაერთიანებელ, ხან კი გამყოფ ფუნქციას ასრულებენ. მათთვის მინიჭებული მნიშვნელობების გაანალიზება გმირისა და ანტიგმირის დისკურსის ფარგლებში საშუალებას იძლევა, თვალი მივადევნოთ კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბების პროცესს, რომლის გათვალისწინების გარეშე ბევრი სხვა პროცესის სრულყოფილი გააზრება შეუძლებელია. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდის გმირთა ფიგურებიდან არჩევანი შევაჩერეთ მერაბ კოსტავაზე, რომელმაც დიდი გავლენა იქონია თანამედროვე გმირის იმიჯის ჩამოყალიბებაზე, 1980-1990-იანი წლების ამბების აღქმაზე და თავისი ადგილი დაიკავა მომდევნო პერიოდის მოვლენათა რეპრეზენტაციაში. მისი საფლავი თანამედროვე ქართული კოლექტიური იდენტობისათვის უმნიშვნელოვანეს სიმბოლურ ადგილას – მთაწმინდის პანთეონში – ახალი კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებისკენ გადადგმული ნაბიჯი იყო. კვლევის მიზანია, პასუხი გავცეთ კითხვებს: კოლექტიურ მეხსიერებაში არსებული რომელი კულტურული ნიმუშების გამოყენებით *კონსტრუქციები* მერაბ კოსტავას, როგორც გმირის, იმიჯი? რომელი ანტიგმირების პირისპირ ყალიბდებოდა იგი? როგორ მუშაობდა ამ პროცესში დამახსოვრება-დავინწყების მექანიზმი? ნაშრომი ემყარება ფორმითა და შინაარსით მრავალფეროვანი ნარატივების შესწავლას *კონგენგ-ანაღიზისა* და დისკურსის ანალიზის მეთოდების გამოყენებით, რაც საშუალებას გვაძ-

ლევს, გავანალიზოთ მნიშვნელობები, რომელთაც ინდივიდები/ჯგუფები ანიჭებენ სოციალურ რეალობას. ემპირიული მასალა გააზრებულია კოლექტიური მეხსიერების თეორიის მეთოდოლოგიურ ჩარჩოში.

Every epoch is associated with defining events as well as concrete figures. Their significance particularly increases in the period of transition: their images are constructed under conditions of rapid political and socio-cultural changes; they influence ongoing processes; these figures form the foundation for the memory of different groups and have unifying or dividing function. Applying the hero-antihero discourse for the analysis of the meanings assigned to them enables us to observe the process of formation of collective memory, which affects many other processes of the period. Out of the key figures of the 1990s, I have selected Merab Kostava who significantly influenced construction of the image of the modern hero as well as the perception and representation of events of the 1980s-1990s. His grave in Mtatsminda Pantheon - the most important symbolic area for the modern Georgian collective identity - was a step towards the formation of a new collective memory. The study aims to answer the following questions: How the image of Merab Kostava as a hero was constructed on the basis of cultural patterns preserved in the Georgian culture? Who were the antiheroes vis-à-vis his image? How do the mechanisms of remembering and forgetting work in this process? The research is based on the study of diverse narratives and employs the methods of content analysis and discourse analysis to explore the specific meanings that individuals/groups attach to social reality. The empirical material is comprehended within the framework of the theory of collective memory.

ირაკლი ჩხაიძე
Irakli Chkhaidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაჲულ მეცნიეხებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

ილია ჭავჭავაძე: ეროვნული ფიგურა
წინააღმდეგობრივ საჯარო დისკურსებში
Ilia Chavchavadze:
National Figure in the Controversial Public
Discourses

საკვანძო სიტყვები: იდენტობა, დისკურსი, ეროვნული ფიგურა
Keywords: *Identity, Discourse, National figure*

ილია ჭავჭავაძე (1837-1907) ეროვნული ფიგურაა საქართველოს საზოგადოების თითქმის ყველა ნაწილისთვის. როგორც ფართო საზოგადოებრივ დონეზე, ასევე ინტელექტუალურ წრეებში, ბევრს საუბრობენ მის მიერ დატოვებული მემკვიდრეობის მნიშვნელობაზე, თუმცა, ილია ჭავჭავაძის საყოველთაო აღიარება არ არის საზოგადოებრივი კონსენსუსის საფუძველი. ჯგუფებს, რომელთათვისაც ილია საკულტო მოღვაწეა, სრულიად განსხვავებული ხედვები აქვთ საქართველოს სახელმწიფოსთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა ერის მშენებლობის ფორმები, საზოგადოების განვითარების მოდელები და მიმართულებები, საგარეო-პოლიტიკური კურსი და სხვა. ილია ჭავჭავაძის ფიგურა ხშირად არის გამოყენებული ეროვნული იდენტობის განსხვავებული დისკურსების მხარ-დასაჭერად – ზოგისთვის ილია ტრადიციულ, კონსერვატულ ფასეულობებს გამოხატავს, ზოგისთვის საქართველოს ევროპული იდენტობის მთავარი სიმბოლოა, ზოგისთვის სეკულარული ქართველი ერის მშენებელი, ზოგისთვის კი მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ კანონიზებული წმინდა ილია მართალი.

მოხსენება მიზნად ისახავს ილია ჭავჭავაძის როგორც ეროვნული გმირის შესწავლას, რომელიც, ერთი მხრივ, საქართველოს გმირთა პანთეონის უპირობო ლიდერია საყოველთაოდ აღიარებული დადებითი იმიჯით, ხოლო, მეორე მხრივ, მისი სახელი ერთ-ერთი ყველაზე მანიპულირებადია საქართველოს ისტორიაში. ილია ჭავჭავაძის, როგორც გმირის „ფლობა“, მის იდეების გამგრძელებლად თავის წარმოჩენა, ილიას სახელით საუბარი განსაკუთრებით მიმზიდველია პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი მოძრაობებისა და მათი ლიდერებისთვის. ერნესტო ლაკლაუს მიერ შემოთავაზებული ტერმინი რომ გამოვიყენოთ, ილია ჭავ-

ჭავჭავაძის ფიგურა „ცარიელი აღმნიშვნელია“, რომელშიც ყველა მისთვის სასურველ შინაარსს დებს. საკვლევე პრობლემა აქტუალურია, რადგან ილია ჭავჭავაძის ფიგურის არაერთგვაროვანი აღქმა და კონფლიქტური დისკურსები მნიშვნელოვნად განაპირობებს წინააღმდეგობრივ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროცესებს. მიუხედავად ილიასთან დაკავშირებით არსებული მასალების დიდი რაოდენობისა, ბევრი არ არის ნაშრომი, რომელშიც საკითხი მსგავსი პერსპექტივიდანაა შესწავლილი.

Almost all parts of Georgian society view Ilia Chavchavadze (1837-1907) as a national figure. There is a lot of discussion regarding his legacy in both intellectual and popular circles. The groups, for whom Ilia is a cult figure, have completely different views on such important issues for the state of Georgia like the forms of nation building, models and directions of community development, foreign policy and others. Chavchavadze's image is frequently used to support different discourses on national identity. For some, Ilia represents traditional, conservative values; for others, he is the primary representation of Georgia's European identity. There are also those, for whom he is the architect of the Georgian nation's secularism, and those, for whom he is Saint Ilia the Righteous, who has been canonized by the Orthodox Church.

The paper intends to examine Ilia Chavchavadze as a national hero, who is simultaneously the unquestionable leader of the pantheon of Georgian heroes with a widely accepted positive image and one of the most malleable names in Georgian history. Political or public movements, and the leaders of those movements, find "owning" Ilia Chavchavadze as a hero, positioning themselves as those who champion his ideas, and speaking on behalf of Ilia to be particularly alluring. The figure of Ilia

Chavchavadze is an "empty signifier," to use Ernesto Laclau's term, into which everyone inserts his or her desired content. The research topic is relevant because different perspectives and conflicting discourses on Ilia Chavchavadze have a big impact on contradictory political and social processes. Despite the abundance of materials related to Ilia Chavchavadze already in existence, hardly any works can be found in which the issue is investigated from a similar perspective.

ივანე წერეთელი
Ivane Tsereteli

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

**ერთი შემოქმედის ავტობიოგრაფია, როგორც
კოლექტიური ტრავმის ნარატივი: ლანა ღოღობერიძე**
**Autobiography of one creator as a narrative of
collective trauma: Lana Ghoghoberidze**

საკვანძო სიტყვები: გზავმა, მემუარები, საქართველო
Keywords: Trauma, Memoirs, Georgia

ადამიანი, ბუნებით, მთხრობელი არსებაა. თხრობა, აღწერასთან ერთად, ინტერპრეტაციას გულისხმობს. გამიზნულად თუ გაუაზრებლად, მნიშვნელობა ენიჭება საგნებს, ფაქტებს და წარსულში მომხდარ მოვლენებს. რობერტ ნეიმაიერის აზრით, ამას აკეთებს როგორც მთხრობელი, ასევე აუდიტორიაც. ნაშრომის მიზანია ვნახოთ, როგორ არის გაანალიზებული, გააზრებული და ინტერპრეტირებული დამოუკიდებლობის შემდგომ შექმნილ მემუარულ ლიტერატურაში 1989 და 1991 წლის 9 აპრილი, თბილისის ომი და სამოქალაქო დაპირისპირება. 90-იანების შედეგად წარსულის გაცოცხლება იწყება მემუარებში. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ლანა ლოლობერიძის მემუარი „რაც მაგონდება და როგორც მაგონდება“, რომელიც საბოლოო სახით 2019 წელს გამოიცა. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ მიმართულების ჟანრს ცხოვრების თხრობას (life writing) უწოდებენ. იგი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მხოლოდ (ავტო)ბიოგრაფია. ცხოვრების მთხრობელ ტექსტს აქვს პრეტენზია, გადმოსცეს არა მხოლოდ ამბავი, არამედ გააანალიზოს ის პროცეს(ებ)ი, რომელმაც განაპირობა პიროვნების იდენტობის კონკრეტული ფორმით ჩამოყალიბება. ეს არის ანალიზი არა მხოლოდ იმისა, თუ როგორ, არამედ იმისაც, თუ რატომ შეიქმნა ის პარადიგმა თუ პლატფორმა, საიდანაც ტექსტის წერის დროს ავტორი აღიქვამს სამყაროს. „სიცოცხლე არ არის ის, რაც იცხოვრე, არამედ ის, რაც გახსენდება და როგორც გახსენდება“ საკუთარ მემუარებში გამოთქმული რეჟისორ ლანა ლოლობერიძის ეს სიტყვები, ჟანრის ერთგვარ განსაზღვრებადაც შეიძლება გამოდგეს.

A human is a narrator by nature. Narration implies not only description, but also interpretation. Deliberately or accidentally, meanings are attached to things, facts, and events that took place in the past. According to Robert Neimeyer, both narrators and audiences do so. The objective of this Article is to clarify how 9 April 1989 and 1991, the war and civil confrontation in Tbilisi, and a stressful series of sudden and intensive changes are analyzed, conceptualized, and interpreted in the memoirs created after Georgia became independent. The 1990s give an impetus to the revival of the past also in texts on life. Lana Gogoberidze's memoirs "What I remember and how I remember" are noteworthy in this regard. The final version of the book was published in 2019. As regards the texts of memoirs, this genre is called lifewriting in scientific literature and this notion is wider than just an (auto) biography. A lifewriting text is supposed to not only tell a story, but also analyze the process(es), which determined the concrete shape of the identity of a person. It analyzes not only how the paradigm or platform, on which the author is based on when writing a text, was created, but also why. "Life is not what you have lived, but what you remember and how you remember". These words by Lana Gogoberidze can be appropriate to be used as a definition of the genre.

ნინო წერეთელი

Nino Tsereteli

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakishvili Tbilisi State University

ჰუმანიტაჲულ მეცნიეხებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

ბინარული ოპოზიცია ჩემი/სხვა

ლია სტურუას შეგრძნებების რომანში

„რძეში ჩავარდნილი ქვა“

Binary Opposition Self/Other

(According to Lia Sturua’s novel of Perceptions -

“A Stone Dropped in Milk”)

საკვანძო სიგყვები: პაჩიზი, მახადიუდი ქადაქი,

ოპოზიცია ჩემი /სხვა

Keywords: *Paris, Eternal City, Opposition Self/Other*

ლია სტურუას შეგრძნებების რომანი „რძეში ჩავარდნილი ქვა“ მარადიულ ქალაქს – პარიზს ეძღვნება. ქალაქი, რომელიც შემოქმედებით თავისუფლებას უკავშირდება, შეუცვლელია ხელოვანთათვის და სრულიად ლოგიკურია, რომ პარიზის, ამ განსაკუთრებული ქალაქის თემა საუკუნეების განმავლობაში აქტუალურია მსოფლიო ლიტერატურაში.

პოეტის ურთიერთობებს ქვეყნებსა და ქალაქებთან ყოველთვის „ლიტერატურული სარჩული აქვს გამოკრული“. ლია სტურუასთვის ფრანგული ლიტერატურა და მხატვრობა იმდენად ახლობელია, რომ პარიზში არასდროს უცხოდ თავს არ გრძნობს. ქალაქი თავისი სიდიადით მისთვის ყველა სტილზე და მიმდინარეობაზე მაღლა დგას. პარიზში დილა „ღმერთის საჩუქარია“, პარიზის ქუჩებს „ვარსკვლავებისკენ მიმავალ გზას ადარებს“. ეს ქალაქი პოეტისთვის კათარსისი და ხანმოკლე გაზაფხულია, რომელიც შეიძლება სწრაფად დამთავრდეს. აქ სამშობლოს მოგონება სევდას და ტრაგიზმს უმძაფრებს. სამოქალაქო ომებით, უშუქობით, სიცივით გადაღლილი თბილისიდან ჩასული პოეტისთვის პარიზი ნამდვილი ოაზისია, რომელიც შემოქმედებით იმპულსს აძლევს. ესეა ავტორი ქალაქის ისტორიის კვალდაკვალ დადის და პარიზის მულტიკულტურული წარსულის და აწმყოს გააზრებით საინტერესო კულტურულ დიალოგს ქმნის. შეგრძნებების რომანი – „რძეში ჩავარდნილი ქვა“, ძალზე მნიშვნელოვანი და გამორჩეული ლიტერატურული ტექსტია, სადაც თვალშისაცემია მხატვრული სახეების მრავალფეროვნება, ლიტერატურული რემინისცენციები და მეტაფორული აზროვნება.

სამოგზაურო ლიტერატურაში პარიზს გარკვეულწილად სტერეოტიპული აღქმა აქვს. სტერეოტიპის არსებობა მოცემულობაა, რომელსაც მხოლოდ მისთვის დამახასიათებ-

ლი თვისებები გააჩნია. სტერეოტიპი ხშირ შემთხვევაში, უცვლელია, იგი შეიძლება რედუცირდეს და შეფასდეს.

სტერეოტიპებთან დაკავშირებით ყველაზე მნიშვნელოვანია შეფასებითი მომენტი, რომელიც ჩვეულებრივ მოქმედებს ოპოზიციის „ჩემი – სხვისი“ ფონზე.

ბინარული ოპოზიციური წყვილიდან იდეალად ან მისი პირველი წევრი(ჩემი)წარმოჩნდება, ან პირიქით, მისი კრიტიკის ფონზე იდეალი მეორე წევრი („სხვა“) ხდება. საფრანგეთი, პარიზი, რომელიც ავტორისთვის ბავშვობიდან ლიტერატურასთან და ლიტერატურულ გმირებთან ასოცირდება, მისთვის სრულიად არ არის უცხო, თუმცა ეს ქალაქი არასდროს გახდება მშობლიური. შეგრძნებების რომანში „რძეში ჩავარდნილი ქვა“, „სხვა“ არ არის დისჰარმონიაში „საკუთართან“ და ავტორს სრულიად დაძლეული აქვს გაუცხოების თემა.

Lia Sturua's novel of perceptions "A stone dropped in milk" is dedicated to the eternal city – Paris, a city known for its artistic freedom. It is indispensable for artists and it is quite logical that the theme of Paris, this special city, has been so relevant in world literature for centuries.

The attitude of the author to the countries and cities always "has a literary cover". French literature and art are so close to Lia Sturua, that she never feels like a stranger in Paris. The city with its majesty is beyond all styles and trends for her. She refers to Parisian mornings as "a gift from God" and describes the city's streets as "a road going to the stars". For the poetess, this city serves as a catharsis and a fleeting spring that could end at any moment. Here, the recollections of home intensify the sense of loss and tragedy. Paris is a true paradise for the poetess from

Tbilisi who left the civil conflicts, darkness and cold behind, which is inspiring to write. The essay's author explores the history of the city and creates an interesting cross-cultural dialogue while keeping in mind Paris' multicultural past and present.

In travel writing, there is a fairly stereotyped perception of Paris. The existence of a stereotype is a fact that has characteristic features unique only to it. In most cases, the stereotype is unchanged; it can be reduced and evaluated. When it comes to stereotypes, the evaluative moment is crucial since it usually occurs against the background of the opposition "mine – the other". From a binary oppositional pair, either its first member ("mine") acts as an ideal, or, vice versa, the second member ("the other") serves as an ideal against the background of its criticism. The novel of perceptions "A Stone Dropped in Milk" is a captivating literary text, which stands out for its variety of artistic forms, literary allusions and metaphorical thinking. France, Paris associated by the author of the essay with literature and literary characters from her youth, is not completely alien to her, even though this city will never become her native town. "A Stone Dropped in Milk" does not specifically demonstrate the concept "other", which is in harmony with "own". It's worth mentioning, that "other" is maximally reduced. The topic of alienation is absolutely overcome in the narration.

სოფიკო ჭაავა

Sofiko Tchaava

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Sokhumi State University

ჰუმანიტაჲურ მეცნიეხებათა ფაკულტეტი Faculty of Humanities

ამიერკავკასიის საბჭოთა-ფედერაციული

რესპუბლიკის

1922 წლის კონსტიტუციის

ენობრივი რეგულაციები

Language regulations of the 1922 Constitution

of the Transcaucasian Soviet Federative

Republic

*საკვანძო სიგყვები: ამიერკავკასია, კონსტიტუცია, ენობრივი
რეგულაციები, ენობრივი პოლიტიკა*

*Keywords: Transcaucasia, constitution, language regulations,
language policy*

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2022 წელს დაფინანსებული პროექტის „ენათა ფუნქციონირება აფხაზეთის ასსრ-ში საბჭოთა პოლიტიკის კონტექსტში (XX საუკუნის 30-იანი წლები)“ (შიფრი: OTG-I-22-232) ფარგლებში გათვალისწინებულია ამიერკავკასიის ფედერაციის, საბჭოთა კავშირის, საქართველოს სსრ-სა და აფხაზეთის ასსრ-ში მოქმედი კონსტიტუციების ენობრივი რეგულაციების აღწერა და ანალიზი.

ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუცია მიღებულია 1922 წლის 13 დეკემბერს. ცნობილია, რომ აღნიშნული პოლიტიკური გაერთიანება მოქმედებდა 1936 წლამდე და, შესაბამისად, მასში გაერთიანებული ქვეყნები ვალდებულნი იყვნენ დაეცვათ და აღესრულებინათ კონსტიტუციაში განწერილი სხვადასხვა იურიდიული მოთხოვნები. ძირითადი კანონის დებულებებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ენათა გამოყენების ამსახველ ცალკეულ მუხლებს, რომლებშიც დეტალურადაა აღწერილი თუ სად და როგორ უნდა გამოეყენებინათ: რესპუბლიკის ენები, სახელმწიფო ენები, ნაციონალური უმცირესობების ენები, ადგილობრივი/რაიონული ძირითადი ენები და ა. შ.

ამიერკავკასიის ფედერაციის კონსტიტუციით ენათა გამოყენების თვალსაზრისით რეგულირდებოდა შემდეგ სფეროები: 1. სახელმწიფო დანესებულებები; 2. *ხკინისგზებისა და გზატკეცილების სამმართველოები*; 3. *ხკინისგზებისა და გზატკეცილების ხაზები*; 4. არმიის სამმართველოები და დანესებულებები. თითოეული მათგანის ენობრივი გარემოს უკეთ გასაკონტროლებლად შექმნილი იყო შესაბამის დეკრეტები და დებულებები, სადაც დეტალურად იყო განწერილი ენათა ფუნქციონირების ცალკეული საკითხები. ამ დოკუმენტებით ირკვევა, რომ რუსული ენა გამოიყენებოდა უმაღლეს მმართველ ორგანოთა შორის კომუნიკაციისას, მხოლოდ ამ ენაზე უნდა შედგენილიყო ყველა მთავა-

რი დოკუმენტი, მხოლოდ რუსულად უნდა დაწერილიყო სამეურნეო, ტექნიკური და ფულთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია. ამ ფაქტის გასამართლებლად კანონმდებლები უთითებდნენ, რომ მოკავშირე რესპუბლიკის ენებზე არ არსებობდა შესაფერისი სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგია, ამიტომ იძულებული იყვნენ გამოეყენებინათ რუსული ენა. მოკავშირე რესპუბლიკის ენები (ქართული, სომხური და აზერბაიჯანული) ენები და ნაციონალური უმცირესობების ენები რუსულის შემდეგ ან რუსულთან ერთად უნდა ხმახებუდიყო ადგილობრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობისას და არა საკავშირო კომუნიკაციისას.

ამიერკავკასიის ფედერაციის კონსტიტუციაში ასახული ენობრივი რეგულაციები ერთგვარი ილუსტრირებაა საბჭოთა ენობრივი პოლიტიკისა, რომლის მიხედვითაც რუსული ენა უნდა ყოფილიყო დომინანტი და უპირატესი ენა სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკების ყველა სფეროში და განსაკუთრებით, მათ სტრატეგიულ ობიექტებზე.

Within the framework of the project "Functioning of languages in the Abkhazian ASSR in the context of Soviet policy (the 30s of XX century)" (code -OTG-I-22-232) funded by the Shota Rustaveli National Science Foundation in 2022, it is envisaged the description and analysis of the language regulations of the constitutions of the Transcaucasian Federation, Soviet Union, Georgian SSR, Abkhazian ASSR.

The Constitution of the Transcaucasian Federal Republic was adopted on December 13, 1922. It is known that the mentioned political union operated until 1936, and accordingly, the countries united in it were obliged to protect and fulfill various legal requirements in the Constitution. An important place in the

provisions of the key law is occupied by the separate articles reflecting the use of languages, which describe in detail where and how languages of the republic, state languages, languages of national minorities, local/regional main languages, etc. should be used.

The Constitution of the Transcaucasian Federation regulated the following fields in terms of language use: 1. State institutions; 2. Departments of railways and highways; 3. Railway and highway lines; 4. Army divisions and institutions. In order to better control the linguistic environment of each of them, relevant decrees and regulations were created, in which separate issues of language functioning were described in detail. These documents show that the Russian language was used in communication between the highest governing bodies, all the main documents were to be drawn up in this language only, and any economic, technical and money-related information was to be written in Russian only. To justify this fact, the legislators pointed out that there was no suitable scientific-technical terminology in the languages of the allied republics, so they had to use the Russian language.

The languages of the Allied Republic (Georgian, Armenian and Azerbaijani) and the languages of national minorities should be used after Russian or together with Russian in communication with local organizations, and not in the union.

The language regulations reflected in the Constitution of the Transcaucasian Federation are a kind of illustration of the Soviet language policy, according to which the Russian language should be the dominant and leading language in all spheres of the various allied republics and especially in their strategic objects.

სარჩევი/Content

მაია ანდრონიკაშვილი

დამხმარე მორფების სპეციფიკა არაბულ მორფოლოგიაში..... 3

Maia Andronikashvili

The Peculiarities of the Auxiliary Morphs in Arabic Morphology..... 3

ცირა ბარამიძე

„ვეხსია“ ქართულში და აქტანტების კუთვნილებითი მიმართებისათვის პოლივალენტურ იბერიულ-კავკასიურ ნანოსინტაქსში..... 9

Tsira Baramidze

“Version” in Georgian and for the possessive relations of actants in polyvalent Iberian-Caucasian nano-syntax..... 9

მიხეილ ბახტაძე

ფეოდალური ელიტა XI-XIII საუკუნეებში 12

Mikheil Bakhtadze

Feudal System in XI-XIII Centuries 12

ლევან ბებურიშვილი

ალექსანდრე ცაგარელი და ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები..... 16

Levan Beburishvili

Aleksandre Tsagareli and the Issues of the New Georgian Literature 16

ნაირა ბეპიევი

ივანე ჯავახიშვილი და ოსური ენისა და მწერლობის განვითარების საკითხები 21

Naira Bepievi

Ivane Javakhishvili and the Issues of the Development of Ossetian Language and Writing 21

ნანა გაფრინდაშვილი

სოციალური ინჟინერია სოცრეალიზმის სამსახურში:
მწერალი ადამიანის სულის ინჟინერია 25

Nana Gaprindashvili

Social Engineering at the Service of Social Realism:
A Writer is an Engineer of the Human Soul..... 25

თეიმურაზ გვიმრაძე

ეთნოლოგია-ეთნოგრაფიის კათედრა თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტში 30

Teimuraz Gvimradze

Department of Ethnology-Ethnography at Tbilisi State
University 30

ია გრიგალაშვილი

უძველესი ქართული საეკლესიო გალობის დათარიღების
საკითხისათვის 35

Ia Grigalashvili

About the Question of Dating the Oldest Georgian
Ecclesiastical Chant..... 35

მამუკა დოლიძე

დროის ისტორია 38

Mamuka Dolidze

History of Time..... 38

არპად ელეში

„ოქრო ქვეყანა მთებს მიღმა“ კავკასია მორ იოკაის
რომანში..... 40

Árpád Éles

Golden Land behind the Mountains_The Caucasus in the Novel
of Mór Jókai 40

იამზე ვაშაკიძე

ნ. ი. მარისა და ი. ჯავახიშვილის წერილები
უნივერსიტეტზე, როგორც ქართული მეცნიერების
ისტორიის ამსახველი წყარო 42

Iamze Vashakidze

The Letters by N. I. Marr and I. Javakhishvili on University,
as a Source of the Reflection of History of the Georgian
Science..... 42

სარდიონ ზედელაშვილი

ოკუპირებული აფხაზეთი – ინტერესთა გადაკვეთის
ადგილი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში 47

Sardion Zedelashvili

Occupied Abkhazia – a Place of Intersection of Interests in the
North-West Caucasus 47

ქეთევან კაკიტელაშვილი

ებრაული იდენტობის სეკულარიზაციის მექანიზმები
საბჭოთა ებრაული იდენტობის ჩამოყალიბებისათვის
1920-1930-იან წლებში 51

Ketevan Kakitelashvili

Mechanisms of Secularization of Jewish Identity for
the Formation of Soviet Jewish Identity in the 1920s-1930s..... 51

ზვიად კვიციანი

მრავალსახელიანი სვანურენოვანი მოსახლეობის
განსახლების საკითხისათვის..... 54

Zviad Kvitsiani

For the settlement of the multi-named Svan language
population..... 54

ბონდო კუპატაძე

ადიგენის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობა
(შუა საუკუნეების ფორტიფიკაციები და საერო
ნაგებობები)..... 59

Bondo Kupatadze

Cultural Heritage of Adigeni Municipality (Medieval Fortifications and Secular Buildings) 59

ხვთისო მამისიმედიშვილი

ახვაზური ხალხური მისტერიის რეპრეზენტაცია გ. ტაბიძის ლექსში „პირველ თაველებს“ 63

Khvtiso Mamisimedishvili

Representation of Abkhaz folk mystery in Galaktion Tabidze’s poem “The First Stables” 63

დამანა მელიქიშვილი, ნათია ფუტკარაძე

ტერმინ „დიასპორის“ დაზუსტებისათვის 69

Damana Melikishvili, Natia Putkaradze

For the Clarification of the Term “Diaspora” 69

ელენე მეძმარიაშვილი

ისტორიის სწავლების გამოწვევები საქართველოში 73

Elene Medzmariashvili

Challenges of History Teaching in Georgia 73

მამუკა მჭედლიძე

რუსეთის პოლიტიკა კავკასიაში XX საუკუნის 90-ან წლებში 78

Mamuka Mchedlidze

Russian policy in the Caucasus in the 90s of the XX century 78

ეკატერინე ნავროზაშვილი, ნანა გონჯილაშვილი

ლეონიდ არონზონის პოეზიის ახალი ქართული თარგმანები 84

Ekaterine Navrozashvili, Nana Gonjilashvili

New Georgian Translations of Leonid Aronzon's Poetry 84

თეიმურაზ პაპასქირი

რუსეთ-უკრაინის ომის შესაძლო გავლენა 2024 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებზე 87

Teimuraz Papaskiri

The Russo-Ukrainian War and Its Possible Impact on the 2024 United States Presidential Election..... 87

მურმან პაპაშვილი

დომინიკელი მისიონერის პაოლო მარია ჩიტადინის ერთი ცნობის ისტორიული კონტექსტი 93

Murman Papashvili

The Historical Context of the Notice of the Dominican Missionary Paolo Maria Cittadini 93

ნინო პოპიაშვილი

სად მოინათლა ევსტათი მცხეთელი: ივანე ჯავახიშვილისა და ადოლფ ფონ ჰარნაკის შეხედულება ევსტათი მცხეთელის ნათლობასთან დაკავშირებით 96

Nino Popiashvili

Where was Eustathius of Mtskheta Baptized: The Opinion of Ivane Javakhishvilis and Adolf von Harnack Regarding the Baptism of Eustathius of Mtskheta 96

ნინო სიმონიშვილი

ქართული უნივერსიტეტის პირველი საპატიო წევრი: ხელოვნების ისტორიკოსი ნიკოდიმ კონდაკოვი და საქართველო..... 99

Nino Simonishvili

The First Honorary Member of the Georgian University: Art Historian Nikodim Kondakov and Georgia 99

ნესტან სულავა

ივანე ჯავახიშვილი წმ. გიორგი მთაწმინდელის თხრობის სტილის შესახებ 103

Nestan Sulava

Ivane Javakhishvili On Narrative Style of St. Giorgi Mtatsmindeli..... 103

თეა ქამუშაძე	
აფხაზეთიდან დევნილთა საერთო საცხოვრებელი, როგორც სოციალური საზღვარი თბილისში	107
Tea Kamushadze	
Shared residences for internally displaced persons from Abkhazia as a social boundary in Tbilisi	107
ლია ქაროსანიძე	
ივანე ჯავახიშვილი ქართული ტერმინოლოგიის შესახებ.....	111
Lia Karosanidze	
Ivane Javakhishvili about Georgian Terminology.....	111
მაია ქვრივიშვილი	
დღესასწაული, მეხსიერება და იდენტობა ქართულ საზოგადოებაში (ზოგადი ასპექტები).....	116
Maia Kvrivishvili	
Holiday, Memory and Identity in the Georgian Society (General Aspects).....	116
რამაზ ქურდაძე	
მიმართვის ადგილისათვის ქართულ რთულ თანწყობილ წინადადებაში	120
Ramaz Kurdadze	
On the Place of Forms of Address in a Georgian Compound Sentence	120
მედეა ლლონტი	
ადამიანის სულიერი მოქმედების ამსახველი ტერმინოლოგიური ბუდისათვის ქართულში (ქართ.: გონების თვალი, გონების ყური გულის თვალი, გულის ყური)	124
Medea Ghlonti	
For the Terminological Nest expressing Human Spiritual Activity in Georgian (Georg.: gonebis tvali "eye of the mind",	

gonebis quri "ear of the mind", gulis tvali "eye of the heart",
gulis quri "ear of the heart") 124

მზია შელია

ივანე ჯავახიშვილი საქართველოს მოსახლეობის
აღწერების შესახებ..... 128

Mzia Shelia

Ivane Javakhishvili about Georgia's population censuses..... 128

მარიამ ჩაჩიბაია

სირიული წყაროები ისლამის აღზევების შესახებ 131

Mariam Chachibaia

Syriac Sources on the Rise of Islam..... 131

ნინო ჩიქოვანი

კოლექტიური მეხსიერების ფორმირება გარდამავალ
პერიოდში: გმირი-ანტიგმირის დისკურსი 135

Nino Chikovani

Formation of the New Memory in the Period of Transition:
Hero-antihero Discourse 135

ირაკლი ჩხაიძე

ილია ჭავჭავაძე: ეროვნული ფიგურა წინააღმდეგობრივ
საჯარო დისკურსებში 138

Irakli Chkhaidze

Ilia Chavchavadze: National Figure in the Controversial Public
Discourses 138

ივანე წერეთელი

ერთი შემოქმედის ავტობიოგრაფია, როგორც
კოლექტიური ტრავმის ნარატივი: ლანა ლოღობერიძე 142

Ivane Tsereteli

Autobiography of one creator as a narrative of collective
trauma: Lana Ghoghoberidze 142

ნინო წერეთელი

ბინარული ოპოზიცია ჩემი/სხვა_ლია სტურუას
შეგრძნებების რომანში „რძეში ჩავარდნილი ქვა“ 145

Nino Tsereteli

Binary Opposition Self/Other_(According to Lia Sturua’s
novel of Perceptions -“A Stone Dropped in Milk”) 145

სოფიკო ჭაავა

ამიერკავკასიის საბჭოთა-ფედერაციული რესპუბლიკის
1922 წლის კონსტიტუციის_ენობრივი რეგულაციები 149

Sofiko Tchaava

Language regulations of the 1922 Constitution of the
Transcaucasian Soviet Federative Republic 149

გამოცემაზე მუშაობდნენ:
ნათია დვალი და ლელა ნიკლაური

გამოცემლობის რედაქტორები:
თამარ გაბელაია და მარინე ჭყონია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა

2023

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1
1 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0128
Tel +995 (32) 225 04 84, 6284, 6278
<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>

